# არილი

№2 (147) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ფასი 50 თეთრი

2 მარტი

#2

2000



"ყოველთვის ჰგონიათ, რომ
უფროსი მეტ გავლენას ახდენს
უმცროსზე, მაგრამ მე მიმაჩნია,
რომ თუ რაღაც ვასწავლე ადოლფიტოს,
მან კიდევ უფრო მეტი მომცა სანაცვლოდ...
მოკლედ, ყმაწვილი ბიოი კასარესი
ბებერი ბორხესის მასწავლებელი იყო"

ხორხე ლუის ბორხესი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
დათო ზურაბიშვილი
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kavkasio@orioni.com.ge
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5






**№1(146) ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


**ლიტერატურა**


გურამ რჩეულიშვილი
დათუნა! ..... 1

ნოდარ ებრალიძე
თბილისური შეძახილები ..... 3

ბესიკ ხარანაული:
"პოეზია ყველა პოეტისთვის იმდენნაირია, რამდენნაირადაც თვითონ არის დაელმებული" ..... 7

შალვა ბაკურაძე
თევზაობა ..... 11

მადი სერებრიაკოვა
ბორხესი და მისი თანაავტორები ..... 15

ადოლფო ბიოი კასარესი
ობობები და ბუზები ..... 17

ოქტავიო პასი
ხოსე ორტეგა ი გასეტი - როგორ და რისთვის ..... 21


**რელიგია**


ზურაბ კიკნაძე
ეკლესიამ უნდა გაუადვილოს მოქცევის გზაზე მდგარ ადამიანებს არჩევანი ..... 25

ინტერვიუ პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელთან
"ცოცხალი ლიტურგიკული გარემო ერთადერთი საშუალებაა, რომ ძველი ენა შევინარჩუნოთ" ..... 27


**პოლიტიკა**


ია ანთაძე
საქართველოში მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი ..... 30

ვოლფგანგ შუსელი
ღირებულებები და ვალდებულებები ..... 32

ზურამ რჩეულიშვილი

# დათუნა!



— დათუნა! დათუნა! — მოესმა ბავშვს შორიდან დედის ხმა.

დათუნამ ერთხანს ყური მიუგდო, მერე ჯოხის ცხენს შემოჰკრა მათრახი და პატარა ბარდებზე ხტუნაობით წყაროსკენ გაიქცა.

— დათო! — კვლავ მოეწია წყაროსთან დედის ხმა.

დათუნა შემობრუნდა, დაიფრუტუნა, დაიჭიხვინა და ბუზღუნით სახლისკენ გამოქენდა, "უჰ, ახლა გოგლი-მოგლი გამიჭირებს საქმეს, ან რძე, უჰ!" — გააჟრჟოლა ტანში ბავშვს. უცებ წინ ხვლიკმა გადაურბინა. მან სწრაფად მოიმარჯვა თავისი ჯოხის ცხენი და ქვეწარმავალს დაარტყა. ხვლიკმა კუდი ადგილზე დატოვა, თვითონ კი სასწრაფოდ მიიმალა. დათუნამ დაიწყო ჯაგების ქექვა, შემდეგ რაღაცა სორო იპოვა და ჯოხით ამოჩიჩქნა.

— დათო, ბიჭო, არ გესმის, დედა რომ გეძახის? წამო ახლავე სახლში, — წყნარად უთხრა თავზე წამომდგარმა მამამ, დათუნა დაემორჩილა და ფეხმოთრევით გაჰყვა.

— ბიჭო, შენ ახლა უკვე ბავშვი კი აღარა ხარ, ხვალზევით თოთხმეტი წლისა ხდები.

დათუნამ ეშმაკური თვალებით გახედა წყალზე საწუწნაოდ მიმავალ ტიტლიკანა სწორებს და უნებლიეთ ხელი გამოსტაცა მამას, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

მამამ წყნარად გადმოხედა, მერე მხარზე დაადო ხელი და საუბარი განაგრძო:

ბიჭო, მე რაზე გელაპარაკები, შენ კი სულ ცელქობაზე გიჭირავს თვალი! ცელქობა კარგია, რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგი, მაგრამ უნდა იცოდე დრო. მე სამი დღის მერე მივდივარ თბილისში და ოჯახი შენ უნდა დაგიტოვო. შენ იცი, როგორ დაუჯერებ დედას და მოუვლი შენს პატარა ძმებს. ახლა დედას გაუგონე ყველაფერი და დაბადების დღეზე ისეთ საჩუქარს მოგიტან, როგორიც არც ერთ შენს ტოლს არ ექნება. მე მგონი, მისი ღირსი შენ უკვე ხარ.

დათუნამ ყურადღება დაძაბა.

— რას, მამა? — ველარ მოითმინა პატარამ, მამამ გაუღიმა.

— მოითმინე ცოტა. ეგეც ვაჟკაცობაში შედის. კარგი ვაჟკაცი ყოველთვის მომთმენია.

— რათა? განა ვინმემ რო გამარტყას, არ ვუპასუხო?

მამა ცოტა არ იყოს დაიბნა.

"რა ვუთხრა, — გაიფიქრა თავისთვის, — არ გაარტყას, — უშნო შვილი რად მინდა, გაარტყას, — ჩხუბიც არ ვარგა".

— ვანო, კაცო, შენ რაღა მოგივიდა ჩქარა ამოდით, — გადმოსძახა აივნიდან დედამ.

მამა-შვილს უცებ დაავიწყდა ლაპარაკის თემა და აივანზე ასულები სუფრას შემოუსხდნენ.

ორი დღის შემდეგ, დაბადების დღეზე მამამ დათუნას გეკოს მარკის თოფი მოუტანა.

დათუნამ თოფს კარგა ხანი უყურა, მერე დინჯად გამოართვა, თავის საწოლთან დიდი ლურსმანი დააჭედა და ზედ ჩამოკიდა. ახლა უკან დაიხია, შორიდან დაუწყო ყურება. მამა, სავარძელში მჯდარი, გაზეთის ზევიდან სიამოვნებით უყურებდა ბიჭის განცდებს. დათო შემობრუნდა, მამას ხელი ჩამოართვა, გადაკოცნა.

— მოდი, ბიჭო, დაჯექი! არა, ჯერ თოფი მომიტანე, აგიხსნი, როგორ უნდა მოვლა, ხმარება.

დათუნამ თოფი ჩამოიღო კედლიდან, სკამი მოიტანა. მამამ მუხლზე დაირტყა ხელი.

— აქ დაჯექი, გენაცვალე.

— არა, მამა, სკამზე ჯობია! — ოდნავ დამორცხვებით უთხრა დათუნამ, რომელსაც, ჩვეულებრივ, ძალიან უყვარდა მამის მუხლებზე ჯდომა. "ჰო, ასეთ დიდ შედეგსაც არ მოველოდი, რა უცებ დასერიოზულდა", — გაიფიქრა მამამ, მერე თოფი გამოართვა.

— აი, ეს არის კონდახი, ეს ლულა; ისინი დაკავშირებული არიან ამ ორი ხრახნით. ლულას შიგნიდან აქვს ჭრილები, რათა ტყვია შორს და მიზანში წავიდეს.

დათუნა სკამიდან ჩამოვიდა, სავარძლის სახელურზე დაჯდა და სულმოუთქმელად ადევნებდა მამის თითებს თვალყურს. "რას იტყვიან რეზო და ნოდარი, როგორ გაუკვირდებათ! მათაც ვასწავლი სროლას, მერე სანადიროდ წავალთ, ჰო, ჩვენ ქოფაკსაც წავიყვანთ, ტყეში ცეცხლს დავანთებთ". დათომ მამას შეხედა, რომელიც დინჯად განაგრძობდა ახსნას. ცოტა ხანი ყური მიუგდო, შემდეგ ოცნებამ გაიტაცა. დათუნა თავს ებრძოდა, მაგრამ მთელი გულისყურით მაინც ვერ უსმენდა მისთვის ასე ძვირფას საუბარს. ახლა მამა ყველაზე საინტერესო ადგილას მივიდა:

— აი, ეს გამონაშვერი არის სამიზნე. ჯერ უნდა გახედო ქვევითა სამიზნეში, შემდეგ, როცა იქიდან დაინახავ ზეცას, ეცადე, რომ ქვედას თავზე გამავალი სწორი ხაზი, რომელსაც შენს გონებაში გაავლებ, მიებჯინოს ზედას წვერს. შემდეგ გამოსწევ ჩახმახს, ოღონდ ისე, რომ თოფი არ გაინძრეს.

დათუნა ახლა დაძაბული უსმენდა. თან ერთი სული ჰქონდა, თოფი თვითონ აეღო ხელში.

— ახლა გაიქეცი, ბიჭო, და ჩემი ჩანთა მომიტანე.

მოტანილი ჩანთიდან მამამ პატარა კოლოფი ამოიღო, შემდეგ თავი მოხადა.

— აი, ამ კოლოფში, როგორც ხედავ, არის გეკოს ტყვიები, სულ ორმოცდაათი. პირველი, რაც საჭიროა თოფის ხმარებისას იცოდე, ესაა სიფრთხილე! სიფრთხილე! და სიფრთხილე! ჯერჯერობით თოფს მხოლოდ ერთად ვიხმართ.

— შენ რომ ხვალ მიდიხარ, მამა?

ვანოს გაეღიმა:

— კარგი, დაგიტოვებ, დღეს კი გასწავლი ხმარებას.

მამა წამოდგა. ორივენი აივანზე გამოვიდნენ.

— აი, ეს არის ჩამკეტი, გადმოსწიე ასე, შემდეგ ტყვიას მისცემ ლულაში და ჩაკეტავ. მაშ ასე, აგერ იმ ვაშლს ხომ ხედავ. კარგი. ვიდებ მხარზე კონდახს. ვუმიზნებ.

მამამ ჩახმახს გამოჰკრა. ვაშლი გაქრა.

— მოხვდა, — თქვა მამამ.

— ხო, მოხვდა, — დაამოწმა დათომ, — მამა! — თხოვნით შეხედა ბავშვმა.

— ახლავე, ბიჭო, ახლავე. — მამამ ტყვია ჩადო. — გამომართვი თოფი და მოიმარჯვე, როგორც გასწავლე.

დათუნამ წყნარად ჩადო ტყვია და დაუმიზნა მეორე ვაშლს. მერე მაგრად მოჭუტა ცალი თვალი.

— პც! — დაიძახა ტყვიამ.

ვაშლი ადგილზე დარჩა.

— ეგ არაფერი, ბიჭო, ჩქარა შეეჩვევი. ოღონდ თვალს ასე გამწარებით ნუ ხუჭავ. თოფი თავისუფლად გეჭიროს და სროლის დროს სუნთქვა ოდნავ შეაჩერე. აბა შენ იცი, ფრთხილად, მე კი წავალ ახლა, სამუშაო მაქვს.

მამა ოთახში შევიდა. დათუნამ კი გაიფიქრა: "რა სირცხვილია. როგორ ავაცილე. ახლა კი აღარ ავაცდენ". იგი ძალიან გაერთო სროლით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა.

ბიჭმა გზას გახედა. შორს დედა დაინახა, რომელიც სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა ბაზრიდან. მან თოფი სასწრაფოდ ჩამოკიდა ადგილზე და სირბილით წავიდა დედის მისახმარებლად.

— ოჰო, შენ სახლში ხარ? — გაუკვირდა დედას.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჰო, დიახ?

დედამ თავზე გადაუსვა ხელი. დათუნამ კალათი ჩამოართვა და მხარზე გაიდო.

- რა იყო, დათუნა, რამ ჩაგაფიქრა? - გენაცვალე, დღეს რა, არ იწუწავეთ?

- არა, დედა, არ მეცალა.

- რათა, მამას ეხმარებოდი?

- არა, თოფის სროლას მასწავლიდა.

- რა თოფის?

- დღეს ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად მიყიდა.

"რამ აყიდინა ვანოს თოფი, ახლა ამისთანა ცელქი ბავშვისთვის როგორ შეიძლებოდა იარაღი", - გაიფიქრა დედამ, მერე ალერსით უთხრა:

- დათო, გენაცვალე, გარეთ არ გაიტანო ბავშვებში.

- არა, დედა.

დათუნამ სანოვაგე მაგიდაზე დადო.

მერე "საიდუმლო კუნძული" აიღო და ბაღში ჩავიდა საკითხავად.

"რა ვაჟკაცი იყო ჰერბერტი? როგორ ეხმარებოდა თავისებს, თანაც მგონი ჩემიტოლა იყო. ნეტა მე რას ვიზამდი იმის ადგილას. ალბათ, ისევე მოვიქცეოდი. მართლა რა საინტერესოა. არა, უნდა ვეცადო, ისეთივე ვაჟკაცი გავხდე, ბოლოს და ბოლოს ბავშვი ხომ აღარა ვარ. აი, მამამ თოფიც კი მიყიდა. მაშ ღირსი ვარ. ნეტა სანადიროდ თუ გამიშვებენ". ფიქრები მშობლის ხმამ შეაწყვეტინა.

- დათო, შვილო, საუზმეა.

- ახლავე, დედა, მოვდივარ.

დათომ წიგნი ჩანიშნა, მერე სწრაფი ნაბიჯით ავიდა აივანზე.

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს, მერე მამამ ორაზროვნად გაუღიმა დედას.

- ქეთო, მე ხვალ მივდივარ, ალბათ, შენი და დღეს, საღამოს ამოიყვანს პატარებს, ეყოთ ამდენ ხანს სტუმრად ყოფნა.

- როდის ჩამოხვალ, ვანო?

- ასე, ერთ კვირაში. მანამდე კი დათუნას ვტოვებ ოჯახში შენ დამხმარედ, ახლა ეგ უკვე ვაჟკაცია, მაგას აღარ დასჭირდება დარიგება.

"მართლაც, რაღა დროს ჩემი დაუჯერებლობაა, პატარა ხომ აღარა ვარ, თოფიც კი მაქვს", - გაიფიქრა დათუნამ და ოდნავ წამოწითლდა.

- მქონდეს შენი იმედი, ბიჭო? - თქვა ვანომ.

- დიახ, მამა.

- სადილის მერე რას აკეთებ?

დათუნამ წყლისკენ გაიხედა. ამ დროს იქ პატარები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, წუწაობდნენ.

- არაფერს, მამა, წიგნი უნდა ვიკითხო.

- არა, შვილო, სადილის მერე ცოტა დაისვენე, მერე კი წადი ბიჭებთან, ითამაშე.

დათუნამ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ გადაწყვიტა ეთამაშა, მაგრამ დროზე დაბრუნებულიყო.

მეორე დღეს დედამ, დათუნამ და მისმა ორმა ძმამ მამა სადგურზე გააცილეს. უკანა გზაზე თოთხმეტი წლის დათუნამ ხელი ჩაჰკიდა პატარებს და ცოცხლად მიჰყვა დედას. გული აღარ უთმენდა, ერთი სული ჰქონდა სანამ სახლში მივიდოდა; ძალიან უნდოდა თოფის ხელში აღება, ამ მოკლე ხანში ასე რომ შეუყვარდა. თან გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, კარგი სროლა ესწავლა.

- დათუნა, შვილო, რაზე ფიქრობ? - გამოელაპარაკა დედა.

- არაფერზე, დედა.

- მე მგონი, შენ ისევ იმ თოფზე ოცნებობ, არა?

- ხო, დედა.

- დათო, შენ სახლში აიყვანე პატარები, მე აქ შევალ, საქმე მაქვს.

შეგიძლია ასაუზმო?

- კი, დედა.

- შემდეგ დააძინე.

- კარგი.

- მე წავედი.

დედამ გზიდან გადაუხვია. იგი აშკარად ამჩნევდა დათოს დასერიოზულებას და ზევით უფროსი ვაჟის ანაბარად მიმავალ ბავშვებს სიყვარულით უყურებდა.

როცა დათუნამ პატარები დააძინა, ჩამოიღო თოფი, მერე გაუტენავად, რამდენიმეჯერ დაუმიზნა ვაშლს. "ასე. ახლა კი აღარ ავაცდენ. ხო, ჯერ ჩავდებ ტყვიას, ახლა ჩავკეტე, ჩახმახი ფეხზე დგას, ვიდებ გულზე. სულ ყველაფერი რიგზეა, ერთ ხაზზეა სამივე წერტილი".

- პც. - გავარდა თოფი.

"აღარ არის ვაშლი", - სიხარულით დაასკვნა გულში დათუნამ, მერე მეორეს ესროლა.

- ასცდა.

კიდევ ესროლა - მოხვდა.

"ასე, სამში ორს ვარტყამ უკვე. მაგრამ ვაშლი ხომ ცოცხალი არ არის, არ ინძრევა. მთავარია, ცოცხალ რაიმეს მოვარტყა. აი, თუნდაც ჩიტს".

დათუნამ თოფი მოიმარჯვა. მეზობლად მდგარ ბლის ტოტზე გატიკნული ღობემძვრალა ქანაობდა.

- პც, - დაიძახა თოფმა.

ჩიტი გაქრა. დათუნა ხისაკენ გაიქცა.

"მოვარტყი, მოვარტყი", - უხაროდა პატარას. მერე მამის სავაზნე და საგუდავები ჩამოიტანა, რომელზედაც მოკლული ჩიტი დაიკიდა.

ჩიტების პატარა გუნდმა თავზე გადაუქროლა და იქვე, მახლობლად დაჯდა. დათომ ესროლა - კიდევ მოხვდა.

მთელი საათი ნადირობდა პატარა დათო და შვიდიოდე ჩიტი ჩამოაგდო.

ახლა იგი მსროლელი, ნამდვილი მსროლელი იყო; უნდოდა, რომ მამა მალე ჩამოსულიყო, - როგორ გაახარებდა. დარწმუნებული იყო, რომ ის ტყეში წაიყვანდა სანადიროდ, იქ კი დიდ ნადირს მოკლავდა. ალბათ, ბიჭებს გაუკვირდებოდათ, რომ მათი ამხანაგი მონადირე გახდა. მათ ხომ თოფი არც კი სჭერიათ ხელში, მან კი უკვე შვიდი ჩიტი მოკლა.

ბელურა ვაშლის კენწეროზე შემოჯდა და ლამაზად დაიწყო რხევა. მან გადაწყვიტა, ეს ჩიტიც მოეკლა და მერე დაესვენა.

დათუნამ თოფი მოიმარჯვა. პატარა ჩიტი ყელმოღერებული იჯდა კენწეროზე. მზე ღრუბელს მოეფარა და მორუხო ცის ფონზე ფრინველის გვერდები მშვენიერად ჩანდა. პატარა მონადირეს ძალიან მოუნდა, რომ ამ ფრინველისთვის შიგ თავში მოერტყა. დინჯად დაუმიზნა თოფი.

- პც, - გაისროლა თოფმა.

დათუნამ ჩიტს შეხედა. ფრინველი ულონოდ დაეშვა ქვედა ტოტზე, აქ ცოტა ხანს გაჩერდა, მერე უფრო ქვევით ჩამოეშვა. საწყალი ჩიტი დაჭრილი ჩანდა. დათუნას გააჟრჟოლა, თოფი კუთხეში მიაყუდა და სავაზნე, საგუდავებიანად, რომელზედაც შვიდი ფრინველი ეკიდა, მოიხსნა. დახოცილი ჩიტების დანახვა რაღაც აღარ ესიამოვნა. ახლა იგი ხის ძირისაკენ გაიქცა. აქ, ხახვის კვლებში იჯდა პატარა ჩიტი. "ცოცხალია, - შვებით ამოისუნთქა ბიჭმა, მაგრამ რაღაც არ იძვრის. ალბათ, დავჭერი. რაც გინდა იყოს, მოვარჩენ", - მისცა თავს პირობა, მერე დაიხარა და ფრინველი ხელში აიყვანა. "ოი", - უნებლიედ აღმოხდა ბავშვს, - საწყალი, საწყალი". ჩიტმა თავი ახლა მთლიანად მოაბრუნა. ნისკარტის ადგილას მხოლოდ წითლად გამოყოფილი ენაღა ჰქონდა. მისი პატარა მკერდი ჩქარ-ჩქარა სცემდა. დათუნას გული შეეკუმშა, "ეს რა ვქენი", - გაიფიქრა მან. მერე ნელა წამოვიდა აივნისკენ, აქ ჩიტი ნაზად დასვა მაგიდაზე და წყალი მოუტანა. ჩიტი შეშინებული



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყურებოდა, მკერდი სულ უფრო ხშირად უცემდა. "ოხ, მხეცი ვარ, მხეცი! როგორ მომივიდა ეს, ნეტავ მომეკლა მაინცა, თუმცა რათ მინდოდა. წავალ, ვაშლს დავუჭრი, იქნება შევაჭამო როგორმე". დათუნამ კიბე ჩაირბინა, აქვე, ლობეზე ჩამოკიდებულ მგუდავებს მოჰკრა თვალი, რომლებზედაც საცოდავად ჩამოხრჩობილი ფრინველები ქანაობდნენ. დათუნას გული შეეკუმშა. "რა ბოროტი ვყოფილვარ, რა უსინდისო, რისთვის დავხოცე! თუმცა ჰერბერტიც ხომ ხოცავდა, და სხვა მონადირეებიც, ვინც ვაჟკაცებად ითვლებიან". ამის მოგონებაზე ცოტა შვება იგრძნო. ვაშლის ხის ძირში ტყვიისგან დაფხრეწილი ხილი ეყარა. "ესეც აღარ იჭმება, სულ დამიგლეჯია", - დათომ ისევ უხერხულად იგრძნო თავი, მერე ერთი ვაშლი აიღო, აივანზე წვრილად გახეხა და ჩიტს მიუტანა, ფრინველი კი იჯდა და სულ უფრო საცოდავად სუნთქავდა. "რა სულელი ვარ, უნისკარტოდ ეს ვერც შეჭამს, ვერც დალევს, მაშ რა მოუვა ნეტავი? საწყალი, ალბათ, შიმშილით მოკვდება. რომ მოვკლა, აჯობებს, ნამდვილად აჯობებს, ხო, მოვკლავ, წამებას გადარჩება". დათომ ჩიტი ხელში აიყვანა "როგორ მოვკლა, საწყალი", პატარას ცრემლები მოადგა, მერე ლოყაზე ბუძგებმა დააყარა, მისი ხელით მოკვლა არ შეეძლო; ქვევით ჩაიყვანა ჩიტი, იქ, ლობეზე დასვა, თავი დაანება, შემდეგ ისევ აივანზე დაბრუნდა და წიგნი აიღო, მაგრამ კითხვა ვერ შეძლო. იგი თვალს ვერ აშორებდა ლობეზე მჯდარ ფრინველს. "მაინც რატომ ხოცავენ საწყლებს. მამაჩემიც ხომ ხოცავს. ნეტა არა რცხვენია? რათა ხოცავს? საწყალი ჩიტები, როგორ მეცოდებიან, ნეტავ რათ ხოცავენ, ან რატომ ითვლებიან ვაჟკაცებად? მამა თვითონ ამბობდა, შენზე სუსტი და პატარა არა სცემოო. ბიჭმა ძლივს გაამახვილა ყურადღება წიგნის კითხვაზე. ქვევით მოთხრობილი იყო, ჰერბერტი როგორ გამოვიდა სანადიროდ. ახლა ამ ბიჭმაც ოდნავ დაკარგა მის შეგრძნებაში პატივისცემა.

დათუნამ ისევ ჩიტს გახედა. მას თავი მიებრუნებინა და უმწეოდ იყურებოდა. "ნეტავ რას უყურებს", - ძლივს მოასწრო გაფიქრება, რომ მეზობლის კატამ ერთი სკუპით მოხსნა ჩიტი ლობიდან და ტყრუშულს გადაევლო. დათუნა სწრაფად წამოხტა და თოფით ხელში გამოუდგა კატას, მაგრამ კატა გაუჩინარდა. "ოხ, რა ვერაგები არიან კატები, სიამოვნებით დავხოცავდი, ტყვილა არა მძულდა! საწყალი ჩიტი, რას ერჩოდნენ". ლობესთან ისევ დაინახა ჩამომხრჩვალი ფრინველები. ნიჩაბი აიღო და მათთვის საფლავის თხრას შეუდგა. მიწის მიყრის შემდეგ ლამაზად შემოულაგა ქვები და გადაწყვიტა, ხვალვე ზედ ყვავილები დაერგო, მერე დაენანა, რომ ერთი კატამ გაიტაცა და შეიძლება შეჭამა კიდეც.

დათო ზევით ავიდა და წიგნის კითხვა განაგრძო, თან კატა ეჩვენებოდა.

ახლა იგი იმ ადგილას იყო, სადაც ჰერბერტმა ფრინველი მოკლა, ხელში აიტაცა და გახარებულმა დაიძახა:

- დღეს ჩვენ მშვენიერი ბულიონი გვექნება! - მართლაცდა ყოჩაღ, ასეთი სადილი თვით მეფესაც შეშურდებოდა, როგორსაც ამ ფრინველისგან ჩვენი მაიმუნი დაამზადებს, - დასძინა პროფესორმა. დათუნამ წიგნს თვალი მოაშორა და მზერა სივრცეში გადაიტანა. ქვევით სოფლის მტვრიანი გზა მოჩანდა, რომელზედაც ურემი მიიზლაზნებოდა. შარაგზა მამისის ნაცნობმა მონადირემ გადასერა და ბუჩქებს შეერია. "ეგეც სანადიროდ მიდის. რა გემრიელ სადილს აკეთებს მერე ძია სიკოს ნანადირევიდან დეიდა თამარა", - გაიფიქრა ბიჭმა.

"მიაუ", - დაიკნავლა ამ დროს მეზობლის კატამ და მოაჯირზე ამოძვრა, პირში ჩიტის ბურტყლები ჰქონდა გაჩხერილი. დათუნამ სწრაფად დაავლო თოფს ხელი, მერე ისევ დაუშვა. "მაგას ჩემზე ნაკლები დანაშაული აქვს, - ბუნდოვნად ფიქრობდა იგი, - მაგან ჭამა მაინც, ალბათ, მაგისთვის გემრიელი იყო, მე კი სულ ტყუილა დავხოცე".

დათუნა ძალიან, ძალიან დაღალა ამდენმა ფიქრებმა. იგი ბურანში გაეხვია. შემდეგ ჩაიძინა, კატა კი ფეხებთან მიუჯდა, თავი ტერფზე დაადო და მანაც ჩათვლიმა.

წელი 1956.
თვე ივნისი,
რიცხვი 14-15

ნოდარ ებრალიძე

# თბილისური შექანილები



## "ზადიკნუტ!"

აჩხირებად ნუ ჩამითვლით, და XIX საუკუნეში ფაეტონის მსგავსი სრულყოფილი საგანი არ შექმნილა. იგი, როგორც ღვიძლი არსება მოერგო დიდი ქალაქების მოკირწყლულ ქუჩებსა და მოედნებს, პროვინციული დაბების მტვრიან თუ ტალახიან შუკებს, სარკინიგზო სადგურებიდან ახლომახლო სოფლებში მიმავალ შარებსა თუ საურმე გზებსაც. ხალხურ კაფიებს თუ დავუჯერებთ (ან რატომ არ უნდა დავუჯეროთ?), აგერ, ფშავხევსურეთის შესავალი სოფლის დუქანთანაც კი დაგოგავდა თურმე ფაეტონი და ხანდახან თვით ბოგანო მოლექსეებსაც უკლავდა ადამიანის გულში ნიადაგ მთვლემარე კომფორტის სურვილს ("შენ ყოფა დავწვი, ხოხაო, შენი ფაიტვნით მგზავრობა...").

XIX საუკუნეში, და უფრო ადრეც, ცხენის სამგზავრო ტრანსპორტის ბევრი სახეობა არსებობდა - ომნიბუსი, კარეტა, შარაბანი, დროშკა (რუსული "დროჟკის" გაქართულებული სახელია), ლანდო, კაბრიოლეტი... ამათ ქართულად ზოგადად ყველას "ეტლი" ჰქვია, მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაა დანიშნულების, ტევადობის და ამდენად შებმის წესისა და ცხენების რაოდენობის მხრივაც. ამათგან თავისი უნივერსალურობით, მოხერხებულობით, პრაქტიკულობით, კომპაქტურობით, დაბოლოს, გარეგნული დახვეწილობით ("დიზაინით!" - როგორც ახლა იტყვიან) ფაეტონი ნამდვილად გამოირჩევა. საკუთრივ მეეტლის გარდა, ოთხი კაცის დასასხდომი ადგილი (ორი "სავარძელში"), მეხუთე შეიძლება კოფოზეც მოთავსდეს, ავდარში ჩარდახიც ეხურება იმ ოთხეულს. არის ე.წ. რუსული "კალიასკები", რომლებიც, მართალია, ფაეტონს ჰგავს, მაგრამ უფრო დიდებია, აკლია ის პეწი და ინტიმი, რაც ნამდვილ, ჩვენში "ვენური ფაეტონების" სახელით ცნობილ ეტლებს ჰქონდა. ცხენებიც ზომიერი ტანის სჭირდება, სპეციალური შესაბმელი ჯიშის ჩორთმავლებიც კი აშ-



კარად დიდებია ამ ეკიპაჟისთვის.

საქართველოში, ცხადია, თბილისსა და ქუთაისში იყო ფაიტონების სიმრავლე, თუმცა, როგორც ზევით ვთქვით, მისმა თვლებმა თითქმის ყველგან გაავლეს კვალი, სადაც კი გზა მიიყვანდა. შემორჩენილია ძველი ცნობილი მეეტლეების სახელებიც. კარგი მეეტლეობა მარტო მართვის ხელოვნებას არ ნიშნავდა. საუკეთესოდ გამართული ეტლი, მოვლილი, ნაპატიები, საგულდაგულოდ შერჩეული ცხენები (ასაკით, ფერით, ტანით, ხასიათით), ალბათ, თვით მეეტლის გარეგნობა, სიტყვა-პასუხი, ეკიპაჟიან-ცხენებიანად ნიადაგ "ფორმაში" ყოფნა სჭირდებოდა სახელის მოხვეჭას. შალვა დადიანი, ცხენების დიდი მოყვარული მწერალი და რაინდი კაცი, სიყვარულით იგონებს ქუთაის-თბილისის ფაეტონებს, მაგრამ იმასაც ამბობს - მთელს კავკასიაში ყველაზე კარგი ფაეტონები ბაქოში იყოო. დადიანს კი ამ ამბავში უნდა ვენდოთ. აკი წერს კიდეც - ბალღობიდან თუკი რომელიმე ცხენი გვყოლია, ან ურთიერთობა მქონია, ძვირფასი ადამიანებივით მახსოვს ყოველი მათგანიო.

დიახ, ბაქო დიდი სამრეწველო ქალაქი იყო, დიდი ფული ტრიალებდა და ეტლებიც შესაფერისი ჰყავდა. ფაეტონი, მიუხედავად მისი დიდი პოპულარობისა (უკვე "ჩვენს" დროშიც - XX საუკუნის 30-იანი წლებიდან), მაინც არც ისე იაფი სიამოვნება გახლდათ. ხელმოკლე ხალხისთვის, თუ აუცილებლობა არ აძალებდა, არცთუ ხელმისაწვდომი იყო. პირადად მე, შეიძლება ითქვას, თბილისში ფაეტონში არც ვმჯდარვარ. ჩვენი უბანი - "იარმუკა" (საცა შემდეგ "კოლმეურნეობის მოედანი" გაშენდა) დიდი სატრამვაო კვანძი იყო: აქედან მიდიოდა მარშრუტები ვაკეში, სადგურზე, "დინამოს" სტადიონზე, დიდუბეში, ნაძალადევში, ორთაჭალაში, ავლაბარში. ქალაქიც სიგრძივ ღერძზე იყო გაშენებული. სოლოლაკსა და მთაწმინდაზე, ვერაზე, ანდა გაღმა - ჩუღურეთში და კუკიაზე წასვლა ქვეითადაც არ დაგვეძრახებოდა. უბნის ბიჭებში წარმტაც ლეგენდად დადიოდა, იქვე, ჩვენს სახლს ქვემოთ, ორბელიანის ქუჩაზე გადახდილი დიდი ქორწილი, ღამით ეტლების სიმრავლე, მეეტლეების ყელის გასასველებლად მიწვევა და კოფოზე ერთი ყოჩაღი ვინმეს აჭრა, მოსეირე ბიჭებით უმალ ეტლის გაძეძგვა და ახლომახლო ქუჩებში განავარდება. მას შემდეგ ბევრნი იჩემებდნენ იმ გატაცებულ ღამეულ ფაეტონში არა მარტო ჯდომას, არამედ კოფოზე ყოფნასაც და სადავეების ჭერასაც კი, მაგრამ სადაც არ ვყოფილვარ, რა უნდა ვთქვა. ისე კი, ცოტა მოგვიანებით, როდესაც სსრკ-გერმანიის ომის დროს მთელი ძალით ამოქმედდა საბურთალოს "შავი ბაზარი" (დაახლოებით იქ, სადაც ახლა სპორტის სასახლეა) და მთავარი ღერძული მარშრუტი მუხრანის ხიდის მიდამოებიდან იწყებოდა, სანაპიროზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო, დროშკების მოდერნიზებული სახეობა - "ლინეიკები" და რამდენადმე უფრო ძვირი (თითო მგზავრის თავზე) ფაეტონებიც მოძრაობდნენ. ჩემი ნაცნობი კუკიელი ბიჭი ძველ მეეტლეს, ბაღჩოს ეხმარებოდა. ბაღჩოს ომის კვალობაზე არაუშავს მოვლილი ცხენები ჰყავდა, თვითონაც ვეება, თანაც სწორედ იმ დროისთვის შეუფერებლად ჩასუქებული ვაჟკაცი იყო (ცირკში "ფრანგული ჭიდაობის" იმდროინდელ მონაწილეთაგან ერთი-ორი მძიმე წონის ათლეტი თუ შეედრებოდა). ამიტომაც შემცვლელი ქუჩერი ჰყავდა. საღამო ხანზე, როდესაც ჩვენგან (ბირჟა მტკვრის ქუჩაზე იყო) საბურთალოზე წამსვლელი აღარავინ ჩანდა, ცარიელი ეტლი მიდიოდა ბაზრისკენ, იქიდან კი დატვირთული ბრუნდებოდა. პატრონი მეეტლე აქ ხვდებოდა. ჩემთვისაც შემოუთავაზებია იმ ჭაბუკ მეეტლეს, თუკი სანაპიროზე შემისწრებდა, ეტლში ჩაჯდომა; თვითონაც კოფოდან როდი მართავდა: უკან, სავარძელში იჯდა ბატონკაცურად, დანდობილად წყნარი ჩორთით (პროფესიული რბოლის ტერმინით "ტროტით") მიჰყავდა დაღალული პირუტყვები (ეს ოსტატობის, ხელობის ცოდნის სარწმუნო გამოვლინებად მიაჩნდათ). ეგ იყო და ეგ. დანარჩენს თვითონ ცხენებთან ურთიერთობა თუ გასწევდა. ქალაქის თითქმის ყველა ეკიპაჟი და მათი ცხენები ვიცოდით. ყველაზე მეტად ნავთის ცხენები მეცოდებოდა. ჯერ ერთი, ზინზლიანები იყვნენ, ალკაზმულობაც ასე გაზეპილი ჰქონდათ. მათი პატრონებიდან ბევრნი ვარდისუბნის დასახლებაში ცხოვრობდნენ და როგორი იქნებოდა მთელი დღე ქალაქში ჭაპანწყვეტის შემდეგ ამხელა აღმართის ავლა, თუნდაც რკინის ცარიელ კასრშედგმული დროშკით? (კუკეიტობას თუ არა, ენერგოკრიზისს რომ მაინც მოსწრებოდნენ, ალბათ, უფრო დაფასებული იქნებოდნენ). ახალი კარგი ეტლის, ან "ლინეიკის", სულაც სატვირთო საზიდრების მრავალსახეობიდან რომელიმეს გამოჩენა უბნის ბიჭებს სიხარულს გვგვრიდა. ზოგს მართლა სიამოვნებდა, ზოგიც მე მხატრობდა. ასე იყო მაშინ, ერთმანეთის ინტერესების გაზიარება, თანაგრძნობის გამოჩენა არ გვეთაკილებოდა...

მაგრამ ამავე ფაეტონს უკავშირდება ჩემი ბავშვობის ერთი ძალზე უსიამო მოგონებაც. ანდა რაღა მოგონება, ახლაც ხშირად ჩამესმის ყურში, თუმცა აღარც ეტლია სადმე და აღარც დროშკა. საქმე ისაა, რომ მაშინდელი ბიჭები თავისებურად იკლავდნენ კომფორტის გაუცნობიერებელ სურვილს. ვისაც ნამდვილი ფაეტონი არ გინახავთ, შეგიძლიათ ფოტოზე იხილოთ, სულაც ჩემი ნათქვამით წარმოიდგინოთ: უკანა ბორბლების რკინის ვიწრო ღერძზე მაღალი რესორები დგას, რომლებსაც ეყრდნობა ძარის უკანა ნაწილი. აი ამ ღერძზე თავისუფლად შეიძლება ფეხების მყარად დადგმა, ხოლო თავსზემოთ ხელების ძარაზე, ან გადმოკეცილ ჩარდახზე ჩაჭიდება,... და გაბედული ბიჭი მორონინე ეკიპაჟის მგზავრი ხდებოდა. გამოცდილი მეეტლეები წინდაწინ ხვდებოდნენ, ქუჩაში შემოხვედრილი ბიჭებიდან ვინ გაბედავდა უკან შემოხტომას და გასაფრთხილებლად შოლტის ტარის დაქნევით დატუქსავდნენ, ერთი ორჯერ უკანაც მოუშხუილებდნენ საკუთარ ეკიპაჟს და ამ სიამოვნების წადილს ეგრევე ძირში ალკვეთდნენ ხოლმე. შოლტი კი გრძელ (ასე - მეტრნახევრიან) ტარზე თასმებით მკვიდრად მიშარტული, საქონლის მყესძარღვებისგან შეგრეხილი წვრილი თასმა იყო, მოქნილი, მაგრამ ფოლადივით მკვრივი, გაპოხილი, ელასტიური. მეეტლეებიც გაწაფული იყვნენ მის ხმარებაში, მოქნევის დასაგრძელებლად, ხელსაც შეუშვებდნენ, მაჯაზე მოხვეული ყულფილა იმაგრებდა უკან მკვეთრად მოქნეულ ტარს, ხოლო თასმა ზუსტად იქ მოადენდა სხეპას, სადაც დაუპატიჟებელი მგზავრის თავ-კისერი, ან მხრები უნდა დახვედროდა. არც ბიჭები იყვნენ სულ მიამიტები. ეტლისკენ არც იყურებოდნენ, ვითომ სულ სხვა რამით იყვნენ გართულნი, სულაც სადარბაზოებს, ბოძებს, ხეებს ეფარებოდნენ, და შემდეგ ფეხაკრეფით დაედევნებოდნენ ფაეტონს და ნანატრ

როდის გაჩნდა ქალაქში ეს ავბედითი კიჟინა, რომელიც სხვადასხვა დოზით, მისი წარმომთქმელისა და მსხვერპლის მიხედვით, შეიცავდა დაბეზღების, დასმენის შიშნარევ სიხარულსაც, სხვისი მომავალი ტკივილის ავხორცეულსადისტურ განცდასაც, შურისძიების სიტკბოსაც და ზოგჯერ ეგებ სულაც უბოროტო ონავრულ შეხმაურებასაც და ქუჩის სეირის მოლოდინსაც?

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ვაგზლის მოედანი, 10-იანი წლების ფოტო

ღერძზე მოიკიდებდნენ ფეხს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მეეტლე წინ გასცქეროდა გზას, შეუმჩნეველი თავხედობა არ აღელვებდა, ხოლო წყვილი ბედაური ცხენისა და მათი ეტლისთვის განა რა ტვირთი უნდა ყოფილიყო ომისდროინდელი გაძვალტყავებული ბიჭუნა?

მაგრამ სძინავს როდისმე ეშმაკს? ხშირად უმალვე, ანდა წამების გავლის შემდეგ, აუცილებლად - "ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!.." მოგვესმოდა ამაზრზენი შეძახილი: "ზადიკნუტ!", "ზადიკნუტ!", "ზადიკნუტ!.." ბიჭი რაიმეს გადაწყვეტას ვერც ასწრებდა, ამოქმედდებოდა გაწაფული მკლავი და მაჯა, და შოლტიც თავის ეშმაკეულ საქმეს ასრულებდა.

როდის გაჩნდა ქალაქში ეს ავბედითი კიჟინა, რომელიც სხვადასხვა დოზით, მისი წარმომთქმელისა და მსხვერპლის მიხედვით, შეიცავდა დაბეზღების, დასმენის შიშნარევ სიხარულსაც, სხვისი მომავალი ტკივილის ავხორცეულ-სადისტურ განცდასაც, შურისძიების სიტკბოსაც და ზოგჯერ ეგებ სულაც უბოროტო ონავრულ შეხმაურებასაც და ქუჩის სეირის მოლოდინსაც?

მახსოვს ჩემი კბილა და კარის მეზობელი კეთილი ბიჭი, სიღარიბით, ბინა-სოროში ცხოვრებით ამომხრჩვალი, საჩოთირო ავადობით ისედაც დაჩაგრული, მაგრამ ქუჩურ-ქალაქურ სიქველეებში არავის ჩამორჩენილი ყმაწვილი, რა ოსტატურად შეუჯდა ბაზრის მხრიდან მომავალ ეტლს, ისე მარჯვედ მოკალათდა და გაიტრუნა, მგზავრობის ბოლო პუნქტამდეც აპირებდა, ალბათ, გაყოლას, მაგრამ გაისმა ის ავი ძახილი და ასევე ხელმარჯვედ მოქნეული შოლტის შხუილი. ბიჭი ტრუსისამარა იყო და როდესაც მივირბინეთ, ვნახეთ, რომ ორივე ბეჭზე, მხრიდან მხრამდე, კანაფუფქული წითელი ზოლი დასჩენოდა - "ზადიკნუტის" სისხლიანი კვალი.

როდის-მეთქი? - ვიკითხე ზემოთ. ეს არც ისე ძნელი წარმოსადგენია; ცხადია, მას შემდეგ, რაც ქალაქში ეკიპაჟები გაჩნდა (XIX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან). მაგრამ როგორ მოედო ასე ჩვენს ქუჩურ ყოფას ლამის საჭაპნო ტრანსპორტის აკრძალვამდე? (უკვე XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე). როგორ დამკვიდრდა "არარუსულენოვან" მოსახლეობაში, ლექსიკური სიცხადის მიუხედავად, გრამატიკულად თითქოს ამორფული შესიტყვება (თუ სწორედ ამ სიმარტივის გამო მოიკიდა ფეხი)?

ახლაც ვიცი და მაშინაც ვიცოდი, რომ იყვნენ ისინიც, ვისაც ერთხელაც არ წამოსცდენია ეს შეძახილი; მაგრამ ისიც მიკვირდა, რომ იმ გარემოში, სადაც სიტყვები "შპიკი", "აგენტი", "ხოზოგეპეუ" უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნდათ და ხშირ შემთხვევაში ზუსტად პოულობდა თავის ადრესატს, ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა "ზადიკნუტის" წამოძახილიცა და ჩვენს იმდროინდელ ძუნწ ცხოვრებაში ქუჩური სიამოვნების ეგრევე ჩაშხამება. ნუთუ აქაც საერთო "თამაშის" წესები მოქმედებდა?

მაგრამ ამ კითხვებს ახლა უკვე პასუხი აღარ უწერია. რაღა დროს ფაეტონი და "ზადიკნუტია"! ახლა სულ სხვა ეკიპაჟები დაქრიან, სულ სხვა შოლტები და ლახტები, ნაღმები და ხელკეტები ტრიალებს ადამიანთა თავზე, "მარადი თამაში" გრძელდება.

## "სოროკ!"

მეორე ასეთი საყოველთაო ქალაქური ყიჟინა იყო "სოროკ!" მაგრამ იგი უფრო სკოლებში, კლასებში იყო გავრცელებული (საბავშვო ბაღში არ მივლია და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი). ქუჩაში არც გამიგია, შეიძლება იმიტომაც, რომ ქუჩაში ჭამა, ღოღნა არც იყო წესად (გაჭირვების გამო? თუ ძველი ეთიკური ნორმიდან კიდევ შემოგვრჩენოდა რაღაც). ჭამა რა მოსატანია? 30-იან წლებში, იმ დიდ ომამდე, და მერეც, სკოლებში საფუძვლიანი სწავლება მიდიოდა, გაკვეთილები იშვიათად ცდებოდა და ზოგჯერ მშობლები საუზმესაც ატანდნენ ბავშვებს. სკოლაშიც შეიძლებოდა, ომამდე, რაღაც ფუნთუშეულის ყიდვა. მაგრამ საკმარისი იყო ამ ნუზლის პატრონს ჩანთიდან ამოეღო ეს "საუზმე", რომ უმალ მთელი კლასი იხუვლებდა: "სოროკ!", "სოროკ!" (უფრო სწორად - მამრობითი ნაწილი; გოგოები, როგორც წესი, არ მონაწილეობდნენ ამ გასტრონომიულ ორგიაში). იწყებოდა ულმობელი ტაციობა, წეწვა-გლეჯა; ვინც პირველი შეეხიარებოდა ლუკმაში, ახლა იმას სხვა შესძახებდა მაგიურ პაროლს და ასე ჯაჭვური რეაქციით ქუცმაცდებოდა და ნაწილდებოდა ერთი ბალღის დღიური ულუფა.

თვითონ სიტყვა რაღას ნიშნავდა? შეიძლება ამ შემთხვევაში ეს რიცხვითი სახელი უკავშირდებოდეს რუსულსავე ტერმინს "სოროკოვინი", რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი "ორმოცის", სამგლოვიარო-მოსახსენიებელი რიტუალის აღმნიშვნელია. რუსულშივე არსებობს სიტყვა "სოროკობრატჩინა", რომელიც ყველასთვის გაშლილ (ალბათ, "ორმოცის" - "სოროკოვინის" დროს), სამადლო სუფრას გულისხმობს. თავისთავად ლუკმის გაზიარება ძველთაძველი ადამიანური წესია, მაგრამ ის, რაც კლასებში ხდებოდა, ძალზე შორს იდგა ამისგან...

რა თქმა უნდა, აქაც - "ზადიკნუტის" არ იყოს, მახსოვს ისინიც, ვისაც არასოდეს წარმოუთქვამს ეს სიტყვა და "თავისი" წილიც არასოდეს მოუთხოვია. მათ შორის მეც გახლდით; მაგრამ ერთხელ კი მეც მერგო "სოროკით" მომადლებული ლუკმა.

კლასში ერთი გამორჩეულად გონიერი, დალეული, მაგრამ ყოჩაღი და მოხერხებული ბიჭი გვყავდა - რ.კ.; ჩვენს (ყოფილ მე-8) სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სასამართლოს ქუჩაზე. ობოლი იყო, ხნიერი მამა ჰყავდა, ისიც ტანმორჩილი, მშობელთა კრებებს ე.წ. "ხალხური მახვილსიტყვაობით" ახალისებდა (მაშინ კუთხურ იუმორს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული საყოველთაო ლიტერატურულ-თეატრალური რეზონანსი). რ.კ-ს უფროსი დები ჰყავდა, მე-9 თუ სულაც მე-10 კლასში სწავლობდნენ (ეს მაშინ ჩვენთვის ლამის სორბონა იყო). უკვე მაშინვე განგან იყურებოდა, ჩვენზე ადრე შედიოდა "ცხოვრების ზღვაში". ომი რომ დაიწყო, ჩვენს სკოლაში, მთაწმინდის უბანში, სამხედრო ჰოსპიტალი გახსნეს და სხვა სკოლების კარდაკარ მოგვიხდა წანწალი, სანამ ცნობილმა და რესპექტაბელურმა I სკოლამ არ შეგვიკედლა. რ.კ. უკვე ჩვენს კლასში აღარც დადიოდა. შემდეგ მხოლოდ სამჯერ შევხვდი და სამივე შეხვედრა ჩამრჩა მეხსიერებაში.

ბესიკის ქუჩაზე იყო ე.წ. "მერჟინსკის კლუბი", მისი ქვედა სართული ეკავა "დინამოს" სპორტსაზოგადოების დარბაზს. აქ იყო კრივის, ტანვარჯიშის, კალათბურთის სექციები. დიდ, კრიალა დარბაზში იმართებოდა კალათბურთის მატჩები, ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები. მაყურებლისათვის კედელს ერთ მხარეს ქანდარა ჰქონდა დატანებული. უშუალოდ დარბაზს კი "შვედური სკამები" მიუყვებოდა და ნახევარი ნაბიჯიც არ გვაშორებდა ასპარეზის გამმიჯნავ თეთრ ხაზს. ომის დროს და შემდგომაც გვიყვარდა აქ ყოფნა: განსაკუთრებით ზამთარში: გათოშილი, ატალახებული, აბუზული ქუჩებიდან გაჩახჩახებულ, გაკრიალებულ დარბაზში შემოსვლა და მხნე, ერთმანეთის მჯობი ქართველი კალათბურთელების თუ გიმნასტების ყურება. ქუჩიდან იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ კლასში უკვე მთელ ქალაქში ცნობილი კალათბურთელები გვყავდა და მათ მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც კარგად იცნობდნენ. განსაკუთრებით ლენინგრადელი ლტოლვილი, ერთხანს ქალაქში ჩარჩენილი ოსტატი მოთამაშე და აღმზრდელი სწყალობდა მასავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანმორჩილ და ტექნიკურ ჩვენკლასელ ბიჭს. აი, ისინი "გვატარებდნენ" ხოლმე. ერთხელაც ასე ვიდექით დარბაზში შესასვლელი პატარა კარების წინ, ბაქანზე, 6 თუ 7 ბიჭი და რ.კ-ც გამოჩნდა, გაღიმებული, ხალისიანი; ალერსით მოგვიკითხა (როგორც ვთქვი, იქვე, ზემოთ ცხოვრობდა); ძველი მერვესკოლელები სიხარულით მივესალმეთ (კარგა ხანი იყო გასული, რაც სკოლაში აღარც დადიოდა). უფროსი ხალხიდან ჯერ არავინ ჩანდა. რ.კ-მ დიდი ფუნთუშა ამოიღო ჯიბიდან; ყიჟინას ვერ ვიტყვი, მაგრამ უმალვე გაისმა უკვე ჩვენი მოწიფული ასაკის შესაფერისი დარბაისლური "ზოროკ!" ფუნთუშა დანაწილდა. "ეს კიდევ ისე დარჩა", - ჩემი მისამართით თქვა უბოროტო მაღალმა ბიჭმა. "არა უშავს, მაგისთვისაც მაქვს რაღაც", - ღიმილით შეეპასუხა რ.კ., კოჭებამდე ჩამოფართხუნებული პალტოს ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქაღალდში საგულდაგულოდ შეხვეული ლუკმა ამოიღო და თავისი ხელით პირთან მომიტანა. ეს იყო, ალბათ, ტორტის პატარა ნაჭერი (ქალები რომ "ბისკვიტს" ეძახიან) და ზემოდანაც დატკბილული ნუშის გული ედო. სახტად დარჩენილმა ბიჭებმა კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრეს. ალბათ, თვითონ ამ წამის სიდიადეს ვერ შეჰბედა ბრბოს შეძახილმა... 55 წელიწადი მაინც გავიდა ზამთრის იმ საღამოდან და ახლაც არ დამვიწყებია მაინც "ზოროკის" წყალობით გაჩენილი იმ ანაზდეული ლუკმის გემო - ჯერ ბისკვიტი ჩამადნა, მერე ნუშს გადასხმული თაფლი თუ ხილფაფა, ბოლოს კი მოხალული ნუშიც ჩახრამუნდა.

მეორეჯერ რ.კ-ს რამდენიმე წლის შემდეგ შევხვდი. პირველკურსელი სტუდენტი ვიყავი; გაზაფხული იდგა; დილაადრიან კარგად მორწყულ კომუნარების ბაღს ამოვივლიდი და რუსთაველით მივდიოდი უნივერსიტეტისკენ. იმ დილითაც ასე იყო. ზედა ბაღს შევუდექი და ვხედავ, რ.კ. მოდის ზემოდან, გამხდარი, აბურძგნული. გადავეხვიეთ ერთმანეთს. "როგორ ხარ? რას აკეთებ?" - ვკითხე, თუმცა კარგად ვხედავდი, რომ ვერ იყო თავის გუნებისად. "როგორ უნდა ვიყო, კაცს რომ ეს შეგეყრება!" - მითხრა და დაასახელა მაშინ ყველასთვის ზარდამცემი უმთავრესი "ვენეციური" სნეულება. არ მორიდებია, რომ ბაღის იმ კუთხეში გამვლელ-გამომვლელებიც იყვნენ, განწირული სნეული კაცის მოურიდებლობით, უტიფრად და ნიშნისმოგებით მიჩვენა წყლული და გამომემშვიდობა. კვლავ გადავკოცნეთ ერთმანეთი. საცოდაობით დავიწვი, გზაშიც და მერეც მთელ ზაფხულს მახსენდებოდა სანკულტურის თეატრის ვესტიბიული (იყო პლეხანოვის გამზირზე რიგიანი ქართული კამერული თეატრი, სანიტარული კულტურის პროპაგანდას ემსახურებოდა, ისე კი ჩვეულებრივ კარგ სპექტაკლებსაც დგამდნენ). ჰოდა, ამ თეატრის ერთ-ერთ წარმოდგენაზე ყოფნისას ფოიეში ნანახი თემატური გამოფენა მაგონდებოდა, ამ ავადობის კოშმარებს რომ წარმოსახავდა. აგრეთვე ომის დროს ქვემო ქართლის ერთ მშვენიერ სოფელში ამავე თეატრის პატარა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სცენებიც გავიხსენე, რომელთაგან ერთი სწორედ იმ თემას ეძღვნებოდა. მაგრამ კალოობის გრძელი დღის შემდეგ წარმოდგენაზე მოსულ გოგო-ბიჭებს, ქალებსა და ხანში შესულ გლეხკაცებს (ახალგაზრდობა სასაკლაოზე იყო გარეკილი) ლამპის შუქზე, აკორდეონის ხმაზე, ოთხი მსახიობის მიერ საოცრად ხალისიანად, ტემპერამენტით, პირობით-თეატრალურად, ზოგჯერ ნატურალისტურადაც, გათამაშებული სცენები, განურჩევლად ყველას, დიდ სიხარულს, აღტაცებას ჰგვრიდა. თვითონ დარბაზში ერთი-ორჯერ მორიდებით, ხმადაბლა წარმოთქმულ გაქართულებულ "სუსუნატსაც" არ ახლდა მისი ლიტერატურული შესატყვისი ტერმინის ავბედითი ელფერი; და მთელი ეს მოგონება ძაან შორს იდგა საწყალ რ.კ-ის თავს დატეხილი უბედურებისაგან.

მესამედ და, ალბათ, უკანასკნელად (თუმცა ღმერთი მოწყალეა, რა ვიცით!) რ.კ-ს ორი წლის შემდეგ შევხვდი. კვლავ გაზაფხული იყო. უნივერსიტეტიდან ტრამვაით ვბრუნდებოდი. უკანა მერხზე, კონდუქტორის პირდაპირ ვიჯექი, ისევ ძნელაძის ქუჩაზე, "იმელის" ჩამოსახვევის კუთხეში, გაჩერებაზე, რ.კ. ამოვიდა. მაგრამ რა უგავდა ადრე აქვე ბაღში შეხვედრილ "ლუეტიკს"? ლამაზად, კოხტად იყო ჩაცმული, საუკეთესო ფეხსაცმელი, შარვალ-პერანგი, ფაქიზად გადავარცხნილი ყორნისფერი თმა, თეთრ-ყირმიზი სახე, გაბრწყინებული თვალები, ონავრული გამოხედვა. მაშინვე მივხვდი, რომ მაშინ იოლად გადარჩენილიყო, ალბათ, "ვენეციური სურდო" მოეხადა. ძველებურად გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. სიხარულით მოვიკითხე (ისე, პასუხიც აღარ მჭირდებოდა); "აბა, როგორ უნდა ვიყო, ასეთი არსება რომ ამოვა ტრამვაიში!" გვერდზე გავიხედე; გასასვლელში, ჩვენსა და კონდუქტორს შორის ახალგაზრდა ტანადი ქალი იდგა, ჩვენზე ბევრად უფროსი, იმ დროის კვალობაზე არც ძაან მკაცრად, მაგრამ არც სულ შილიფად ჩაცმული; შეიძლება სულ ელიტის წარმომადგენელი არ იყო, მაგრამ უბრალოც არ ეთქმოდა, თავიც ისე ეჭირა, ვაგლახად ვერაფერს ჰკადრებდი, ნაცნობებიც არ უნდა ყოფილიყვნენ (თორემ სალამს რა დაუდგებოდა წინ?). რ.კ-მ ეს თქვა და აი, ამ ჯეირანივით ქალს ალერსით, ნაზად დაუსვა ხელი, ქეჩოდან წელს ჩამოჰყვა, და მერე დანდობილად დაასვენა.

უკვე წარმოვიდგინე კივილი, ლანძღვა. თანაც ტრამვაი ბერიას რაიონის მილიციის განყოფილების შენობას გაუსწორდა, რომლის უფროსები წლების მანძილზე ცნობილი იყვნენ რუსთაველზე წესრიგის დამყარების დროს გამოჩენილი სისასტიკით. არადა, ჩამიჩუმი არ მესმოდა. დაღმართიც ჩავიქროლეთ და ახალ, ჩემს გაჩერებაზეც მივედით (ლიტერატურის მუზეუმთან). უკანმოუხედავად ჩამოვედი.

"არა, ეს რ. ნამდვილად შარში გამხვევს და თავის იმ უტკბილეს ლუკმას ამომამხამებს", - ვფიქრობდი და მილიციასთან ჩაქროლებისას განცდილ შიშზეც მეცინებოდა; და ისიც მაგონდებოდა, რომ "ზოროკს" ადრე მარტო სასუსნავის დანახვაზე არ გაჰკიოდნენ, უფრო თავხედები გოგოსთან მიმავალ ნაცნობ ბიჭსაც გააგონებდნენ, კინოში კი მაშინდელი "ეროტიკული" სცენების (უმანკო კოცნის) დროს კარგა ხმამაღლა აღმოხდებოდათ ხოლმე.

ამის მერე რ.კ. ნამდვილად აღარ მინახავს. სულ მოულოდნელად კი ამ რამდენიმე წლის წინ მაინც გავიგონე მისი სახელი.

ეს მაშინ იყო, როდესაც "თბილისის სამოქალაქო ომის" შემდეგ ქურდების აპოლოგია დაიწყო. ერთ ახალგამოცემულ გაზეთში ახალგაზრდა ქალის წერილი წავიკითხე. ენაალესილი ენთუზიასტი ნეოფიტის ნაწერი იყო. ძველ ხელისუფლებას აძაგებდა, იმასაც აყვედრიდა, ქურდებს პატივს არ სცემდნენო, ლანძღავდნენო. არადა, ხომ კარგად მოგვეხსენება, საბჭოთა პერიოდში მათი ანტიკომუნისტური განწყობილება და როლიო. პირადად ვიცი, ჩვენს უბანში ახალგაზრდობის ეთიკურ-მორალური სახის ჩამოყალიბებაში კანონიერ ქურდებს უდიდესი ღვაწლი რომ მიუძღვისო! და იქვე ასახელებდა სამ კაცს. ორნი ჩემთვის უცნობები იყვნენ. მესამე კი რ.კ. გახლდათ! (ასე ერგო დაკუწული ქვეყნიდან მასაც თავისი წილი საორმოცე არჩივი).

ახალგაზრდა ქალბატონი უბანს არ ასახელებდა. არადა მთაწმინდასთან რაღაც კავშირი სულ მქონდა, ძველ თანაკლასელს კი იქ ერთხელაც არ შევხვედრივარ. სხვაგან გადავიდა და იქ მოღვაწეობდა?

ისე კი რ.კ. მართლა კარგი ბიჭი იყო! (თუ ცოცხალია, ღმერთი შეეწიოს; დაუყვედრებელი ლუკმა არ მოჰკლებოდეს).

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბესიკ ხარანაული: "პოეზია ყველა პოეტისთვის იმდენნაირია, რამდენნაირადაც თვითონ არის დაელმებული"



**- თავიდან დავიწყოთ. თქვენი პირველი წიგნი 68 წელს გამოვიდა. არ გეშინოდათ, რომ მკითხველისთვის, რომელიც სულ სხვანაირ პოეზიას იყო დაჩვეული, თქვენი ლექსები უცხო და, შესაძლოა, მიუღებელიც ყოფილიყო?**

- იცი რა, მაშინ მაგაზე ფიქრის დრო თითქოს არ იყო. ახალგაზრდა ვიყავი და ეგეთ რამეებზე არ ვფიქრობდი. ყოველ შემთხვევაში, შიში ნამდვილად არ მქონია. რამდენიმე ადამიანს მოსწონდა ჩემი ლექსები და ეს საკმარისი იყო. რაც მთავარია, მე ვთვლიდი ბუნებრივად იმას, რასაც ვწერდი. ამ ყველაფერს "ლიტერატურულად" არ ვუყურებდი. მოკლედ, თავს ნაღდად არ ვიხურებდი იმაზე ფიქრით, ვის მოეწონებოდა ჩემი ნაწერები და ვის არა. დავწერე რაღაც და, ღვთის წყალობით, ვიღაცამ დამიბეჭდა, ეს იყო და ეს.

**- გასაგებია, მაგრამ დღესაც ხშირად ვხვდები ხალხს, ვინც, მართალია, თავს პოეზიის მოყვარულად და მცოდნედ თვლის, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ლექსი იყოს ურითმო.**

- მე გეტყვი, ვისთან ვიყავი მაშინ ახლოს. გრიგოლ აბაშიძესთან, არჩილ სულაკაურთან, წიგნის გამოსვლის შემდეგ იოსებ ნონეშვილს დავუახლოვდი; და ეს ხალხი ასე არ თვლიდა. ერთიორი ჩემი მეგობარიც არ თვლიდა ასე. რაც მთავარია, მე თვითონ არ ვთვლიდი ასე.

**- და მაინც, 70-იანი წლების ბოლოს სრულიად ზრდასრული ადამიანები, თანაც ლიტერატორები, მთელი სერიოზულობით კამათობდნენ პრესაში იმაზე, ჰქონდა თუ არა ურითმო ლექსს არსებობის უფლება.**

- მე ვერ გამაგებინებდი, რომ ეს პოეზია არ იყო. შეიძლება თავი დამეხარა, შეიძლება ვინმეს ვითომ დავთანხმებოდი, მაგრამ მაინც ვერ გამაგებინებდი, რომ ეს არ იყო პოეზია, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ რითმა არ ჰქონდა. რითმა საერთოდ სისულელე იქნებოდა იმაში, რასაც ვწერდი.

**- ესე იგი იმ ხალხის აზრი არანაირად არ მოქმედებდა თქვენზე?**

- შეიძლება მოქმედებდა, მაგრამ რეაქცია არ მქონია. ერთადერთი რეაქცია იყო წიგნის სათაური. ავდექი და წიგნს "ლექსები" დავარქვი. ვიფიქრე, ყველაზე დიდი გაბედულება ეს არის-მეთქი. ეს იყო ჩემი პროტესტი. მაგრამ შინაგანი განცდები, მერყეობა, ეგეთი რაღაცეები არ მქონია.

**- "ხეიბარ თოჯინას" კი პოემა დაარქვით, არა? გარეკანზე დიდი შრიფტით რამდენჯერმე წერია "პოემა". ესეც იმავე მიზეზით გააკეთეთ?**

- კი, რაღაცნაირი გამოწვევა იყო ალბათ.

**- და ალბათ ჯიბრიც...**

- ხო, რაღაც ეგეთი. სხვა რეაქცია არ მქონია.

**- რომელი პოეტები იყვნენ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანნი იმ დროს?**

- ჯერ ერთი, წარმოიდგინე, მაშინ რა ლიტერატურაზე მიგვიწვდებოდა ხელი? თან მე ენები არ ვიცი. ასე რომ, რამე ისეთი, რასაც შეიძლება წავექეზებინე, ვინმე რომ მყოლოდა მხედველობაში - აი, ასეთი მაგალითებიც არსებობსო, - ასეთი რამე თითქმის არ იყო. თუ მაინცდამაინც ვიღაც ჩამაცივდებოდა, ყველა ასე წერს და შენ რატომ წერ ისეო, რაღაცეების ჩამოთვლა კი შეიძლებოდა, მაგრამ ღირდა? არ ღირდა. მერე და მერე - კი, უფრო მეტ ლიტერატურაზე მიგვიწვდა ხელი რუსული წიგნებით, - ჩვენ ხომ რუსულენოვანი მკითხველები ვართ. მერე ათასი რაღაც წავიკითხე, რამაც ცოტა გული გამიკეთა, მაგრამ ეს უკვე პოსტ ფაქტუმ. მანამდე კი, ვინც ყველაზე მეტად მათამამებდა, ეს იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი და ივანე მაჩაბელი. ეს ორი სახელი იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმული თუ ბიძგი, რაც გინდა დაარქვი. ახლაც ასეა. ამ რამდენიმე დღის წინ წავიკითხე "ღამე ყაბახზე"; მეორედ არ დაიწერება ეგეთი რამე, აი, ამაშია საქმე. იქ ხომ რითმის გამო არ ხდება არაფერი, არ არის ორ-ორი სტრიქონი, რომელიც სხვა ორ-ორმა სტრიქონმა უნდა გაათრიოს. ასეთი რაღაცეები იქ არ არის. მაჩაბლის თარგმანების კითხვა ძალიან ადრე დავიწყე, სკოლაში ჰამლეტიც მაქვს ნათამაშები. არის ხალხი, ვინც იზრდებოდა, ვთქვათ, ბიბლიაზე. მე ამაზე ვიზრდებოდი, შექსპირით ვისწავლე რაღაცეები, პირველი რაღაცეები. მაჩაბელი ჩემთვის არის გენიოსი, როგორც, ვთქვათ... აი, ვაჟა ხომ არის გენიოსი, ასევეა ჩემთვის მაჩაბელიც. მაგალითად, მე დღეს რომ მიყვარს ვაჟა, ისე მაშინ არ მიყვარდა. მაშინ ჩემთვის იყო ეს ორი კაცი, ბარათაშვილი და მაჩაბელი; სულ სხვა წინადადებებია, სხვა სინტაქსია, სტრიქონები სხვანაირად არის დალაგებული და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ქართულადაა გაკეთებული.

**- თქვენი პირველი წიგნების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მარტო ურითმობა არ იყო. თქვენთან არ ჩანს, ან სხვანაირად ჩანს, ტრადიციული ქართული თემები, ვთქვათ, სამშობლო, სიყვარული.**

- სამშობლოს კიდევ რა უშავს... მაგრამ, აი, ავიღოთ ლორკა. უცებ მთელმა ქართულმა ლიტერატურამ შეიყვარა ლორკა. მთელმა თაობებმა, ყველამ, ერთდროულად თითო-თითო ლექსი მიუძღვნეს ლორკას, წარმოგიდგენია? როგორც ლენინზე უნდა ეწერა ყველას, ისე წერეს ლექსები ლორკაზე. ასეთი რამეები იყო. გაჩნდებოდა ხოლმე რაღაც აუცილებელი თემა და ყველა ამ თემაზე იწყებდა წერას, მერე სხვა თემა ჩაენაცვლებოდა, და ასე შემდეგ. ყველა ქარხანა ერთ ღვინოს ჩამოასხამდა ხოლმე. ისიც ეგრე იყო, ლექსები სამშობლოზე...

**- და თქვენ ამ დროს წერთ "საიქიოში აღარ მინდა მე ქართველობაო". მართალია, ეს თითქოს "ხეიბარი თოჯინას" ლირიკული გმირის სიტყვებია, მაგრამ რატომღაც უფრო თქვენად ისმის, პოეტის ნათქვამს უფრო ჰგავს, ვიდრე პოემის ლირიკული გმირისას, რომელიც, თავის მხრივ, არ არის პოეტი.**

- სხვათაშორის, "ხეიბარი თოჯინას" ლირიკული გმირის საქმე ცოტა სხვანაირად იყო. მაშინ ურთიერთობა მქონდა ერთ-ორ კარგ პოეტთან, ვინც ხელნაწერი წაიკითხა და მოუნდათ, რომ მე გადამეკეთებინა "ხეიბარი თოჯინა" ლირიკულ პოემად, სადაც პოეტი დაპირისპირებული იქნებოდა დანარჩენ სამყაროსთან, გესმის? მერე იგივე ხალხი მეუბნებოდა, სწორი ქენი, რომ არ შეცვალეო. "ხეიბარი თოჯინას" მოქმედი გმირი რეალური ადამიანია. მე მისი ყველაფერი ზეპირად ვიცოდი, როგორ, სად, როდის რას ამბობდა. პოემა თავიდან ბოლომდე რეალური სურათებითაა აწყობილი. პოემის გმირი არ არის პოეტი. ესე იგი ჩემგან განსხვავებით, მას არ აქვს ილუზია, რომ რაღაც გადაარჩენს. საერთოდ, მე არ მიყვარს, ავტორები გმირებს რომ კლავენ ხოლმე, როგორ-მეთქი, ვერ ვეგუები. არადა, აქ მეც ცოტა ბოროტულად გამომივიდა... რა ვუყო, ასე მოხდა.

**- "ხეიბარ თოჯინასაც" და,**

**საერთოდ, თქვენი ლექსების უმეტესობას ეტყობა, რომ უცებ არ არიან დაწერილები. მუშაობის კვალი ეტყობათ, დროში გაწელილი მუშაობის კვალი.**

- მუშაობა რასაც ქვია, ყველაზე რთული ეგ იყო, "ხეიბარი თოჯინას" წერა. უფრო სწორად, წერა კი არა, - წერა კარგი იყო, - მომზადება იყო რთული. მთელი წელი ვაგროვებდი მასალებს, შიგადაშიგ რაღაცეებს ვიწერდი. თავიდან უფრო დამცინავი ნაწარმოები მქონდა ჩაფიქრებული. ამის კვალი აქა-იქ შემორჩა კიდეც. მაგრამ მერე და მერე ტრაგედიისკენ წავედი. იმიტომ, რომ უდანაშაულო კაცი ჩანდა ეს ჩემი გმირი. მოკლედ, მთელი წელი ვამზადებდი, რაღაცეებს ვინიშნავდი და მერე ერთ თვეში, თიანეთში, ყველაფერი დავწერე. ასე გემრიელად არც მანამდე და არც მერე არაფერზე მიმუშავია. ვილვიძებდი და მიხაროდა, რომ უნდა მეწერა. იმ 24 დღეში - შვებულების დღეები იყო - კიდეც დავწერე და კიდეც გადავათეთრე.

**- თუ სწორად გავიგე, ყოველთვის არ არის ხოლმე მუშაობა ასე სასიამოვნო.**

- არა, არის ხოლმე ცუდი მუშაობაც. ის კარგი მუშაობა იყო. მაგალითად, "კარტოფილის ამოღებას" რომ ვწერდი, ძალიან გამიჭირდა. არის ხოლმე, რაღაცის წერას დაიწყებ და მერე იძახი, რა მრჯიდა, რას ავიტკივე აუტკივარი თავიო. სულ დაძაბული ვიყავი, რომ პოეზია გამომსვლოდა და არა ნოველა. რა ვიცი, ბოლოს რაღაცა მაინც მოვახერხე. თავიდან კი... იცი, რა იყო? აი, რაიმე მძიმე საქმეს რომ გამოუგონებ შენს თავს და მერე ველარ ეშვები.

**- "კარტოფილის ამოღებამ" საკმაოდ ორგანიზებული აღშფოთება გამოიწვია ლიტერატურულ წრეებში. სხვათა შორის, სწორედ ის დაგდეს ბრალად, რისიც თვითონვე გეშინოდათ: პროზაა და არა პოეზიაო.**

- რაღაცეები დაიბეჭდა, გამაკრიტიკეს. მაგრამ, რა ვიცი, ამ ყველაფერს საერთოდ არ გავუღიზიანებივარ. საერთოდ, ნაკლებად მაღელვებს სხვისი აზრი, განსაკუთრებით უარყოფითი. თუ უარყოფითმა აგაღელვა, დადებითი რაღას გიზამს? დადებითს ხომ სულ გადაჰყვები მაშინ... არ ღირს. კი მინდა, რაც შეიძლება მეტი მაქონ, მაგრამ, თუ ასე არ იქნა, რა ვქნა, მაგას ნაღდად ვერ გადავყვები. "კარტოფილის ამოღებას" ერთი სასაცილო ამბავი მოყვა. გურამ ასათიანთან შევდივარ, ის ვიღაცას ელაპარაკება ტელეფონით: ხო, კაცო, პროზაა, აბა რა არისო. დამკაბადონებელს შეეშალა, პროზად უნდა აეწყოო. ეე, გულმა მიგრძნო, ჩემზე ლაპარაკობს-მეთქი. გურამი ეუბნება იმ ვიღაცას: აბა რა, კაცო, რა ჩვენი საქმეა კარტოფილი, აი, ყურძენზე უნდა დაეწერაო, ვაზზეო. ქართველმა კაცმა ყურძენზე უნდა წეროს, აბა რაო. თანაც პროზაა, დამკაბადონებელს შეეშალაო. მერე უთხრა, აგერ არის დამკაბადონებელი და თვითონ დაელაპარაკეო; ეს უთხრა და ყურმილი მომაჩეჩა. შევრჩი იმ ვიღაცას...

**- ვის შერჩით?**

- არ მინდა, რომ ვთქვა. დიდი კაცი იყო, თან კარგი კაცი. წინათ ჩემზე კარგი სიტყვებიც ჰქონდა დახარჯული. ჰოდა, შევრჩი ამ კაცს. მოვუბოდიშე, შემეშალა-მეთქი, პროზად უნდა ამეწყო-მეთქი. რა მიხვედრა მაგას უნდოდა, რომ პროზა იყო-მეთქი...

**- მოკლედ, კრიტიკა ნაკლებად გაღელვებთ; ქებაც. მაგრამ ის მაინც თუ გაღელვებდათ, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არც გაქებდნენ და არც გაკრიტიკებდნენ, ძირითადად თითქოს "ვერ გამჩნევდნენ", წაგიყრუეს?**

- არა, რატომ? მე მასე არ ვფიქრობ. პირველ წიგნზე, მაგალითად, თამაზ ჩხენკელმა დაწერა კარგი წერილი. მერეც იყო რაღაცეები. მე ვერავის მიმართ ვერ ვიტყვი სამდურავს. რა ვიცი, მე მგონია, რომ მაინც თბილად მიმიღეს. კარგი ხალხი იყო ჩემს ირგვლივ. როცა ჩვენ "ხეიბარ თოჯინას" ვამზადებდით...

**- "ჩვენ" რას ნიშნავს?**

- რას და, მარტო კი არ ვიყავი, რედაქტორი იყო, კიდევ სხვებიც, გრიშა ჯულუხიძე იყო, რომელსაც დიდი ამაგი აქვს ამ წიგნზე. როგორღაც ყველამ ერთად გავიტანეთ ეს პოემა. სხვათაშორის, არ იყო ადვილი. ჯერ ერთი - ცენზურა. მაგრამ ცენზურის ქალებს ვუყვარდი. ისე მოხდა, რომ ერთ სართულზე ვმუშაობდით, ჰოდა იმ ქალებს ვუყვარდი. რაღაცნაირად ჩუმად გააძვრინეს წიგნი. მოკლედ, ეს პირველი ბარიერი გადავლახეთ. მერე იყო მთავარი, გამომცემლობა; დირექტორი, მთავარი რედაქტორი.

**- ცენზურაში უდანაკარგოდ გაძვერით?**

- მგონი... მგონი, არც ერთი სტრიქონი არ წაუშლიათ.

**- ზუსტად არც გახსოვთ?**

- ზუსტად არა, მაგრამ ალბათ არაფერი შეუცვლიათ. საერთოდ, ცხოვრებას ემოციებით ვიმახსოვრებ და რამე განსაკუთრებული ემოცია არ მაგონდება. ესე იგი არაფერი წაუშლიათ ან, თუ წამიშალეს, რაღაც უმნიშვნელო, ისეთი, დამახსოვრებად რომ არ ღირდა.

**- კარგით. გამომცემლობის დირექტორი და მთავარი რედაქტორი ახსენეთ. იმათ რაღა მოუხერხეთ?**

- ხო, ეგ იყო მაგარი. მაგათ რომ პოემა ენახათ, არ არსებობს, გამოეცათ. მოკლედ, დირექტორის და მთავარი რედაქტორის ცნობიერებაში ნელ-ნელა შევიყვანე აზრი, რომ ეს იყო ჩემი პირველი წიგნის მეორე გამოცემა. ვითომ ძველი წიგნი იყო. მახსოვს, მაშინდელი დირექტორი - სხვათა შორის, ჩემთვის ძალიან საპატივცემულო ადამიანი - მეუბნებოდა კიდეც, ერთ ლექსში ფარდაგი გაქვს ნახსენები და ყდაზეც ფარდაგი დაახატეთო. პირველ წიგნში მართლა იყო ეგეთი ლექსი. კი-მეთქი, რას ვეტყოდი, აუცილებლად ფარდაგი უნდა დავახატოთ-მეთქი. მოკლედ, როგორღაც დაიბეჭდა წიგნი. ყდაზე აწერია "პოემა, პოემა, პოემა, პოემა". სპარტაკ ცინცაძე იყო მხატვარი და ოთხჯერ დააწერა ეს "პოემა".

**- ბოლო-ბოლო როგორ გაიგეს უფროსებმა, რომ ეს სხვა წიგნი იყო?**

- საქმეც ისაა, რომ ვერ გაიგეს. დაიბეჭდა და, ახლა რა ვქნა, ხომ უნდა შევუტანო დირექტორს. შევუტანე, დავუდე. დახედა და, ეჰ, რატო ქენით ესაო, მეუბნება. ხომ გითხარით, ფარდაგი დაახატეთ-მეთქი. ვეუბნები, რა ვიცი, სპარტაკმა ასე დახატა და ველარ ვუთხარი-მეთქი ვერაფერი. სპარტაკს გადავაბრალე. კარგი. ახლა ხომ უნდა დავუტოვო წიგნი, და ხომ შეიძლება გადაშალოს და ნახოს, რომ ეს სხვა წიგნია...

**- რა, შეიძლება არც გადაეშალა?**

- აბა რა! ისეთი კარგი კაცი იყო, იმედი მქონდა, არ გადაშლიდა. მაგრამ ხომ შეიძლება მაინც გადაეშალა, თეორიულად ხომ იყო ამისი შანსი. ხომ შეიძლება - დავუშვათ - წაკითხვაც მონდომებოდა, რა იცი... ჰოდა, ვეუბნები, მერე ხომ მაინც უნდა გაჩუქოთ და, მოდით, ახლა ამ წიგნს წავიღებ-მეთქი. ასე ვანახე და წამოვიღე წიგნი.

**- მთავარ რედაქტორთან როგორ იყო საქმე?**

- ხო, ეგეც ძალიან სახიფათო იყო, ხომ შეიძლება მაგას გადაეშალა? თან გავრცელებაზე მთავარი რედაქტორი აწერდა ხელს. მაშინ ასე იყო, ვიდრე მაღაზიებში გაიტანდნენ, წიგნი ათი დღე უნდა დებულიყო გამომცემლობაში. ამ ათ დღეში ვიღაცას რომ გადაეშალა, დავიღუპე!

**- მაგრამ აქაც გადარჩით?**



- გადავრჩი, აბა! როგორ იყო ამ წიგნის საქმე, იცი? აი, ვთქვათ, რაღაცას რომ იპარავ. ვთქვათ, ნახატი უნდა მოიპარო გამოფენიდან. მაგას ხომ აქვს თავისი ეტაპები, ჯერ სიგნალიზაცია უნდა გამორთო, ეს ნახატი ჩამოხსნა, გამოიტანო, რაღაც ეგეთები... ასე იყო "ხეიბარი თოჯინას" ამბავიც.

**- ამის შემდეგ გამოქვეყნდა გურამ ასათიანის "ღია წერილი ხეიბარი თოჯინას ავტორს".**

- სხვათაშორის, ძალიან მისტიკური თუ რაღაც ეგეთი ამბავი მოხდა. ჯუმბერ თითმერიასთან ვიყავი "კრიტიკის" რედაქციაში. ამ დროს ვიღაც მოვიდა, ხო, გურამ გვერდწითელი მოვიდა. იქ ვიღაცამ ჰკითხა გვერდწითელს, გურამ ასათიანი სად არისო. ამან უთხრა, წყნეთშიაო. მე გავაგრძელე, წყნეთშია და ჩემს წიგნზე წერს წერილს-მეთქი. ეს ისე ვთქვი, ჩემთვის, ვიხუმრესავით. მაშინ გურამ ასათიანს წესიერად არც კი ვიცნობდი. ვესალმებოდი და ეგ იყო, მეტი ურთიერთობა არ მქონდა. მეორე დღეს ზღვაზე წავედი, ცოლ-შვილი წავიყვანე. უკან რომ ვბრუნდებოდით, არ მახსოვს - რატომ, საჩხერეში მოვხვდით და აკაკის სახლ-მუზეუმში მივედით. ბილეთს რომ ვიღებდი, სახელი მკითხეს. ვუთხარი, ესა და ეს ვარ-მეთქი. იმან კიდე თავი გადაიკლა, თქვენ ბილეთი არ გინდათ, ისე მიბრძანდითო. ვა, გავგიჟდი, რომელი ცნობილი პოეტი მე ვიყავი. ვეუბნები, რას ამბობთ, ძლივს მოვსულვარ, ერთ-ორ შაურს შევეწევი-მეთქი მუზეუმს. ბოლოს, მგონი, მაინც ავიღე ბილეთი, არ მახსოვს. მოკლედ, ძალიან დავიბენი. ჩამოვედი თბილისში. აი, ვატყობ, რომ რაღაც შეცვლილია, თითქოს რაღაც შეიცვალა ჰაერში. არც არავინ მიბღვერის, არც არავინ გადამეტებულ პატივს არ მომაგებს, მაგრამ ხომ ვატყობ, რაღაც სხვანაირი ხდება. რა, არ ვიცი. ჰოდა მერე, გვიან, გავიგე, რომ გურამის წერილი დაბეჭდილა ჩემზე. წავედი, სადღაც ვიშოვე "ლიტერატურული საქართველოს"-ის ძველი ნომერი. ასე, დაგვიანებით წავიკითხე ეგ წერილი, ყველაზე ბოლოს. გურამ ასათიანი იყო... იშვიათად იბადებიან ეგეთები, ეგეთი ლიტერატორები. ისეთი კაცი იყო, ლიტერატურას რომ ატარებდა. ლიტერატურისთვის იყო დაბადებული, ეგ იყო მაგის ყველაფერი. ძალიან დიდი განათლება ჰქონდა. საერთოდ, ძველად უფრო განათლებული ხალხი მახსოვს.




**- ძველ ნაწარმოებებში რაიმეს ჩასწორების, გადაკეთების სურვილი ხომ არ გიჩნდებათ ხოლმე?**

- არა, არასდროს. რა არის, იცი? ვთქვათ, მომხდარა, ნამდვილად ვიცი, რომ ჩასწორება ჯობია (ისე, ეგ ძნელი დასადგენია, ჯობია თუ არა), მაგრამ, ვთქვათ, ნამდვილად ვიცი, რომ ჯობია, - მაინც არ ვასწორებ. რაღაცნაირად ცუდი საქციელი მგონია, თითქოს ზურგსუკან ჭორაობდე... ძველ ნაწარმოებებთან დაკავშირებული ერთადერთი ხიფათი ისაა, შემთხვევით რამე არ გავიმეორო იქიდან. ეს იმიტომ, რომ ჩემს ნაწერებს არ ვკითხულობ ხოლმე.

**- მაშინ გასაგებია ყველაფერი. თუ არ კითხულობთ, ჩასწორების სურვილი როგორღა გაგიჩნდებათ?**

- ხო, არც ვკითხულობ და არც მინდა, რომ ვიკითხო. ამასწინათ რადიოში ჩამწერეს და მითხრეს, "კნუტები" წაიკითხეო. ბიჭო, დავიბენი, ეს "კნუტები" საერთოდ აღარ მახსოვდა. მაგრამ არც ის მომნდომებია, რომ რაღაც სხვა შემერჩია, ეს ჯობიაო. არა, რატომ, "კნუტებიო" და იყოს "კნუტები", მე რატომ უნდა შევურჩიო? ეგეც ხომ ბედია. ისე, ნაღდად ვერ ვიფიქრებდი, რომ "კნუტებს" წამაკითხებდნენ. მოკლედ, დავიწყე კითხვა და, ვაჰ, ვიძახი, აბსოლუტურად არაფერი არ მახსოვს. ისე, აქაიქ ვგრძნობ, რომ ჩემი ლექსია, ამასაც როგორ ვგრძნობ, იცი? აი, ოდესღაც გავლილ გზაზე რომ ჩაივლი და ბუნდოვნად რომ ხვდები, აქეთ კი არა, იქით იყოო, დაახლოებით ეგეთი გრძნობა მქონდა. მოიცა, ეს რას მოვაყოლე?

**- ძველი ლექსების კითხვას.**

- ხო, გამახსენდა. მოკლედ, ჩემს ძველ რაღაცეებს საერთოდ აღარ ვკითხულობ ხოლმე. ერთადერთი შემთხვევა იყო, ქართველი საბჭოთა პოეტების სერია გამოდიოდა და ჩემი ხუთფორმიანი წიგნიც გამოსცეს. წინა წიგნებიდან გადმობეჭდილი ლექსები იყო, პატარა რჩეულივით. ზაფხულია, თბილისში მარტო ვარ, მახსოვს, რაღაც ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ და ვიფიქრე, მოდი, ამ ჩემს წიგნს წავიკითხავ-მეთქი. ისეთ გუნებაზე ვიყავი, არც არაფერს გადავამეტებდი და არც დავაკლებდი. საერთოდ, ჩემს წიგნებს მაგიტომაც არ ვკითხულობ, რომ მეშინია: დრო რომ გადის, მერე არაადეკვატური ხარ კაცი. რაც დაწერე, ის სხვაა და შენ კიდევ სხვა. მარტო ის კი არაა საშიში, რომ არ გადაამეტო, პირიქით, შეიძლება დააკლო და ეგეც ხომ არ ვარგა. მაგრამ მაშინ ავდექი და მთელი წიგნი წავიკითხე. წავიკითხე და ჩემს თავს ვუთხარი: ახლა დაწექი, გამოიძინე, ხვალიდან კი, ნუკი გაიბრიქები, მაგრამ გამართულად იარე-მეთქი. ჰოდა დავიძინე, სხვათა შორის უცბათ, რაც ძალიან უცნაური იყო, კარგადაც მეძინა, უსიზმროდ, გავილვიძე და... არა, არანაირი მოთხოვნილება არ მქონდა იმისა, რაც წინა ღამით ჩემს თავს ვუთხარი. არაფერი არ ყრია ამ სიამოვნებაში, ცოტათი გულს მოიფხან და მორჩა. მასმერე საერთოდ აღარ ამიღია ხელში ჩემი წიგნი. რაკი ხეირი არაფერია, აღარც ვკითხულობ.

**- სხვების წიგნებს თუ კითხულობთ? თანამედროვეების წიგნებს ვგულისხმობ. რამდენად ხართ ხოლმე საქმის ყურში, რა ხდება ლიტერატურაში?**

- აუცილებლად. არ იქნება ისე, რომ არ გავიგო, რა ხდება.

**- მარტო თქვენს თაობაზე არ გეკითხებით. ახალგაზრდებსაც თუ კითხულობთ?**

- ეგ არის სისულელე, ეგ დაყოფა. თუ პოეტი მომწონს, რა შუაშია ასაკი? რა მნიშვნელობა აქვს, 15 წლისაა თუ 27-ის? ხომ იყო რემბო, ბარათაშვილი. იტყვიან ხოლმე, ეს ახალგაზრდა პოეტიაო. ეს უფრო ლიტერატორების საქმეა, მე რაში მაინტერესებს, რამდენი წლისაა პოეტი. 25 წლის იყო ვაჟა, "ალუდა ქეთელაური" რომ დაწერა. მივიდეს და დაწეროს ვინმემ ეგეთი რამე!.. 25 წლისამ ორი კაცის ამბავი დაწერა, ორი მაგარი კაცის ამბავი, ვის დაუწერია ეგეთი რამე? ორ მაგარ კაცზე არსად არ წერდნენ. ვაჟა სულ ორ-ორ მაგარ კაცზე წერდა, ჯოყოლა და ზვიადაური, ალუდა და მუცალი... არადა, ვაჟას წინ ედო ყველაფერი, გამზადებული ედო; შეჭამა მთელი ფშავ-ხევსურული პოეზია, შეჭამა და მოინელა, აბა! მაგრამ ამას ცუდად ხომ არავინ ჩაუთვლის? არ ჩაუთვლის.

**- თქვენი პოეზია საკმაოდ გავლენისუნარიანია. რა გრძნობა გიჩნდებათ, როცა საკუთარ გავლენებს პოულობთ სხვების ნაწერებში?**

- მერე რა არის მაგაში ცუდი, გავლენებში? რატომ არ უნდა იყოს? მარტო ჩემი კი არა, საერთოდ, ნებისმიერი პოეზია რატომ არ უნდა ახდენდეს გავლენას სხვისაზე? ისეთი ჩამოყალიბებული პოეტები იყვნენ და უცებ ან სპარსულ პოეზიაში გადავარდებოდნენ, ან ჩინურში, ან იაპონურში. გავლენას იღებდნენ კი არა, გაჰყვიროდნენ - ამიტომ ვაკეთებთ ამასო... გავლენას ვინ არ განიცდის, გითხრა? ვინ და - გიჟი. მე რომ მერცხალას ლექსები მიყვარს, რა, ცოტა გავლენა მოუხდენია ჩემზე?

**- "შუადღის წიგნში" ამბობთ: "პოეზია ყველა პოეტისთვის იმდენნაირია, რამდენნაირადაც თვითონ არის დაელმებული". მთელი "შუადღის წიგნი", თუ სწორად გავიგე, არის წიგნი პოეზიაზე. რა არის პოეზია?**

- აი, უყურე, იყო ხვარამზე, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მერცხალა. იმათი სტრიქონები თავისუფლად შეგიძლია ჩასვა "ჰამლეტში"; არის ისეთი რაღაცეები, რაც შეგიძლია "მაკბეტში" ჩასვა. ეგ არის. პოეზია პოეზიაა. პოეზია არის ის, რაც არც რიტმშია, არც მუსიკაში, არც სიტყვებში. მე ვიცი, რომ ლექსს რიტმი ჭირდება ამა და ამ მიზეზის გამო, მაგრამ მთავარი ეს არ არის. არსებობს დღე, ღამე, დარდი, სიხარული. ესენი ერთად არიან, ხომ ასეა? დღე ღამეს მოსდევს, დარდი სიხარულს. ვთქვათ, დარდი შემოგეყარა, რაღაც მსოფლიო სევდას მიაგენი და ამაოება ამაოებათა იფიქრე, კარგი, გასაგებია. თუ ამას ყიდი კარგად, მიდი, ივაჭრე ამ საქონლით, მაგრამ ეს მზეც ხომ ამოდის! ტყუილად ხომ არ ამოდის? რა, გეჯავრება მზე? შენ ხომ არა ხარ მარტო, ეს ყვავილები როა მილიონნაირი?! შექსპირთან ყველაფერი ისეა, როგორც ტყუპი და-ძმები, იმიტომ, რომ ეგრეა ცხოვრებაშიც. მე რომ მკითხო, ვინ არიან დიდი პოეტები... ვთქვათ, ვინ არიან დიდი ქალი-პოეტები, გიპასუხებ: დიკინსონი, საფო, ხვარამზე. ეს ჩემთვის, თორემ განა არ ვიცი, რომ არსებობს ახმატოვა, ცვეტაევა, კალანდაძე...

**- "შუადღის წიგნზეც" მინდა რამე თქვათ.**

- კი აღარ მახსოვს...

**- მე მახსოვს. იქ ერთი ნაწილია, პატარ-პატარა ფრაგმენტები, რასაც წინ უძღვის გალექსილი განმარტებები. განმარტებების მიხედვით, ეს ფრაგმენტები არის ის, რაც ლექსამდეა, "ლექსამდე როა". პროზაზე მეტი როა და ლექსზე ნაკლები.**

- სხვათაშორის, ეგ ფრაზა მახსოვს, ეგ "ლექსამდე როა". პოეზია ხომ ჩვენთვის ის არის, რაც იქცა ლექსად. მაგრამ არ არის ასე! პოეზია ულექსოდაც არსებობს ბუნებაში, განფენილია; პოეტი მხოლოდ მიდის და მაკრატლით აჭრის რაღაცას. ეგ არის ლექსი. რაღაც ამნაირს ვწერდი მაშინ. რაც ლექსამდეა, ისიც ხომ პოეზიაა. ისიც კი არა, ის არის პოეზია. აი, მერცხალა ვინ იყო? არავინ არ იყო. მაგრამ რასაც გვერდით ჩაუვლიდა, ის იყო პოეზია. ტრაგედიაა მოკლედ.

**- მოკლედ, ისევ შექსპირი და მერცხალა...**

- აბა რა! შექსპირი და მერცხალა რომ შეიძლება იყოს ერთად, ეგ არის პოეზია. ახლახან გამოვაქვეყნე სქოლიოებიანი ლექსები. ეს სქოლიოები ფშაური პოეზიიდან მოდის. ფშაველებს ლექსებს აქვთ კომენტარები. ფშაველებს ჰყავდათ ძალიან ბევრი პოეტები. საბჭოთა ინერციით იმათ ხალხურ მთქმელებს ეძახიან. რა მთქმელი, რის მთქმელი, ეგენი იყვნენ პოეტები, მაგარი პოეტები. ფშაველი პოეტი რომ ლექსს წერდა, იმას არ ჭირდებოდა სქოლიო. ჩვენგან განსხვავებით, ის მომზადებულ აუდიტორიას ელაპარაკებოდა. მაგრამ ჩვენ ხომ მოუმზადებლები ვართ, ჩვენ გვჭირდება სქოლიოები, განმარტებები. მეც ავდექი და დავწერე სქოლიოიანი ლექსები და, იცი რა, უფრო მეტის გახურებაც შეიძლება. საერთოდ მივხვდი, რომ მეტი და მეტი უნდა გაახურო. ვთქვათ, რუსთაველზე მქონდა ერთი ლექსი, რომელსაც თითქოს არ უნდოდა არანაირი სქოლიო. თვითონ მთავარ ტექსტზე იმდენი ვიმუშავე, იმდენი ვხვეწე, რომ მეტი აღარაფერი აღარ უნდოდა, მაგრამ...

**- მაგრამ მაინც გაახურეთ?**

- კი, მაინც გავუკეთე სქოლიო. საერთოდ, ჩვენთან ხომ ყველაფერი პრობლემაა. ლექსები კომპიუტერზე უნდა დააკაბადონონ, დამკაბადონებელს ხელფასს არ აძლევენ, შენ კი გერიდება შეწუხება, არადა აქ რაღაც კურსივით გინდა, იქ განსხვავებული შრიფტით, მაგრამ ვეღარ ეუბნები. ყველაფერი პრობლემაა. კომპიუტერს კიდევ რა უშავს, ადრე კორექტურის ჩასწორებასაც ვერიდებოდი: წარმოიდგინე, საწყალ ლინოტიპისტს ახლიდან უნდა ჩამოესხა ასო, სადგისით უნდა ამოეგდო ძველი, ეს ახალი ჩაესვა. მიდი და ჩაუსწორე, როგორია...

**- "მიკარნახე ანგელინას" საქმე როგორღა იყო? ცენზურას ვგულისხმობ.**

- არა, რატომ მოვიტყუო, არანაირი პრობლემები არ მქონია. ერთადერთხელ მოხდა, "რა წერია სუფთა ქაღალდზე" რომ გამომიცა გიორგი ნატროშვილმა, იქ შემიცვალეს პაწაწინა რაღაც, ისეთი არაფერი. არც ღირს გახსენებად. საყვედური არ მეთქმის, კეთილგანწყობის მეტი არავისგან არაფერი მახსოვს.

**- გასაგებია, მაგრამ კეთილი სიტყვის გარდა, კეთილგანწყობის სხვანაირი გამოხატულებებიც არსებობს.**

- რომ იციან, ეს გვირგვინი კი არა, აი, ის გვირგვინი მეკუთვნოდაო, ეგ არის მაგარი სისულელე. მითხარი, რა აზრი აქვს? ერთადერთი, თუ ცოტა ფულიც მოჰყვება რაღაცას, სხვა საქმეა, მაგრამ მე მაგაშიც არა მაქვს ბედი. გრიგოლ აბაშიძემ ხომ მომცა პრემია...

**- სახელმწიფო პრემია?**

- ხო, ეგ იყო გრიგოლის პრემია. იმ კაცმა მოიფიქრა და მომცა პრემია, უნდოდა რაღაც მოეცა და მომცა. ეგ იყო გრიგოლ აბაშიძის პრემია, ჩემი მიღებული როგორღა უნდა იყოს? ვუყვარდი გრიგოლს. მაგრამ ამაშიც არ მქონდა ბედი. ის პრემია იყო ახლანდელი ორი ლარი. წარმოიდგინე, ერთხელ მომცეს პრემია და მაშინაც ფული არ არსებობდა ამ ქვეყანაში.

**- კარგით, პრემიებს შევეშვათ. საერთოდ რას ნიშნავს მწერლისთვის დაფასება? რითი აიწონება, რითი იცნობა?**

- ვთქვათ, ტაშით... მაგრამ წარმოიდგინე, არის პოეტი ან მწერალი, რომელმაც ოდესღაც რაღაც დაწერა და ტაში დაუკრეს, "ბრავო" უთხრეს. მაგრამ ეს კაცი მაშინვე ხომ არ კვდება, ხომ შეიძლება არ გაუსკდეს გული სიხარულისგან და გააგრძელოს ცხოვრება. გადის წლები, ზოგი დიდხანს ცოცხლობს - ჯვარი სწერია; ცოცხლობს და წერს, წერს, არ ჩერდება. მაგრამ ხალხს, ვინც მაშინ ტაში დაუკრა, ეს უკვე აღარ აწყობს; ეს ხალხი ფიქრობს: ხომ არ შეიძლება სულ ამან წეროს და ჩვენ სულ ბრავო-ბრავო ვეძახოთო. ამანაც რა ქნას, უნდა ეს წერა, მაგრამ შენ ნუღარ წაიკითხავ, თუ აღარ მოგწონს, და მორჩა. გალაკტიონზე ამბობენ ხოლმე, აი, თორმეტი ტომი კი არა, ხუთი რომ იყოსო... ბიჭო, ნუ კითხულობ შენც დანარჩენებს! შეეშვი! წესიერი კაცი არც კითხულობს კარგი პოეტის ისეთ ლექსს, რომელიც არ მოსწონს. აკაკი ხომ ის არ არის, რაც არ მოგწონს, რაც მოგწონს, ისაა. მაგრამ ჩვენთან ერთხელ რომ ტაშს დაუკრავთ ადამიანს, მერე ის აღარ გვინდა. გაჩერდეს, ახლა სხვამ დაწეროსო, ვამბობთ. ხდება ეგეთი რამეებიც. ახლა მარკესმა რომ კიდევ ახალი წიგნი დაწეროს, მიდი და იმტვრიე თავი. არა ჯობია, ახლა სხვამ დაწეროს მაგარი? ასე ურჩევნიათ. შენ შენსას რომ მიიღებ, წადი.

**- თქვენ თუ მიიღეთ "თქვენი"?**

- მე, როგორ გითხრა, კარგ ხალხს ვიცნობდი. კარგ ხალხს რომ იცნობ, უკვე ძალიან აღარ გიჭირს.

**- ახალ წიგნზე თუ ფიქრობთ? ბოლო წიგნის მერე საკმაოდ ბევრი ლექსი დაბეჭდეთ, დაგროვდებოდა წიგნი.**

- საკმაოდ დაგროვდა, კი, საკმაოდ. ასე აღმოჩნდა. რა ვიცი, უნდა მოვუყარო თავი და გავაკეთო წიგნი, მაგრამ თვითონ უნდა გავაკეთო ყველაფერი. უნდა ვიყიდო ქაღალდი, რამდენი რამე უნდა... ერთი ხუთფორმიანი წიგნი კი უნდა გავაკეთო.

**- როდის?**

- რა ვიცი, სულ მინდა. მაგრამ დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და ვეღარ მოვაბი თავი. უკვე მართლა ვგრძნობ, რომ შეიძლება წიგნის გაკეთება. მარტო მინდა კი არა, შეიძლება.

**- დიდი მადლობა.**

ესაუბრა ზვიად რატიანი

პრილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ბაკურაძე

# თევზაობა

შინ გაგზავნილი წერილი ყოველთვის ხედის აღწერით იწყება.
ენდრიუ რენტონი

ხუთი წელია ანგელოზის სიმაღლიდან დავყურებ საყვარელ ქალაქს
მისი მიწით და ფოთლებით ვსუნთქავ
მისი ზღვითა და ღრუბლებით ვიხედები

გაზაფხულზე დილაადრიან გარკვევით მესმის სიცოცხლის ნაბიჯების ხმა
გარკვევით ვხედავ ზღვისკენ მავალ პირდაპირ ქუჩებს
როგორ კვეთენ ალმაცერი გრძელი ქუჩები
როგორ იგუბებს რძეს ქალაქი მწვანე ნაოჭებში
და ამ დროს იგი თევზებით სავსე უზარმაზარ ბადეს ჰგავს
და ფრინველები ცის სიღრმეში მებადური ბიჭების თვალებს
გულმოდგინედ რომ ზომავენ მახეში გაბმულ რძისფერ სხეულებს

იმ დღეს ხუთი წელი შემისრულდა. ბებომ მითხრა, ახლა უკვე დიდი ბიჭი ხარო და საღამოსთვის მეზობლის ბავშვები დაპატიჟა. მამამ ტბიდან კობრი მოიტანა, დედამ შეწვა და სუფრაზე მოგვართვა. ბაბუმ თქვა, თევზი შეიცავს ვიტამინებს, რომლებიც ბავშვს ზრდაში ეხმარებაო... დილით ადრე გამეღვიძა. ოთახში აყვავებული ალუბლის და ტყემლის სურნელი ტრიალებდა. ონკანი მოვუშვი და პირი დავიბანე. უცებ ნიჟარაში ლიფსიტა შევნიშნე. ცოცხალი იყო. ჯერ წყლით სავსე ქილაში ჩავსვი, მერე ძველი კასრი გავავსე და იქ გადავიყვანე. ამის შემდეგ, ყოველ დილა-საღამოს პურს ვაჭმევდი და მთელ დღეს მის სიახლოვეში ვატარებდი. თევზს ბიძაშვილის სახელი მანუ დავარქვი. სექტემბერში სკოლაში შემიყვანეს. იქ დიდხანს არ ვჩერდებოდი, გული სახლისაკენ მიწევდა. გაკვეთილებსაც მე და მანუ ერთად ვსწავლობდით. თევზი იზრდებოდა, მეც ვიზრდებოდი. შემდეგ ზაფხულს დედამ სოფელში წამიყვანა. სახლში დავიბარე, მანუს მიმიხედეთ, პური აჭამეთ-მეთქი. მაგრამ, როცა დავბრუნდი, მკვდარი დამხვდა. ბებომ თქვა, ოთხი დღეა, რაც მოკვდა და ბოსტანში დავმარხეთო. მე საფლავი შემოვღობე და პატარა ჯვარი დავასე. გაზაფხულზე ჯვარმა ფოთლები გამოიღო და სამ წელიწადში ნაყოფი მოისხა. ხუთი წლის შემდეგ ჩვენს ეზოში უკვე დიდი ხე იდგა. საღამოობით ხშირად ვიჯექი მის ტანზე მიყრდნობილი და აღარც მახსოვს, რაზე ვფიქრობდი.

ქალწულს, რომელიც აქ ცხოვრობდა, თითებივით ნაზი ფოთლები ესხა და ნაყოფი ტუჩებივით სასურველი
იმის სხეულში ბეღურები ბუდობდნენ და თვალებიდან ფუტკრები თაფლს ამზადებდნენ
მაღლიდან იგი ღრუბელს გავდა და ალაგ-ალაგ მიწა ჩანდა იმის ნაკვთებში
როდესაც ტერფებს ვუკოცნიდი მწვანე ცა იყო მისი სუნთქვა და ლურჯ ვარსკვლავებს ვამჩნევდი მაღლა
იგი მღეროდა
და მისი ხმა იმეორებდა გარდაცვლილი ტყეების შრიალს
მისი ხანგრძლივი დუმილი
ზამთარი იყო თოვლივით თეთრი და ქათქათა
გაზაფხულზე კი საუბრობდა
მშვიდად და გრილად
მთელი სიცოცხლე იმ სიტყვების ჩრდილში ვცხოვრობდი



ირგვლივ ხალხი კამათობდა სიყვარულზე პოლიტიკაზე ფეხბურთზე რწმენაზე
რწმენით აღსავსე თამადები აწუხებდნენ გარდაცვლილ მგოსნებს
რწმენამიმქრალი მათხოვრები პურის ნატეხს უფშვნიდნენ ჩიტებს
მანდილოსნები ხმებს აძლევდნენ პრეზიდენტებს
ხოლო საყვარლებს გულსა და სხეულს
მეც ხელს მაძლევდა მათი არსებობა
და ვპატიჟებდი ჭიქა ყავაზე ან ბოთლ არაყზე
ვპატიჟებდი სათევზაოდ მდინარეზე ან ნავსაბელთან
გოგონები ამყავდა სახლში
ვკოცნიდი ბევრს
და სექსის შემდეგ ვუამბობდი პატარა ზღაპრებს

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში ქვრივი მეთევზე ელიოზი ცხოვრობდა. სანაპიროზე მისი ორსართულიანი სახლი იდგა. ამ სახლში ფანჯრებს არასდროს ხურავდნენ და ხშირად წვიმით ივსებოდა ელიოზის საწოლი ოთახი. ოთახი იყო ფართო, სადა და იქაურ სიცარიელეს მხოლოდ ორი, მიტყუპებული საწოლი ავსებდა. კედლებზე შპალერი გახუნებულიყო და მარტო ერთგან, საწოლის თავზე, სადაც ნახევრადშიშველი ქალის სურათი ეკიდა, შპალერს შენარჩუნებოდა ძველი სიმწვანე და ორნამენტებიც ეტყობოდა. სურათზე ქალი ევკალიპტის ხეზე ზურგით მიყრდნობილი იდგა. მისი კანის ფერი ხის მერქნის ფერში გადადიოდა და ამიტომაც ძნელად თუ გაარჩევდით, სად მთავრდებოდა ქალი და სად იწყებოდა ხე.

ეს იყო ელიოზის ცოლი, რომელმაც მეთევზეს ქალვაჟი აჩუქა, თავად კი მშობიარობას გადაჰყვა. ამბობენ, ელიოზმა გასვენებაში ბევრი იტირა და მას შემდეგ ერთი უცნაურობა დასჩემდაო: გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეჭირა ოქროს თევზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილაადრიან გადიოდა სახლიდან და გვიან ღამემდე ანკესით ხელში ნავსაბელთან იჯდა, კაუჭზე სატყუარად ცოლის ნაჩუქარი ნიშნობის ბეჭედი ეკეთა. გადიოდა წლები, ელიოზი იცინოდა, სვამდა ღვინოს და არაყს, მაგრამ ოქროს თევზის დაჭერის იმედს არასდროს კარგავდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ტივტივა შეირხა და მან წყლიდან ევკალიპტის ფოთლისოდენა ოქროს თევზი ამოიყვანა. უეცრად წყალი აიმღვრა, ჩამობნელდა და თევზი უცხო, გაუგებარ ენაზე ალაპარაკდა. დიდხანს ისმენდა ელიოზი უცნაურ ლოცვას, შემდეგ უთხრა თევზს: "უფალო" და გაუშვა. თევზმა ამოჰყო წყლიდან თავი და თქვა: "ომინ". მეთევზემ ნიშნობის ბეჭედი კაუჭს ისევ მოაბა და თევზაობა განაგრძო. ამის შემდეგ ელიოზმა უთვალავჯერ დაიჭირა ოქროს თევზი და... ეს ამბები დაწვრილებით რომ მომეთხრო, ვფიქრობ, მთელი სიცოცხლე არ მეყოფოდა სასაუბროდ.

ელიოზის შვილები გაიზარდნენ, მათ არ შიოდათ და არ წყუროდათ. ისინი ნამდვილი ქალაქელები გახდნენ და ცხოვრებაში თითოეულმა საკუთარი გზა იპოვა.

ალარცერთს გვახსოვს ჩვენი გზები სად იწყებოდა
როდის ვიხილეთ პირველად ცა მზე და ღრუბლები
როდის გადავდგით ღამისაკენ პირველად ფეხი
ჩვენი ყველა გზა ღამეზე გადის
ყველა კარიდან ღამე შემოდის

როდესაც ვამბობთ
მიყვარს ცხოვრება
იგულისხმება რომ ცხოვრება დავკარგეთ უკვე
რომ ცის ფსკერზე მორიგეობით ინთება მზე და მთვარე
რომელთა შუქი ვერასოდეს გაანათებს ჩვენი ნათელი ოთახების გრძელ ღამეებს
ჩვენი საუზმის სადილის და ვახშმის ღამეებს
ბებოს ნამღერი იავნანების თბილ ღამეებს
მამის საფლავზე დავარდნილი ცრემლის ღამეებს
ჩვენი პირველი სიყვარულის
ჩვენი კეთილი საქმეების
ჩვენი ტაძარში სიარულის
და სანთლით ხელში ლოცვის ღამეებს



ყოველი ღამე ჩვენი ერთად გატარებული
ნაწილია ერთი სიკვდილის
ყოველი დღე ჩვენი ერთად გატარებული
ერთი ღამის გაგრძელებაა
ყოველი სიტყვა ამოსული ჩვენი გულიდან
ცარიელია როგორც გული
ყველა ჩვენი გზა ღამეზე გადის
ყველა კარიდან ღამე შემოდის

მთელი ზამთარი სანგრებს ვთხრიდით
თოვლში წვიმაში სანგრებს ვთხრიდით
გათოშილები სანგრებს ვთხრიდით
და მერე ტყვიებს ჩვენივე გათხრილ საფლავებში ვემალებოდით
და სანგრის სველი მიწა გვათბობდა
და სიკვდილს ჩვენში ისე ეძინა
როგორც კვირტებს ხეთა მერქანში
ჩვენ კი მათ ფესვებს ვეხუტებოდით
გულში ვიკრავდით
და სიცოცხლე გვესიზმრებოდა

ვერავინ მივხვდით გაზაფხული რატომ დაბრუნდა
რატომ დაბრუნდნენ ფრინველები
რად გაეღვიძათ ხეებზე ფოთლებს
რად გათბა მიწა
ვერავინ მივხვდით გაზაფხული რატომ დაბრუნდა
ვიწექი პირქვე და ვხედავდი
როგორ იწვდიდნენ მეგობრები მიწისკენ ფესვებს
როგორ მწუხარედ შრიალებდა მათ სხეულებზე სიკვდილის შავი ფოთლები

ბალახი კი ბიბინებდა
ქორფა ბალახი
და წინაპრის სინაზითა და მოთმინებით ეგუბოდა
ჩემს შიშნარევ ტლანქ მოძრაობებს

ხუთი წელია ანგელოზის სიმაღლიდან დავყურებ საყვარელ ქალაქს
ცრემლებია ჩემი თვალები
ზღვის ხმაურია ჩემი სმენა
ზამთარია ჩემი გული
და ღამის თოვლია ჩემი ფრთები

იმ მაღლობზე სადაც მე მომკლეს
ახლა სიმინდის დიდი ყანაა
გაზაფხულზე დილაადრიან სათოხარში გამოდის გლეხი
და
სიცოცხლეს ეძებს ჩემს მიწაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამოჟამს დაქანცული სახლში ბრუნდება
ოჯახში მიაქვს ტანსაცმლით ოფლი
და ფეხსაცმელებით ჩემი მიწა

ფოთლებდაცვენილ ცოლს შემოაქვს ცივი ვახშამი
კამეჩის ყველი დაკრეფილი ჩემი მკერდიდან
მჭადი ლობიო ჩემს მკლავებზე დამწიფებული
წითელი ღვინო რომ მიყვარდა სწორედ ისეთი

ამ ჭიქით კიდევ ამბობს გლეხი
გაუმარჯოს ჩემსა გოგონას ჩემსა ბიჭსა ჩემსა ცოლსა და ჩემი ცოლის ქმარსა

ხნულისფერი აქვს თვალები შემთვრალ გლეხს
მის ცოლს
და გოგონას
საძინებლიდან რომ გამორბის მამასთან ჩასახუტებლად

- მამიკო, წითელი წყალი როგორია?
- ლიმონათი რომაა, ისეთი.
- ლიმონათი არა, ნამდვილი წყალიც ხომ შეიძლება წითელი იყოს?
- არა შვილო, ნამდვილი წყალი გამჭვირვალეა.
- აბა, მასწავლებელმა რომ თქვა წითელი ზღვა არსებობსო?
- მაგას ის დამთხვეული გეტყოდათ, ოქროს თევზის დაჭერა რომ უნდა.
- კიდე გვითხრა, წითელ ზღვაში წითელი თევზები არიანო.
- ჰოო, მეტი რა გითხრათ მაგ საცოდავმა?
- კიდე ლექსი გვასწავლა, ილია ჭავჭავაძის "გაზაფხული" უნდა მოეცა, მაგან კი გვითხრა: არ გჭირდებათ, ჩემი "გაზაფხული" ისწავლეთო.

მე ის კაცი ვარ ზღვა რომ იხილა და ვერ ელევა მაინც ხეტიალს
და აი ვდგავარ კართან რომელიც მშვიდ დინებაში უნდა შემიძლევს და რომლის მიღმა ჯერ არავის გადუხედია
დაკარგულია ჩემში ასაკი და ერთადერთი არის ნათელი რომ გამჭვირვალე ვდგავარ ჯებირთან
რომ ჯიბეები მიწითა მაქვს გამოტენილი და ოქროსფერი ხავსი მეზრდება თვალების ბნელი ბუდეებიდან
ჯებირთან მდგარი უცხო მოხუცი ხელით მანიშნებს მწვანე მაღლობზე
მისი ხელები წყლით დაფარული უძველესი ქალაქებია ამ ქალაქებში ვარსკვლავები მხოლოდ სახლობენ
ის მეუბნება თვალს ნუ უსწორებ თვალებამომშრალ დროის ციფერბლატს
სიცოცხლის ტყვე ხარ და შენი ხსნა მხოლოდ სიყვარულს ხელეწიფება
შენ ის კაცი ხარ ზღვა რომ იხილა და ნანახით დაბრმავებული ყოფით პრობლემებს ველარ აგვარებს
ბნელი ჩრდილივით დაგდევს სიცოცხლე თიხის სურნელი სდის შენს ნაკვალევს
ამ ნაკვალევში ზღვა გუბდება და ნაპირებზე შენი შვილები აშენებენ კეთილ ქალაქებს
და ზღვის ყოველი ამოსუნთქვა ქალაქელებს ხეთა ენაზე ალაპარაკებს
რომ ყოველ ღამე თევზთან წევხარ და შენს პირში თევზის წყლიანი ენა შრიალებს
რომ არცერთ სულდგმულს გაზაფხული ისე არ ტანჯავს როგორც ხეებს და ადამიანებს
რომ ეს ქალაქიც პატარა ზღვაა და ყველა კაცი ამ ქალაქში არის ნაპირი
მათი ზღვისპირა სახლებისკენ გაგიძღვება ქუჩა კეთილი და პირდაპირი
რომ იმ სახლებში არ დაილევა თევზი თაფლი ღვინო და პური
რომ უეჭველად მზეს აიხელს იმათ ჭერქვეშ ღამენათევი ყოველი მდგმური
რომ
მხოლოდ და მხოლოდ დამასკოდან დაბრუნებული შეიგრძნობს
მარილსა და ლაჟვარდს ამა ზღვის
და ღუღუნს მტრედებისას ტაძრის გუმბათზე

ხუთი წელია ანგელოზის სიმაღლიდან დავყურებ საყვარელ ქალაქს
ვხედავ ქუჩებს და სახლების ჭრელ სახურავებს
რომელთა მიღმაც
ვგრძნობ სიყვარულით გამთბარ ლოგინებს
მესმის ჩურჩულით წარმოთქმული თბილი სიტყვები
და ვმღერივარ:



"ჩემი სახელია
გარეული მტრედების ჩრდილი
უთენია რომ ეცემოდა ჩვენს აივანზე
მოაჯირთან იჯდა ბაბუ
და აყვავებული ტყემლების მიღმა
სიცარიელეზე ფიქრობდა
ბაბუ თვის ბოლოს დავმარხეთ

ჩემი სახელია
მის საფლავზე ამოსული ბალახი
რამდენჯერ ვთხოვე ბებოს ნუ მოთხრი-მეთქი მაგრამ ვის ესმის
ერთმა სოფლელმა მოხუცმა თქვა
ბალახი მკვდრის ხორციაო
ტრიალ მინდორზეც შეიძლება თურმე მივიწყებული საფლავის პოვნა
იქ ბალახი უფრო ხშირია და ხასხასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან სულაც ზღმარტლის მწვანე ბუჩქია ან პანტაა ან მაყვალი
გაგისინჯავთ შინდი მარხვის დღეებში

ჩემი სახელია
ველური ხილის გემო
დედას მოხუფულ მურაბებსა და კომპოტებში რომ ინახება
ყოველ ვახშამზე წარმომთქვამს მთელი ოჯახი
შემდეგ მშობლებს ბავშვები გაჰყავთ ონკანთან
და საპნით ბანენ გატკბილულ თითებს
და ციცქნა კბილებს ჯაგრისით უწმენდენ
რათა სიზმრად მკვდრები არ იხილონ

ჩემი სახელია
ძილში ვარდნის პირველად განცდა
გაღვიძებულმა პირველად რომ ინატრა ღრუბელად ან ჩიტად ქცევა
შემდეგ ოთახში ჩაიკეტა
მათემატიკის რვეულიდან ამოხეული ფურცელი რამდენჯერმე გადაკეცა
და აივნიდან როცა ქაღალდის თვითმფრინავის ფარფატს თვალს აყოლებდა
აყვავებული ტყემლების მიღმა ჩემი დაბადება იგრძნო
ის ბავშვი იყო მამაჩემი



ჩემი სახელია
ის რაც დამარქვა მამაჩემმა
ბუნდოვნად მახსოვს სამშობიაროს დაბზარული ჭერი
ბუნდოვნად მახსოვს ექთნების ძროხასავით მორჩილი თვალები
ბუნდოვნად მახსოვს დედაჩემის სიკვდილი
და ცრემლიანი პანაშვიდი
ჩვენს ოთახში ევკალიპტის დიდი ფოტო რომ დაკიდეს

ჩემი სახელია
შიმშილი
სევდა
სიხარული
ის რაც დამარქვეს გამვლელებმა მეზობლებმა მეგობრებმა და ნათესავებმა
რომლებთან ერთად ვსუნთქავ ქალაქს
სადაც მქვია
ყოველ დილით გამოღვიძება
თვალების ფშვნეტით წამოდგომა
პირის ბანა ჩაცმა ჭამა და პარსვა
გასვლა ქუჩაში სადაც მელიან
სარეკლამო აბრების გასწვრივ აუჩქარებლად მოძრავი ტროტუარები
და ვხედავ
ლუდხანები როგორ მიირთმევენ ხინკალს
სიგარეტები როგორ ეწევიან გამვლელებს
და აღარ ვფიქრობ
რამდენმა გზამ განმვლო შინიდან და შინისაკენ
რამდენმა ფეხსაცმელმა გამცვითა და რამდენი ქალი გავცვითე
რამდენმა ლუკმამ შემახრამუნა
რამდენი სიმღერა ჩავისუნთქე და რამდენი ცა ამოვისუნთქე

აღარ მადარდებს
რომ ის ხე გახმა მრავალი წლის წინ
რომ ნაკადული ისევ რაკრაკებს
და დაშრება მაშინ როცა ქვეყნად აღარ ვიქნები
და საბოლოოდ ვერასოდეს დავრწმუნდები რომ სხვა დროით ცხოვრობდნენ ირგვლივ
რომ ქვები მხოლოდ ხელ-პირს იბანდნენ იმ ერთი თევზის მოლოდინში
რომ ხუთი წელია ანგელოზის სიმაღლიდან დავყურებ საყვარელ ფოტოალბომს
ნეკროლოგებად ქცეულ ქუჩებს ხეებს შენობებს და ადამიანებს
რომ ის ქალაქი არ არსებობს არც არსებობდა არც იარსებებს
რომ არ არსებობს ცა თავზემოთ და მიწა ფეხქვეშ
რომ ერთადერთი სიცოცხლეა რაც მაცოცხლებს
რომ ერთადერთი სიყვარულია რაც მაცოცხლებს
ერთადერთი სიცოცხლეა რაც მაცოცხლებს
ერთადერთი სიყვარულია რაც მაცოცხლებს
სიცოცხლეა რაც მაცოცხლებს
სიყვარულია რაც მაცოცხლებს
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ."

"მესეფები და ძროხა

მესეფებს ყავდათ ერთი ძროხა. როცა ხორცი მოუნდებოდათ, ამ ძროხას დაკლავდნენ და შეჭამდნენ. დარჩენილ ძვლებს მიაწებებდნენ ერთმანეთს, ჩაუბერავდნენ სულს და ისევ ძროხად აქცევდნენ:

დაჰყავდათ ეს ძროხა, წველიდნენ. როცა ძროხა წველას მიატოვებდა, ისევ დაკლავდნენ და შეჭამდნენ. ამ ძროხას არასოდეს ხბო არ ჰყავდა.

მესეფები ზღვაში ცხოვრობდნენ, როგორც თევზები. დაცურავდნენ და მათთან ვერავინ მიბედავდა მისვლას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყა სერებრიაკოვა

# ბორხესი და მისი თანაავტორები

ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ის მდიდარი და მრავალფეროვანი სამყარო - ლიტერატურის მოყვარულთა წრეებში ბორხესის შემოქმედების სახელით რომ არის ცნობილი - სინამდვილეში უთვალავ წინაპართა, თანამედროვეთა და თვით მომავალთა მიკროსამყაროების შესაყარსა თუ გზაგასაყარზე არსებობს. მისი ესოდენ ცნობილი და პოპულარული სახელის მიღმა კი - მრავალი უცნობი, ან ნაკლებადცნობილი სახელი დგას, რომელიც მეტაფიზიკურ არსებობას ისევ ბორხესის სამყაროში განაგრძობს.

მისი ბიოგრაფია განსაკუთრებით მდიდარია სახელებითა და სახეებით, რომლებიც შემდეგში მყარად დაბინავდნენ მისსავე შემოქმედებაში. პიროვნებებს, რომელთაც გარკვეულწილად განაპირობეს მისი გმირები და სამოქმედო სივრცე, არაერთხელ გაუღვიძებიათ კრიტიკოსთა ინტერესი. ამას მოწმობს ბორხესის ბიოგრაფებისა და თანაშემწეების ჩანაწერები. თავის დროზე, ემილ როდრიგეს მონეგალმა შეადგინა იმ ადამიანების თითქმის სრული სია, ვისაც კი ოდესმე უმუშავია ბორხესის ნაწარმოებებზე ავტორთან ერთად. მაგრამ იგი არ ამახვილებს ყურადღებას იმ პირებზე, რომლებიც არა უშუალო ჩარევით, არამედ უბრალოდ თავიანთი არსებობით განაპირობებდნენ ბორხესის სამყაროს ინდივიდუალობას. ასეთი პიროვნებების რიცხვში უპირველესად ბორხესის სახელოვანი წინაპრები უნდა მოვიხსენიოთ. მათ ხომ რეალურად იცხოვრეს იმ მითოლოგიურ-ეპიკური ცხოვრების სტილით, რომელსაც მწერალი მთელი თავისი შემოქმედებით უტრიალებს.

დავიწყოთ თუნდაც მწერლის ბაბუით - ფრანსისკო ბორხეს ლაფინურით. დედამისი - კარმენ ლაფინური, ერთ-ერთი პირველი არგენტინელი პოეტ-რომანტიკოსის ხუან კრისოსტომო ლაფინურის და იყო. ფრანსისკო მონტევიდეოს ციხე-კოშკის ალებისას, "დიდი ომის" (ასე უწოდებს მას აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობა) დროს დაიბადა. თხუთმეტი წლის ასაკში ამ ციხე-კოშკში იგი "ბლანკო"-ებს ებრძოდა, შემდეგ იბრძოდა პარაგვაიში. მაშინდელი პრეზიდენტი სარმიენტო დიდ იმედებს ამყარებდა ბორხესისადმი დაქვემდებარებულ სამხედრო ნაწილებზე. ამ დროს,თანდათან ძალას იკრებდა მიტრას რევოლუცია. ბორხესმა დაშალა თავისი საჯარისო ნაწილები და ამბოხებულთა ბანაკში გადავიდა. 1874 წელს ლა-ვერდესთან მომხდარ ბრძოლაში მიტრისტები დამარცხდნენ. ნაცრისფერ ცხენზე ამხედრებული, თეთრ პონჩოში გამოწყობილი და გულზე ხელებდაკრეფილი ბორხესი ათი-თორმეტი ჯარისკაცის თანხლებით მტრის ბანაკისაკენ დაიძრა. "იგი გარდაუვალი სიკვდილისაკენ ისწრაფოდა" - ასე იხსენებს მოგვიანებით ბაბუის სიკვდილს ხორხე ლუის ბორხესი.


ბორხესის წინაპრები: ლეონორ სუარეს აჩევედო, ისიდორო აჩევედო ლაპრიდა

ბორხესის მეორე ბაბუა ასევედო ლაპრიდაც ცნობილი მეომარი იყო. ხორხე ლუის ბორხესს კი, როგორც თავად აღნიშნავს - "ღმერთებმა უარი უთხრეს სამხედრო კარიერაზე. და ძალიან ჭკვიანურადაც..." თუმცა ომისა და გმირობის თემა მაგისტრალურ ხაზად გასდევს მწერლის შემოქმედებას: "პოეზია ეპოსიდან იწყება, მისი პირველი თემა ომი იყო", - ამბობს ბორხესი ახლო მეგობარ ვიქტორია ოკამპოსთან საუბარში, რომელსაც ცოტა ქვემოთ შევეხები.

გარდა ამ ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი ცხოვრებით უნებლიედ განაპირობეს ბორხესის შემოქმედების ხასიათი, მწერალს გარშემო დიდი რაოდენობით თანაშემწეები და თანაავტორები ეხვია. მათთან თანამშრომლობით შეიქმნა ბორხესის ნაწარმოებების სოლიდური ნაწილი. 1956 წლამდე თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებები პერიოდულად ენაცვლებოდა უფრო მრავალრიცხოვან, საკუთრივ ბორხესის მიერ შექმნილთ. ცნობილია, რომ იმთავითვე ახლომხედველი მწერალი, საოცარი მონდომებით, დაუსრულებლად ცვლიდა ყოველ ფრაზას, უწვრილესი ჩასწორებებით, მიკროსკოპული ასოებით აჭრელებდა ხელნაწერებს. 1956 წლიდან კი, როდესაც მას ოფთალმოლოგებმა წერა-კითხვა აუკრძალეს, ბორხესი იძულებული გახდა სულ უფრო ხშირად მიემართა სხვათა დახმარებისათვის: იგი გონებაში შედგენილ ტექსტებს ერთგულ გადამწერებს კარნახობდა, რომელთა შორის უპირველესი დედამისი იყო. იგი სამოცდაათიან წლებამდე მისი მდივნის როლსაც ასრულებდა.

ბორხესის ერთ-ერთი ბიოგრაფი - ემირ როდრიგეს მონეგალი მწერლის თანამშრომლებს ორ ჯგუფად ყოფს: ერთი მხრივ, გამოყოფს შემთხვევით ადამიანებს, რომლებიც ეხმარებოდნენ ამა თუ იმ ესსეების კრებულის შედგენაში, ციტატების შერჩევაში, მასალების მომზადებასა და მისი ლაკონური შენიშვნების ჩაწერაში; მეორე მხრივ კი, აღნიშნავს ბორხესის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ადოლფო ბიოი კასარესის ადგილს, რომელიც წლების მანძილზე ბორხესის უახლოესი მეგობარი, მოწაფე და (თავად ბორხესის სიტყვით) საიდუმლო მოძღვარიც იყო.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული თანამშრომლების წყალობით შექმნილი წიგნი მხოლოდ ბორხესის გონებისა და ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა საკუთრივ მწერლის ხელით დაწერილი არ არის. ამ წიგნების უმეტესობა კარნახითაა შექმნილი და ზოგიერთი მათგანის წყაროს ბორხესის სალექციო კურსები წარმოადგენს (მაგ. ნოველა "მარტინ ფიერო", ან ძველგერმანული ლიტერატურის ნარკვევის ორი ვარიანტი, რომელიც ბორხესმა ორ სხვადასხვა თანაშემწეს უკარნახა). ამ შემთხვევაში ბორხესის თანამშრომლები მდივნის მოვალეობას ასრულებდნენ.

მწერლის ახლობლების ნაამბობს თუ დავუჯერებთ, პირველ ჯგუფში გაერთიანებულ თანამშრომლებს ბორხესი საოცარი მოთმინებითა და პატივისცემით ეპყრობოდა, თუმცა ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს ტანტალოსის ტანჯვისთვის გაემეტებინა ისინი: იგი ათასჯერ უბრუნდებოდა და ასწორებდა ყოველ სიტყვასა თუ ფრაზას. ის არც ერთ დეტალს არ ტოვებდა წინასწარი გააზრების, აწონ-დაწონვის და განხილვის გარეშე.

პირველ ჯგუფში შეიძლება გამოვყოთ ბორხესის ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ნორმან თომას დი ჯოვანი, რომელიც რვა წლის განმავლობაში თანამშრომლობდა მწერალთან. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ თარგმნიდა უკვე გამოცემულ წიგნებს (მაგ."უპატივობის მსოფლიო ისტორია"), არამედ უდიდეს დახმარებას უწევდა ბორხესს სხვებთან ერთად დაწყებული ტექსტების მომზადებაში, რედაქტირებასა და მათთვის საბოლოო სახის მიცემაში (მარგარიტა გერეროსთან ორ ვარიანტად დაწყებული "გამოგონილი არსებების წიგნი"). დი ჯოვანი იყო "ავტობიოგრაფიული ჩანაწერების" შექმნის ინიციატორი, რომელიც პირდაპირ ინგლისურ ენაზე დაიწერა და ვიდრე მას აშშ-ში გამოცემულ ნათარგმნ კრებულ "ალეფში" შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანდნენ, ის ჟურნალ "ნიუ-იორკერში" ქვეყნდებოდა. მდივნის ფუნქციების შემსრულებელი დი ჯოვანი ბორხესს ეხმარებოდა მოთხრობებისა ("ბროუდის შეტყობინება") და ლექსების კრებულების შედგენაში. მიუხედავად იმისა, რომ დი ჯოვანი თარგმანებში არსებით როლს ასრულებდა, ორიგინალური ტექსტების შექმნისას მისი ფუნქცია მეორეხარისხოვანი იყო.

სრულიად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა ბორხესს მასზე გაცილებით ახალგაზრდა მწერალ ადოლფო ბიოი კასარესთან. ბორხესმა კასარესი ვიქტორია ოკამპოს სახლში გაიცნო. ეს უკანასკნელი მწერლის დის - ნორას ახლო მეგობარი იყო. დიქტატურის პერიოდში ნორასა და ვიქტორიას ციხეში ერთად ჯდომა მოუწიათ. ხელისუფლება ვიქტორიას ფიგურაში სერიოზულ ძალასა და წინააღმდეგობას ხედავდა: ერთხელ, როდესაც ბუენოს-აირესში იუნესკოს გენერალური დირექტორი სერ ჯულიან ჰაქსლი ჩავიდა, ოკამპომ იგი თავის სახლში მიიპატიჟა, სადაც ჰაქსლის არგენტინის ინტელიგენცია გააცნო (მათ შორის ბორხესი). ამ სტუმრობის შემდეგ, იუნესკოს მდივანს დიქტატორთან შეხვედრაზე უარი უთხრეს.

ოკამპო კარგად იცნობდა ადოლფო ბიოი კასარესის დედას, მოგვიანებით კი, კასარესი ვიქტორიას სიძეც გახდა (დის ქმარი). ბორხესისა და ბიოი კასარესის შეხვედრაც არ იყო შემთხვევითი. დედამისმა, მარტა ბიოი კასარესმა ვიქტორიას სთხოვა მისი ჯერ კიდევ მოზარდი, მწერლობით გატაცებული შვილი ისეთი პიროვნებისათვის გაეცნო, რომელიც მას უხელმძღვანელებდა და სწორ გზაზე დააყენებდა. ოკამპომ ადოლფო ბორხესს გააცნო. ამ დროს ბორხესი უკვე ცნობილი მწერალი, ლექსებისა და ესსეების ავტორი იყო და დიდი წვლილი მიუძღოდა ახალი ლიტერატურული თაობის ჩამოყალიბებაში. მიუხედავად ასაკობრივი ბარიერისა, მათ მაშინვე გაუგეს ერთმანეთს. მათ შორის სიმპათია წლების მანძილზე იზრდებოდა და ასაკობრივი სხვაობის კომპენსირებას ახდენდა. ბორხესის გავლენით ბიოიმ მოიშორა ის მდარე სიურეალიზმი, რომლითაც მისი პირველი ნაწარმოებები იყო გაჟღენთილი და რომან "მორელის გამოგონებაზე" (1940) მუშაობას შეუდგა. ეს ნაწარმოები იმ წლების არგენტინული ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად იქცა და ბორხესმა მისთვის პოლემიკური წინასიტყვაობა დაწერა. ეს რომანი, სხვადასხვა სამყაროში მცხოვრები ორი შეყვარებულის ისტორიაა. ბორხესის გავლენა უფრო ფანტასტიკურ ჩანაფიქრში იგრძნობა, ვიდრე თემასა და სტილში. ჟურნალ "სურში" ბორხესმა საქებარი რეცენზია მიუძღვნა ბიოის მესამე რომანს "გმირების სიზმარი" (1955), რომელიც შთაგონებულია ისევ ბორხესისეული თემით ადამიანზე, რომელსაც ორჯერ უხდება ცხოვრების ერთი და იმავე სამარცხვინო ეპიზოდის გადატანა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბიოი კასარესი თავის შემოქმედებაში მხოლოდ ბორხესის თემებისა და მიგნებების გამოყენებით შემოიფარგლა. მას მეტად ორიგინალური ხელწერა ჰქონდა - თავის ნაწარმოებებში საკმაო ადგილს უთმობდა ბორხესისათვის უჩვეულო ეროტიკულ მოტივებს.

საინტერესოა, რომ თავის მხრივ ბიოი კასარესმაც მოახდინა ზეგავლენა ბორხესზე. "ყოველთვის ჰგონიათ, რომ უფროსი მეტ გავლენას ახდენს უმცროსზე, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ თუ რაღაც ვისწავლე ადოლფიტოს, მან კიდევ უფრო მეტი მომცა სანაცვლოდ. ადოლფიტოს ირიბად, თავსმოხვევის გარეშე, მივყავდი დიდ უბრალოებამდე. მან გამათავისუფლა ბაროკოს სტილისაგან. მოკლედ, ყმაწვილი ბიოი კასარესი ბებერი ბორხესის მასწავლებელი იყო", - აღნიშნავდა ბორხესი ვიქტორია ოკამპოსთან საუბარში.

ბორხესისა და ბიოი კასარესის ერთობლივ ნაწარმოებებში შესამჩნევია ასაკით, ტემპერამენტითა და სტილით განსხვავებული ორი მწერლის საინტერესო სიმბიოზი. ერთ-ერთ ინტერვიუში ბორხესი იმასაც აღიარებს, ბიოი მეტი კეთილგონიერებითა და სიზუსტით გამოირჩევაო. საკუთარ თავს ბორხესი ცოტა თავქარიან, უცნაურობებისაკენ მიდრეკილ ადამიანად მიიჩნევს. მოკლედ, ბიოის სახით ბორხესმა ზუსტად შესაფერისი თანაავტორი იპოვა - გამჭრიახი, ირონიული ტვინით, ფართო განათლებისა და ამოუწურავი ცნობისმოყვარეობის პატრონი. ამასთან (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია), მან თავისი შემოქმედების სრულიად ახალი ასპექტის



ბორხესისა და კასარესის ორმაგი პორტრეტი. ჟიზელ ფროინდის ფოტო.

გახსნის სტიმულიც ნახა.

ბორხესს ბიოი ერთ-ერთ მოთხრობაში გმირადაც ჰყავს შეყვანილი. მასთან ერთად იგი ადგენდა სხვა მოთხრობების სქემებს (უცნაური "პიერ მენარი, დონ კიხოტის ავტორი" ბიოისთან ერთადაა მოფიქრებული). აქ შეიძლება ჟან დე მიიერესთან საუბარში ბორხესის მიერ ნათქვამი ერთი ფრაზა გავიხსენოთ, რომელიც "ზეიმის ერთგვარ აქტიურ ფორმას" ეხება - ეს მისთვის მეგობრებთან საუბარია. ბიოისთან მეგობრობა მწერლისთვის იდეების, აზრების, კომიკური და პარადოქსული სიტუაციების განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა იყო და მოთხრობების ჩანაფიქრის წინაპირობას წარმოადგენდა. მათი მეგობრობა რაღაცით, ოციან წლებში ბორხესის ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მასედონიო ფერნანდესთან ურთიერთობას მოგვაგონებს (თუმცა როლების საწინააღმდეგო გადანაწილებით).

გარდა გავლენათა გაცვლა-გამოცვლისა, არსებობს ბორხესისა და ბიოი კასარესის ერთობლივი ნაწარმოებები. მათ იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ბორხესის შემოქმედებაში, რომ თავისუფლად შეიძლება მასზე შეხედულება შეგვიცვალოს. თავდაპირველად კრიტიკოსები მათ უყურადღებოდ მოეკიდნენ. შესაძლოა, ამ ნაწარმოებების შედარებითი არაპოპულარობა თავად ავტორების ბრალიც იყო. პირველი სამი წიგნი მათ ავტორთა ვინაობის დასახელების გარეშე გამოსცეს - ამის გამო კრიტიკოსებსაც არ შეუწუხებიათ თავი მათი კითხვით. აქედან მხოლოდ პირველი - "დონ ისიდრო პაროდის ექვსი ამოცანა" (1942) გამოქვეყნდა კომერციულ საფუძველზე გამომცემლობა "სურში". მომდევნო ორი წიგნი ავტორების ხარჯით 1946 წელს გამოიცა და თითოეულის ტირაჟი სულ სამას ეგზემპლარს შეადგენდა. ავტორების სახელით ისინი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გამოსცეს. სულ ცოტა ხნის წინ კი გამოიცა ასევე ორი საკმაოდ გრძელი მოთხრობა, რომელიც თავდაპირველად იმავე მონეგალის თაოსნობით ურუგვაის ჟურნალებში დაიბეჭდა ("მისი მეგობრის ძმა" გამოქვეყნდა "ნუმეროში" 1952 წელს, "საშინელებათა ზეიმი" - "მარჩეში" - 1955). შესაძლოა, მწერლები ამ ნაწარმოებების შექმნიდან სიამოვნებას სწორედ ასეთი იატაკქვეშა გამოცემებისა და გასაიდუმლოებისაგან იღებდნენ.

ბორხესი და ბიოი კასარესი ძირითადად ორი ფსევდონიმით აქვეყნებდნენ ერთობლივ ნაწარმოებებს. ერთ-ერთის - ბუსტოს დომეკის შესახებ ბორხესი იხსენებს, რომ თავიდან მას არ სურდა ბიოისთან ერთად წერა: "თანაავტორობა წარმოუდგენლად მიმაჩნდა, მაგრამ ერთ დილას მან შემომთავაზა გვეცადა: მათთან ლანჩზე ვაპირებდი წასვლას და მანამდე ორიოდე თავისუფალი საათი იყო დარჩენილი, სიუჟეტი უკვე გვქონდა. წერას შევუდექით და - მოხდა სასწაული. სტილი, რომლითაც დავიწყეთ წერა, არც ჩემსას ჰგავდა და არც მისას. როგორღაც მესამე პერსონაჟი - ბუსტოს დომეკი შევქმენით. დომეკი - ბიოის ერთ-ერთი დიდი ბაბუის გვარია, ბუსტოსი კი - ჩემს დიდ ბაბუას ერქვა კორდოვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან... ეს პერსონაჟი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მე და ბიოი ვიწყებთ საუბარს".

მეორე ფსევდონიმი - სუარეს ლინჩი ისევ ბორხესის გმირ წინაპრებს უკავშირდება. სუარესები ბორხესს ბებიის მხრიდან ენათესავებიან. ბებიამისის მამა, პოლკოვნიკი ისიდორო სუარესი 1924 წელს კოლუმბიის და პერუს კავალერიებს ხელმძღვანელობდა და ხუნინთან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა. ბოლოს იგი მონტევიდეოში ემიგრაციაში დაიღუპა. საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა ბებიამისი და კაროლინა ჰეიზლემ დე სუარესი. მისი სარკესთან გადაღებული სურათის თემამ რამდენჯერმე გაიჟღერა ბორხესის ნაწარმოებებში: "არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ქალი ყოველთვის ძალიან მაღელვებდა", - აღნიშნავს ბორხესი.

დავუბრუნდეთ ფსევდონიმს. ბიოიმ და ბორხესმა სუარეს ლინჩს მთელი ბიოგრაფიაც მოუგონეს. მას მიაწერეს დეტექტიური მოთხრობის "სიკვდილის ნიმუშის" ავტორობა, მიაწერეს ბუსტოს დომეკის მოწაფეობა. ბუსტოს დომეკისა და სუარეს ლინჩის ტექსტები ისე იქმნებოდა, როგორც მათივე სახელები. ისინი მარტო აპოკრიფებს კი არ ქმნიდნენ, არამედ მწერლის სინთეტიკური სახეც შექმნეს, რომელსაც როდრიგეს მონეგალი ბიორხესს უწოდებს. ამ უკანასკნელს ბრწყინვალე იუმორი, სოციალური სატირა და პაროდია ახასიათებს, რომელიც ზოგჯერ ერთგვარი მკრეხელობის ზღვრამდეც მიდის. განსაკუთრებით საინტერესო კი ჯოისისეული სიტყვით თამაშის ორიგინალური გააზრებაა. მათვე აღადგინეს და ესპანურ ენაში გააცოცხლეს რიო-დელა-პლატას რეგიონის ძლიერ საინტერესო სამეტყველო სტრუქტურები. სწორედ ბიორხესის (არა ბორხესის) ექსპერიმენტებით აიხსნება ლეოპოლდო გარეჩალის "ადამ ბუენოსაირესი" (1948), კორტასარის "მოგება" (1961), "კლასობანა" (1963). ბიორხესის მიერ შემოღებულ "ლიტერატურული არგოს" მოდელს, რომელიც ბაროკოული და პაროიდული საწყისების სინთეზში მდგომარეობს, დღემდე ვერავინ გადააჭარბა.

კიდევ ერთი პატარა დეტალი: ბორხესისათვის ბიორხესის გამოგონებას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მას იმთავითვე იტაცებდა არარსებულ მწერლებზე ისტორიების შექმნა. მაგალითად, ბაჰადურ ალი ("ალმუტასიმთან მიახლოება"), პიერ მენარი, ჰერბერტ ქუეინი, იარომირ ხლადიკი ("იდუმალი სასწაული"), ნილს რუნებურგი ("იუდას ღალატის სამი ვერსია"), ციუი პენი ("განტოტილი ბილიკების ბაღი"). ბიოი კასარესის დახმარებით მან რეალურად შექმნა ასეთი მწერალი და, როგორც აღნიშნავენ, ამით განახორციელა მამობის იდეა, რაზეც იგი ბოლომდე უარს ამბობდა ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

არილი



ადოლფო ბიოი კასარესი

# ობობები და ბუზები



ისინი სიყვარულით შეუღლდნენ. რაულ ხიხენას ამქვეყნად ყველაზე საიმედო ადგილად მშობლიური სახლი მიაჩნდა. მისი ცოლი ანდრეა კი სხვაგვარად ფიქრობდა. თუ გვინდა ერთმანეთი მუდამ გვიყვარდეს, ცალკე უნდა ვიცხოვროთო, უთხრა ქმარს. რაულს არ უნდოდა ცოლის განაწყენება, ამიტომ გადაწყვიტა, შინიდან წასულიყო და ოჯახზე ზრუნვა დამოუკიდებლად ეკისრა. ერთ-ერთი ნათესავის ხელშეწყობით, რომელიც სირაჯებთან საქმიანობდა, ღვინის გამსაღებლად მოეწყო, ბანკიდან მთელი დანაზოგი გამოიტანა და, ცოლთან ერთად, ბუენოს-აირესში გაემგზავრა. იქ ჩასვლისას, პირველ ყოვლისა, სახლის ყიდვა გადაწყვიტა, ამით უნდოდა ცოლი გაეხარებინა და ფულიც საიმედოდ დაებანდებინა.

იმჟამად ბინის საქირაოდ და პანსიონატში საცხოვრებლად დახარჯული ფული ფუჭად გადაყრილად მიაჩნდათ. ცოლ-ქმარი ამ უცხო ხალხში არავის იცნობდა, ყოველდღე ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებდნენ და თანდათანობით ეცნობოდნენ უზარმაზარ ქალაქს. ახალგაზრდები იყვნენ და ერთმანეთი უყვარდათ. სახლის ძებნისას თავგადახდილ ამბებს სიამოვნებით იხსენებდნენ. რამოს-მეხიას რაიონში კარეტების ძველი ფარდული ნახეს და მისი საცხოვრებელ სახლად გადაკეთება განიზრახეს.

ეს შენობა, რომელიც ადრე დიდი მამულის ნაწილი იყო, პატარა ბაღთან ერთად იყიდებოდა. ბაღში საოცრად ლამაზი, აყვავილებული ფორთოხლის ხე იდგა. ფარდულს საკმაოდ ძვირად აფასებდნენ, მიუხედავად ამისა, რაული უკვე მზად იყო ეყიდა იგი, მაგრამ სწორედ ამ დროს, კრამერის ქუჩაზე, სადგურ კოლეხიალესგან რაღაც ორიოდე ნაბიჯზე დიდი, უპატრონოდ მიტოვებული სახლი შესთავაზეს. პირობები საკმაოდ მაცდუნებელი იყო და ბოლოს და ბოლოს კიდეც გადაწონა, სახლის აშკარა ნაკლი და უეჭველი ფარული ღირსებები ერთმანეთსს აწონასწორებდა. შენობა რკინიგზას გადაჰყურებდა და ხედი არც ისე თვალგასახარი იყო, ამასთან, განუწყვეტლივ ისმოდა მატარებლების გრუხუნ-გრიალი და შემადგენლობის ჩავლისას იატაკიც ზანზარებდა, მაგრამ ამას უნდა შეგუებოდნენ, სხვა მხრივ, ამ ხელმიშვებული სახლის ყიდვა მომგებიანიც კი ჩანდა, რადგან მასთან ერთად ქალაქის შესანიშნავ უბანში მიწის საკმაოდ მოზრდილი ნაკვეთიც იყიდებოდა.

ანდრეა ადვილად დაეთანხმა ქმარს, კარეტების ფარდული აღარ გახსენებია და ახლა მხოლოდ ამ უზარმაზარი სახლის მოწყობაზე ფიქრობდა. ჩვენ მხოლოდ სახლის ერთი ნაწილი უნდა შევაკეთოთ, განაცხადა მან, ყველაფერს მთლიანად შევცვლით, ისე რომ ძველი მობინადრეების კვალიც აღარსად დარჩება, ღმერთმა უწყის, რა ფლუიდები დაქრიან აქეთ-იქით.

ისინი სამ ოთახში მოეწყვნენ, სხვა ყველაფერი კი დაკეტეს. მაინც გვარიანად დაეხარჯათ ფული. ბინა საკმაოდ მიმზიდველი გამოდგა, მაგრამ სხვა, ცარიელი და გამოკეტილი ოთახების გახსენება თრგუნავდა ანდრეას. რაულმა გამოსავალი აქაც იპოვა.

- მესმის, რატომაც ხარ გულნატკენი, - უთხრა

საქართველოს

მან ცოლს. - ჩვენ თითქოს მოჩვენებები გვახვევია გარს. მოვიფიქრე, როგორ დავაღწიოთ თავი ამას. მოდი, გარკვეული დროის განმავლობაში ეს ოთახები გავაქირაოთ, სახლი გამოკეტილი აღარ იქნება და რაც მთავარია, დანახარჯის ანაზღაურებასაც შევძლებთო.

მათ ყველაფერი მაღლა აზიდეს და პირველი სართული მდგმურებს დაუთმეს. ანდრეა ბედს შეურიგდა, ახლა უკვე მარტონი აღარ იქნებოდნენ. ამ უცხო ადამიანებთან გვერდიგვერდ ყოფნა უფრო ადვილი ჩანდა, ვიდრე ნათესავებთან ცხოვრება, რომელთაც მიაჩნდათ, რომ უფლება ჰქონდათ, მათთვის კონტროლი გაეწიათ და ყველაფერზე საკუთარი აზრი მოეხვიათ თავს. ანდრეა ყაირათიანად უძღვებოდა ოჯახს. სულ მალე შემოსავალმა საგრძნობლად იმატა, ეს მარტო რაულის დამსახურება როდი იყო, მისი ცოლი შესანიშნავი დიასახლისი და მზარეული გამოდგა. საუცხოოდ მოაწყო ბინა, რაც მთავარია, თავად იყო მომხიბვლელი, ახალგაზრდა და მშვენიერი. რბილი ხასიათი ჰქონდა, არასოდეს წუწუნებდა, არც რამეს უჩიოდა, ეს კია, ზოგჯერ ქმრის მიმართ საყვედური წამოსცდებოდა, სამუშაოს რომ თავს დაანებებდე, საღამოობით ერთმანეთს აღარ დავშორდებოდითო. თუმცა პანსიონი ცუდ შემოსავალს არ იძლეოდა, რაულს მაინც უჭირდა სამუშაოს მიტოვება, რადგან როგორც ამბობდა, ფული თავისთავად უცვიოდა ხელში. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ცოლი, უხსნიდა, ეს ამოდენა ფული უშრომლად მოდისო, მაგრამ ამ დროს მთლად გულწრფელი როდი იყო, სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა, ცოლის გვერდით, საწოლზე ეცემოდა და იმწამსვე იძინებდა. მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერი იყო.

პირველი მდგმური ატილიო გალიმბერტი გახლდათ. "ჩვენი თავაზიანი გალიმბერტი", მოსწრებულად ამბობდა მასზე მეორე მდგმური, გვარად ჰერტცი. საკმაოდ ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის მქონე გალიმბერტი მაღაზიაში მუშაობდა, კვირაში ორჯერ თამაშობდა ჩოგბურთს, ყველაფერზე ეტყობოდა, რომ პროფკავშირში საკმაო წონა ჰქონდა და მთელ კვარტალში დონჟუანის სახელი ჰქონდა გავარდნილი (ეს ნამდვილი ქალების გულის მჭამელიაო, ირონიულად იტყოდა ხოლმე ჰერტცი). ანდრეას ვერ ეპატიებინა ამ კაცისათვის, რომ თავისი თაყვანისმცემლების სურათებით ოთახის მორთვისას კედლები ლურსმნებით გააპარტახა. ყველა ქალი ერთნაირია, - ამბობდა გალიმბერტი, - დიასახლისი განაწყენებულია, რომ ჩემს ლამაზმანებს შორის თავის სურათს ვერ ხედავსო.

რაული ხშირად აფრთხილებდა ცოლს, არავის მისცე უფლება, შენზე მაღლა დადგეს და თავი წაგამეტოსო, არც მდგმურებსა და არც ვინმე სხვას, ეს ქვეყანა ობობებად და ბუზებად არის დაყოფილი, ვეცადოთ, ობობები ვიყოთ და არა ბუზები.

- რა საშინელებაა! - იტყოდა ხოლმე ანდრეა.

მალე პანსიონში მოვიდა ექიმი მანსილია, ბეჭებგანიერი მამაკაცი, მას მუქი პირისკანი ჰქონდა, ჩამოშვებულ ულვაშებს ატარებდა და გარეგნობით ტიპიურ კრეოლს წააგავდა. მან განაცხადა, რომ მკურნალი იყო და ადრე ბალახეულით წამლობდა. გადაჭრით უარყოფდა თეზას, რომ ატომი ყველაფრის ზღვარია. მისი დევიზი ასეთი იყო: "ყოველთვის შეიძლება გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი!" ამიტომ ყოველდღე მატარებელში ჯდებოდა და ტურდერაში მიემგზავრებოდა. იქ გაკვეთილებს იღებდა ვიღაც იოგთან, რომელიც კარტზე მკითხაობდა, სიზმრებს ხსნიდა და მომავალს წინასწარმეტყველებდა.

ცოლ-ქმარს ისეთი მდგმურებიც ჰყავდათ, ხშირ-ხშირად რომ იცვლიდნენ მისამართს. მუდმივი მდგმურები მათ გადამფრენ მერცხლებს ეძახდნენ.

სექტემბრის ერთ გრილ დილას პანსიონატს მოაკითხა ელენა იაკობა კრიგმა, თან პუდელიც მოიყვანა. ქალი იჯდა ბორბლებიან სავარძელში, რომელსაც ვიღაც ახალგაზრდა მოაგორებდა. ახალგაზრდამ ზარის დაურეკავად შეაგორა სავარძელი დერეფანში, შებრუნდა და კარის გაუხურავად გაეცალა იქაურობას. ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს. სენიორიტას ღია ფერის თმა, ახლო-ახლო ჩადგმული უცნაური ცისფერი თვალები, დორბლიანი პირი და წითელი ტუჩები ჰქონდა. ტუჩებს მუდმივად ამოძრავებდა და უსწორმასწორო კბილებს აჩენდა. სამოც წელს გადაცილებული იქნებოდა, დამბლადაცემული იყო, თავს თარგმნით ირჩენდა.

რაული იძულებული იყო, ელენა იაკობა კრიგისთვის შემდეგი სიტყვებით მიემართა: თქვენთვის უარის თქმა მერიდება, სენიორიტა, მაგრამ დამეთანხმეთ, ამ სახლში წესრიგზე მე ვარ პასუხისმგებელი, ძაღლი კი არაჰიგიენური ცხოველია და ყველაფერს აბინძურებს.

- თუ ხოსეფინას გულისხმობთ, ძალიან შემცდარი ხართ, - მიუგო სენიორიტა კრიგმა, - ჩივილის საბაბი არ გექნებათ, დასამტკიცებლად ახლავე ჩაგიტარებთ ცდას.

მან შეხედა ხოსეფინას. ძაღლი მყისვე უკანა თათებზე შედგა, მხიარულად გავიდა კარში და ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან შემობრუნდა.

- როგორ მიაღწიეთ ამას? - აღტაცებით ჰკითხა რაულმა.

ელენა კრიგმა მიაპყრო მას ახლო-ახლო ჩადგმული თვალები, უდრეკი, მაგრამ იმავე დროს ნაზი მზერით შეხედა და დორბლიან პირზე ღიმილმა გადაურბინა.

- მოთმინებით მივაღწიე, არა გჯერათ? - მიუგო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. - თავდაპირველად ძაღლს არ ვუყვარდი, საერთოდ, თავიდან არავის ვუყვარვარ, მაგრამ თანდათანობით შევძელი დამეპყრო მისი გული. რაღაც ნახე ჩემში, არა, ხოსეფინა?

რაულმა სწრაფად გაიაზრა, რომ უხერხული იქნებოდა, დამბლადაცემული ქალი უარით გაესტუმრებინა, თუმცა, მისი აქ დარჩენის შემთხვევაში საზრუნავი მოემატებოდა. მან ახალ მდგმურს ქვედა სართულზე ერთი ოთახი გამოუყო და განსაკუთრებული ფასი დაუწესა.

თუ არ ვცდები, ჰერტცების მოსვლა რაულის პირველ სიზმრებს დაემთხვა. ჰერტცები (ცოლი და ქმარი) ქუჩის კუთხეში ცხოვრობდნენ; ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს, სადილ-ვახშამი პანსიონატში მიერთვათ, რაზედაც რაულისა და ანდრეას თანხმობა მიიღეს. ამ წყვილზე სხვადასხვაგვარი ხმები დადიოდა. ზოგ-ზოგისათვის გულფიცხი და დამცინავი მოხუცი ჰერტცი, კაბილდოს ქუჩაზე საკონდიტროში მოლარედ ყოფნა რომ ეამაყებოდა, მარტო მსხვერპლი კი არა, უილბლო ქმრის ნამდვილი განსახიერება იყო. რა თქმა უნდა, მაგდალენა ჰერტცი მისთვის ძალიან ახალგაზრდა იყო. ეს ლამაზი, მუდამ ფაქიზად ჩაცმული ქალი საოჯახო საქმეებს გაურბოდა, სარეცხს არ რეცხავდა, საწოლებს კვირაში ერთხელ თუ გაასწორებდა, ვიდრე რაულს არ მიმართეს, ქმარს აიძულებდა, დილით სასაუზმეში დანაყრებულიყო და სადილ-ვახშამიც იქვე ეჭამა. დღიდან დღემდე, გულზე ხელდაკრეფილი პარმაღზე იდგა და გამვლელ-გამომვლელთ დიდრონი თვალებით აცილებდა. მაგრამ, როგორც ვთქვი, ... მოსაზრებაც არსებობდა, იყვნენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ჰერტცი სინდისგარეცხილი ბებერი იყო, მან შეაცდინა თითქმის არასრულწლოვანი გოგონა და ძალად დაიწერა მასზე ჯვარი.

- შესანიშნავად მოიწყო ცხოვრება, - ამ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა გალიმბერტი, - ამ მსუნაგ კონდიტერს მუდამ ხელთა ჰყავს ნორჩი ვარია...

თანდათანობით პანსიონატი დიდ ოჯახს დაემსგავსა, მაგრამ ანდრეას სულ ტყუილად ჰქონდა ბედნიერების დაკარგვის შიში. მათ სიყვარულს არაფერი ემუქრებოდა, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე მაინც, ვიდრე რაულს ის უცნაური სიზმრები აეკვიატებოდა. იგი სულაც არ ფიქრობდა, რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინა მათთვის, მაგრამ ზმანებები ჯიუტად მეორდებოდა და თითქოს რაღაცნაირ გაფრთხილებას წააგავდა. ნაკლებად ძლიერი ადამიანი ამ სიზმრებში რაღაც იდუმალსა და შთამაგონებელს დაინახავდა. ბოლოს და ბოლოს, ეჭვი რაულსაც შეეპარა. იგი ცდილობდა, ანდრეას არაფერი შეენიშნა, მაგრამ როგორ დაემალა მისთვის, რომ თვალთმაქცობდა? თვალს ადევნებდა ცოლს, ფიქრობდა, მოულოდნელად გამოეჭირა, მაგრამ საამისო საბაბი არ ეძლეოდა. დღის განმავლობაში ქალის საქციელი ამტკიცებდა, რომ ქმრის ერთგული იყო, ღამით, სიზმრებში კი სულ სხვაგვარი ხდებოდა, ზოგჯერ რაულს გაეღვიძებოდა, ცოლს ჩუმად დააცქერდებოდა და ჩურჩულებდა: - სძინავს, სძინავს, რა მატყუარა სახე აქვს!

შინიდან რომ აღარ გასულიყო, რაული სერიოზულად ფიქრობდა, სამუშაო მიეტოვებინა. მას თითქმის ყოველი ღამის ქალაქში გატარება უხდებოდა, შინ გუნებაშემღვრეული ბრუნდებოდა, შარზე იყო, ბრაზობდა, ცოლს აღარ ეფერებოდა, არც ალერსიანად ელაპარაკებოდა, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდებოდა, მისი ხმა ყალბად ჟღერდა, როგორც, მაგალითად, იმ საღამოს ანდრეა ლამპის შეკეთებისას გალიმბერტისთან ერთად რომ ნახა. რამდენიმე დღის შემდეგ ცოლქმარს შორის პირველი უსიამოვნება მოხდა. ანდრეა მაღაზიიდან ბრუნდებოდა, ჰერტცების სახლთან რომ ჩაიარა, კართან მაგდალენა დაინახა, ცოტა ხანს ილაპარაკეს და ანდრეამ უეცრად გულახდილად უთხრა:

- ვერ გამიგია, რატომ შეიცვალა რაული ამგვარად, სულ სხვანაირი გახდა.

- თქვენ ხომ მას კარგად იცნობთ, როგორ გგონიათ, შეუძლია სხვა ქალი უყვარდეს? - ინტერესით შეეკითხა მაგდალენა.

- რატომაც არა?

- მართალი ხართ, მე არც კი დავფიქრდებოდი ამაზე. რა სულელი ვარ, - თქვა მაგდალენამ და ანდრეას მზერა აარიდა.

- ზოგჯერ მეჩვენება, აგერ-აგერ ყველაფერს გამიმხელს-მეთქი, მაგრამ უცებ ჩუმდება, თითქოს თქმას ვერ ბედავს, ღმერთმა იცის, რა მოსდის, მაგრამ აშკარად შეცვლილია. მე ვეზიზღები, თანაც ვებრალები და გულკეთილობით ამაოდ ცდილობს ამის დაფარვას.

სწორედ ამ დროს რაულმა ჩამოიარა, მაგდალენას ზერელედ მიესალმა, ცოლს მკლავში ხელი უხეშად წაავლო და უკან გაიდევნა. ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ბოლოს რაულმა ჩახშული ბრაზით თქვა: - განა ახლა იმის დროა, ქუჩაში საეჭვო რეპუტაციის მქონე მეზობლის ქალთან იდგე და ჭორაობდე?

ანდრეამ არაფერი უპასუხა. გაოგნებული იყო, თვალებში ნაღველი ჩაგუბებოდა.

რაული საოცრად შეიცვალა. თავადაც გრძნობდა ამას, თავისი საქმეების მოსაგვარებლად დადიოდა და ფიქრობდა ცოლზე, ისეთზე, ყოველღამ სიზმრებში რომ ხედავდა. ზოგჯერ სურდა გაქცეულიყო, დაევიწყებინა ყველაფერი, აღარასოდეს ენახა ცოლი. ზოგჯერ კი ფიქრობდა, როგორ დაესაჯა, წარმოიდგენდა, როგორ ულაწუნებდა ქალს სახეში, კლავდა კიდეც.

ერთხელ საპარიკმახეროში ჟურნალებს ფურცლავდა და წააწყდა სიტყვებს: "ყველაზე მეტად გვაწვალებს დარდი, რომელსაც გულის სიღრმეში ვფარავთ", - მოერიდა ამოეჭრა ეს ფრაზა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სიტყვასიტყვით დაიხსომა. უეცრად იმედის შუქმა გულში გაიბჟუტა. ჩემი დარდი ვინმეს რომ გავუზიარო, გამოსავალს უეჭველად ვიპოვიო, გაიფიქრა, მაგრამ ვისთვის რა უნდა ეთქვა? როგორც აღმოჩნდა, ბუენოსაირესში მას უამრავი კლიენტი ჰყავდა, მეგობრებს კი ვერსად ხედავდა. ასე თუ ისე, ყველაზე ახლოს თავის მდგმურებთან გრძნობდა თავს, თუმცა ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ ცოლის საქციელზე მათთან უნდა ელაპარაკა. ვისთვის შეიძლებოდა რჩევა ეკითხა? გალიმბერტი არ ჩაუღრმავდებოდა საქმის არსს და იმწამსვე დაიწყებდა უხერხული და კომიკური მხარეების ძებნას, რომ შემდეგ ზურგსუკან დაეცინა მისთვის. იყო კიდევ ის მოხუცი ქალი - ელენა იაკობა კრიგი, მაგრამ ვის ეამებოდა საიდუმლო გაენდო ასეთი საზიზღარი არსებისათვის? გარდა ამისა, რაულს არაერთხელ შეუმჩნევია, როგორ უყურებდა ეს ქალი, თითქოს იცოდა, რაც სჭირდა და ეს რაღაცნაირად ახარებდა. ჰერტცისთვის რჩევის კითხვა უაზრობა იქნებოდა, ამ კაცს საკუთარ ოჯახში ვერ დაემყარებინა წესრიგი და მას როგორღა დაეხმარებოდა? სჯობდა ისევ მაგდალენასთვის მიემართა. როცა ამ ქალზე სხვებთან ლაპარაკობდა, უყოყმანოდ კიცხავდა მას, თუმცა გულის სიღრმეში მოსწონდა. ცოლისადმი ერთგულების გამო გადაწყვიტა, არც მაგდალენასთვის გაემჟღავნებინა თავისი დარდი. ბოლოს ჯერი მანსილიაზე მიდგა, მაგრამ არც ეს კაცი იმსახურებდა მის ნდობას. რაულს სათაკილოდ მიაჩნდა მისი საქციელი, ვერ გაეგო, რატომ მიატოვა მედიცინა ოკულტური მეცნიერების, ბნელი, იდუმალი საიდუმლოს გულისთვის.

მაგრამ ამ დროს ცოლ-ქმარს შორის კიდევ ერთი შელაპარაკება მოხდა.

ერთხელ, ქალაქში წასასვლელად რომ ემზადებოდა, ფერდაკარგულმა და აკანკალებულმა ანდრეამ, გაჭირვებით რომ ეძებდა სიტყვებს, ჰკითხა:

- ხომ არ დადგა დრო, რომ ვილაპარაკოთ?

- შესანიშნავია, მოდი, ვილაპარაკოთ, - სარკასტულად მიუგო რაულმა და თვალები დახუჭა, რათა ეჩვენებინა, მოთმინებით სავსე ვარო. ამავე დროს გაიფიქრა, რომ ცუდი დღე ადგა. როგორ უნდა აეხსნა ცოლისთვის, რომ მისი ბრალდებები მხოლოდ სიზმრებს ემყარებოდა, ისე რომ მის წინაშე კრეტინად არ ეგრძნო თავი? საშინლად მოუნდა გულში ჩაეკრა ქალი და შევედრებოდა, დაივიწყე ყველაფერიო, მაგრამ ხომ არსებობდა შესაძლებლობა იმისა, თუნდაც სუსტი, თუნდაც საკმაოდ შორეული, რომ მას ატყუებდნენ და თვალს უბამდნენ? მაშასადამე, საჭირო იყო თავის დაცვა და როდესაც ანდრეა ალაპარაკდა, რაულს უკვე სძაგდა იგი.



- თუ სხვა გიყვარს, მითხარი, ნუ დამიმალავ, - უთხრა ანდრეამ.

- შე უსირცხვილო! - მიუგდო რაულმა.

არაფერს შეეძლო ქალის დაჭრა ასე მწარედ. რაულმა იცოდა ეს, მიხვდა, რომ გადააჭარბა, ძალზე უსამართლოდ მოიქცა. ვერ გაბედა ცოლისთვის თვალის გასწორება და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა, შინიდან წავიდა.

- ისე მიდიხარ, ერთხელაც არ შემოგიხედავს ჩემთვის, - მიაძახა ანდრეამ.

მრავალი წლის მანძილზე ყურში ედგა რაულს ეს საყვედურითა და მწუხარებით აღსავსე სიტყვები.

სადგურზე იგი მანსილიას შეხვდა. ვაგონში ერთად ჩასხდნენ და უეცრად რაულმა ყოველგვარი საბაბის გარეშე ჰკითხა:

- თუ იცნობთ ისეთ ადამიანს, დღისით, თავის საქციელით ერთს რომ ამტკიცებდეს, ხოლო ღამღამობით თქვენს სიზმრებში სულ სხვაგვარად გევლინებოდეთ? - იგი დადუმდა, იფიქრა, ძალზე აშკარად ხომ არ მივანიშნე ცოლთან ჩემს ურთიერთობაზეო.

- გულახდილად რომ ვთქვა, ვერ ვხვდები, რისი თქმა გსურთ, - მიუგო მანილიამ.

- როგორ მოიქცევით, თუ ადამიანი თავის საქციელით გიმტკიცებთ, რომ თქვენი მეგობარია, სიზმარში კი მტრად გევლინებათ? - კითხვა გაუმეორა რაულმა.

- სიზმარში? - ღიმილით გამოეპასუხა მანსილია.

რაული გაფითრდა. ამგვარი პასუხის შემდეგ აჯობებდა, ყველაფერი პირდაპირ აეხსნა. იგი შეჰყურებდა მანსილიას და ცდილობდა გამოეცნო, რას ფიქრობდა. თან ყვებოდა, თავს რა გადახდა და რაც განიცადა. მანსილია უკვე აღარ იღიმებოდა. მატარებელი რეტიროში შევიდა. ეს ბოლო სადგური იყო. საუბარი საკონდიტროში განაგრძეს.

- მოდით, თანმიმდევრობით მომიყევით ყველაფერი, - უთხრა მანსილიამ, - როგორ სიზმრებს ხედავთ?

- საშინელს. ნუ მთხოვთ, გავიხსენო. ცოლი მღალატობს ყველასთან. ვინც კი ჩვენ სახლში ცხოვრობს.

- ყველასთან? კეთილი, მაგრამ უცხოებთან არ გღალატობთ?

- დიახ, უცხოებთან, უცნობებთანაც.

- მოდით გავერკვეთ. გთხოვთ გაიხსენოთ ერთი მათგანი მაინც. უხეშები არიან, თავშეუკავებლები? შესანიშნავია. რა შეგიძლიათ თქვათ მათ ტანსაცმელზე?

- ახლა, როდესაც დავფიქრდი, რაღაც უცნაურად ჩაცმულნი მეჩვენებიან.

- რაღაც უცნაურად? განმიმარტეთ, თუ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, თითქოს ეს ადამიანები სხვა სამყაროდან და სხვა დროიდან არიან მოსულები.

- რომაელები არიან? ჩინელი მანდარინები? აბჯრიანი რაინდები?

- არა, არა, საუკუნის დასაწყისში რომ იცვამდნენ, იმგვარად აცვიათ, თანაც გლეხები არიან. ახლა დარწმუნებული ვარ - ნამდვილად გლეხები არიან, ხის ფეხსაცმელები აცვიათ. ახლაც ყურში ჩამესმის მათი უაზრო ხვიხვინი, ხის იატაკზე ფეხსაცმლის ბრაგაბრუგი, გულის არევამდე საზიზღარია ეს ყველაფერი.

- სად ხდება ეს ამბები?

- ჩვენს ოთახში. ხომ იცით, როგორც არის ხოლმე სიზმარში. ოთახი ჩვენია, მაგრამ იქ ყველაფერი სხვაგვარადაა.

- მოდით, დალაგებით მივყვეთ. ავეჯზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- ახლავე გავიხსენებ. ამგვარი ავეჯი მხოლოდ სიზმარში მინახავს. ყოველ ღამე, როგორც კი ბუფეტი გამოჩნდება, ვიცი, რაც უნდა მოხდეს. კოშმარი სწორედ ამ ბუფეტით იწყება.

- როგორია ეგ ბუფეტი?

- შავი ხისაა. გახსოვთ სურათები გლეხების ცხოვრებიდან? ოთახი სოფლურ სახლში, ჯარასთან მჯდარი ქალი... ჩემს კოშმარებში ჩვენი ოთახი ზუსტად ისეთია. ჩემს თავს ვეუბნები, რომ აქ არ შეიძლება რამე მოხდეს, მაგრამ მით უფრო საშინელია ყველაფერი, რაც შემდეგ ხდება.

- შესანიშნავია. გაქვთ კიდევ რამე ხელჩასაჭიდი?

- ფანჯრიდან რომ ვიხედები, თითქმის ვერასოდეს ვხედავ რკინიგზის ხაზს. როგორც წესი, ფანჯრის მიღმა არხები და დაბალი წყლით დაფარული მინდვრებია, ჰორიზონტზე კი ზღვა მოჩანს.

- ზღვის სიახლოვეს გიცხოვრიათ?

- რისი ზღვა. მე შორეული პროვინციიდან ვარ, ზღვა არასოდეს მინახავს, არც მის ახლოს მიცხოვრია. ლაპლატას ყურე მხოლოდ ბუენოს-აირესში ვნახე.

- გულახდილად გეტყვით, თქვენთვის არაფრის გაკეთება არ ძალმიძს და იმავდროულად ყველაფერი შემიძლია. თქვენ თითქოს ღრმა ორმოში ხართ ჩავარდნილი. გინდათ იქიდან ამოსვლა?

- როგორ არ უნდა მინდოდეს?

- მაშინ ახლავე წავიდეთ ტურდერაში, გარწმუნებთ, სკოლამიერი იმედს არ გაგიცრუებთ. რა დავინახე თქვენს სიზმრებში? ვფიქრობ, თქვენ ისინი სხვას მოპარეთ. კიდევ რა? ღალატი ერთგულებას ნიშნავს, არხები - ცუდ მეგობრებს, ხის ფეხსაცმელი კი იმას, რომ საკმაოდ ავხორცი ბრძანდებით, თუმცა ამ საკითხში ავტორიტეტი არ გახლავართ.

- სკოლამიერი ვილა არის?

- ერთი სენიორია, ჩემი მეგობარი, ტურდერაში ცხოვრობს, იოგია, სიზმრების ახსნის ნიჭი აქვს, ადამიანებს ასწავლის სუნთქვას და კიდევ მრავალ რამეს, მასთან რჩევის საკითხავად მივიდეთ.

- იცით, მეგობარო, - მიუგო რაულმა, - ნუ გეწყინებათ, მაგრამ ახლა განწყობილი არა ვარ საიმისოდ, რომ ტურდერაში გავემგზავრო, არც იმისთვის, რომ იმ იოგს, ვილაც ინდუსს გული გავუხსნა.

მანსილია ძალას ატანდა რაულს, მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავისაზე. კონსილიუმი სხვა დროისთვის გადადეს. ერთმანეთს რომ დასცილდნენ, რაული მიხვდა, ახლა საქმეებისათვის აღარ ცხელოდა, მატარებელში ჩაჯდა და შინისკენ გაემგზავრა. იმასაც მიხვდა, რომ არასოდეს წავიდოდა იოგთან, რადგან ეს უკვე აღარ ესაჭიროებოდა. ლაპარაკმა საშინლად მოქანცა, იმაზე მეტადაც კი, დაკვეთების შესაგროვებლად მთელი ბუენოს-აირესი ფეხით რომ დაევლო. მაგრამ დაღლასთან ერთად შვებაც იგრძნო, თვალებიდან საბურველი ჩამოეცალა.

მოქანცული, ბედნიერი და ოდნავ დაბნეული გაუნძრევლად იჯდა სკამზე და ფიქრობდა იმ საშიშროებაზე, სულ ახლახან რომ ემუქრებოდა. თვალნათლივ წარმოუდგა მთელი ის სიგიჟე, რაც თავს გადახდა. ახლა კი თავს ისე გრძნობდა, თითქოს დამსხვრეულ ნაჭუჭში იჯდა და მისგან თავისუფლდებოდა. ის გადარჩენილი იყო. ამიერიდან მთელი სიცოცხლე არ ეყოფოდა საიმისოდ, ანდრეას გული მოეგო და პატიება დაემსახურებინა.

კოლეხიალესის სადგურიდან გასვლისას მოეჩვენა, რომ ყველანი რაღაც უცნაურად შემზერდნენ. შინ წასვლა დააპირა, მაგრამ გაიფიქრა, თუ ადამიანს ეჩვენება, ყველანი უცნაურად მიყურებენო, ალბათ, ჭკუიდან შეშლილი უნდა იყოსო. ყველაფერი რომ გაერკვია, გაზეთის გამყიდველისკენ წავიდა. იმანაც უცნაური მზერა ესროლა.

- თქვენ არაფერი გაგიგიათ, დონ ხიხენა? - ჰკითხა და მცირე პაუზის შემდეგ ხელით მიანიშნა. - იქ, ხორხე ნიუბერის ქუჩა გადაკვეთა და რეტიროში მიმავალი ელექტრომატარებლის წინ ზედ ლიანდაგზე დაეცა.

საუბარში სხვებიც ჩაერივნენ. ახსენეს სასწრაფო დახმარების მანქანა, პოლიციის კომისარი, ორი სანიტარი - ერთი მათგანი ცოტათი დუდღუნებდა, მეორე კი ვილაც დონია რამოსის შვილი იყოო. ამ ქალის სახელი რაულს პირველად ესმოდა. ხალხი კი პირზე ქაფმორეული უმტკიცებდა, სანიტარი უეჭველად დონია რამოსის შვილიაო. რაულმა გაიფიქრა, რომ კომისარიატში უნდა წასულიყო, მაგრამ თითქოს რაღაც დაუძლეველმა ძალამ შინისკენ უბიძგა. ავტომატივით მიდიოდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, დაამახსოვრდა მხოლოდ, რომ ფედერიკო ლაკროსეს ქუჩის გადაჭრისას, მიმავალი სატვირთო მანქანიდან ვილაც ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა, შემდეგ კიდევ ერთი ხმა შემოესმა - ალერსიანი და ახლობელი. ვერ მოიაზრა, როგორ აღმოჩნდა სენიორიტა კრიგის ოთახში. მოხუცი ქალი, ახლო-მახლო ჩადგმული თვალებით მისჩერებოდა, სველ ტუჩებს ამოძრავებდა და დაბრეცილ კბილებს აჩენდა. ქალი უღიმოდა და ეუბნებოდა: თქვენ უბედურად გრძნობთ თავს? არაფერია, გაივლის. - საიდან იცით? - ჰკითხა რაულმა. - როგორ არ უნდა ვიცოდე? - მიუგო ქალმა. - ახლავე ყველაფერს აგიხსნით, ჩემო მეგობარო, მხოლოდ არ გამიბრაზდეთ. ჩვენს შორის არაფერი უნდა იყოს სანახევროდ თქმული. რაულ, მე თქვენ მიყვარხართ.

- ახლა ამის დრო არ არის, - წინააღმდეგობა გაუწია რაულმა.

- სწორედ რომ დროა, - ნაზად უთხრა დედაბერმა და რაულმა მისი სუნთქვა იგრძნო. მინდა, ყველაფერი თავიდანვე იცოდეთ, კარგიც და ცუდიც. მე არ მჭირდება ეშმაკური ფანდები, სარისკო არაფერი მაქვს. კარგა ხანია, გავაბი ქსელი და თქვენც კარგა ხანია ფართხალებთ შიგ. თქვენ გგონიათ, როგორც გინდათ, იმგვარად ცხოვრობთ? სისულელეა. გეფიცებით, ქსელში ხართ გახვეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, თქვენ ჩემს განკარგულებაში ხართ. ნუ ბრაზობთ, ნუ მეურჩებით. გსმენიათ თუ არა, ძვირფასო რაულ, რამე აზრის გადაცემაზე? ამაღელვებელი იქნებოდა, რომ არ დაგეჯერებინათ ჩემი სიტყვები. აზრის თუ სიზმრის გადაცემა ხოსეფინასნაირი ფინიასათვის, თუ თქვენისთანა ან თქვენი ცოლისთანა ადამიანებისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, არსებობენ ურჩი, არასასიამოვნო ტიპები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გლიან და არაქათს გართმევენ. მინდოდა, თქვენი ცოლისთვის ჩამეგონებინა, დაგხსნოდათ, დაენებებინა თქვენთვის თავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, არ არსებობდა ამქვეყნად ძალა, იგი თქვენთვის რომ ჩამოეშორებინა. ჩემი აზრით, თქვენ ერთმანეთს არ შეეფერებოდით, ანდრეა ლირიკული წყობის ქალი იყო, მას აკლდა ის თვისებები, მე რომ გამაჩნია, მისი ხასიათი არ შეესაბამებოდა თქვენს ფხიზელ გონებას. ნუ ჯიუტობთ. ტყუილუბრალოდ ნუ დაფანტავთ სიტყვებს. გიმეორებთ, არ არსებობდა ამქვეყნად ძალა, რომელიც შეძლებდა ჩამოეცილებინა თქვენთვის ის ჯიუტი ქალი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკიდურეს ზომებს, იმიტომ, რომ მსგავსი ხასიათის ადამიანები მუდამ მზად არიან მიმართონ უკიდურეს ზომებს. მე იძულებული გავხდი, გამეგზავნა თქვენი ცოლი სასიკვდილოდ. საამისოდ რკინიგზა ავირჩიე, რელსებზე დავანარცხე. კიდევ კარგი, ძვირფასი რაულის სული სათუთი და დამყოლი აღმოჩნდა. მეშინოდა, რომ იგი ეჭვს აიღებდა, გუმანით იგრძნობდა საშინელ ამბებს, როცა სიზმარში ჰოლანდიურ არხებს და ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ სანდომიან და მოხდენილ მამაკაცებს ხედავდა. თავის დროზე მეც მინდოდა მათგან გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ მოგონებები ისევ და ისევ მიბრუნდებოდა, ეჭვგარეშეა, მათ შეძლეს ღრმა კვალი გაევლოთ ჩემს სულში. თქვენ ნაწყენი ხართ იმ სიზმრებისთვის, მე რომ გიგზავნიდით? არაფერია, წყენა მალე გაგივლით. - ჯერ არ გიყვარვართ. თავდაპირველად არავის ვუყვარვარ, მაგრამ თანდათანობით შევძლებ დავიპყრო თქვენი გული. ხომ მართალია, რაულ, რომ რაღაცას უეჭველად იპოვით ჩემში, თქვენი ელენა იაკობას სულში?

თარგმნა გია მუხაძემ

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტავიო პასი

# ხოსე ორტეგა ი გასეტი
## როგორ და რისთვის



ამ სტრიქონებს შიშითა და მღელვარებით ვწერ. აღელვებული ვარ, რადგანაც ყოველთვის აღტაცებული ვიყავი ორტეგა ი გასეტით; შიში მიპყრობს, რადგანაც არამხოლოდ მე, ულირსს, არამედ არც სხვას, ვინმეს, ძალუძს მოკლე ნარკვევში მიმოიხილოს და შეაფასოს ისეთი ფართო და მრავალფეროვანი ლიტერატურული და ფილოსოფიური მემკვიდრეობა, როგორიც ორტეგა ი გასეტისაა.

ფილოსოფია, რომელიც ერთ ფრაზაში ეტევა - რელიგიაა და არა ფილოსოფია. ან მისი ნაყალბევი - იდეოლოგია. ბუდიზმი ერთ-ერთი ყველაზე გონებისმიერი რელიგიაა; და მაინც, სუტრას შეუძლია მთელი მოძღვრება ერთ მარცვალში დაიტიოს - ყოვლისმომცველი უარყოფის ნაწილაკში. ქრისტიანობის არსიც ასევე ერთი ან ორი ფრაზით შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად: "გიყვარდეს მოყვასი შენი", ან "ჩემი მეუფება არა ამ სოფლისგან არს". იგივე, ოღონდ უფრო დაბალ დონეზე, შეიძლება ითქვას იდეოლოგიის შესახებაც. მაგალითად, "მსოფლიო ისტორია კლასობრივი ბრძოლის ისტორიაა", ან, ლიბერალურ ბანაკში გავრცელებული: "პროგრესი - საზოგადოების განვითარების კანონია". განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იდეოლოგია ცდილობს მეცნიერების ენაზე გამოთქვას აზრები. როგორც ალენ ბეზანსონმა თქვა, რელიგიურმა ადამიანმა ИЦИС, რომ სწამს, მაშინ, როცა იდეოლოგს სწამს, რომ იცის. მაქსიმები, სენტენციები, რწმენის დოგმატი არ ამცრობს რელიგიას: ამგვარი თესლი ყლორტებს გამოიყრის, რომელიც მორწმუნეთა გულებში გამოიღებს ნაყოფს. ხოლო ფილოსოფია კი არაფერია, თუკი არ იქცევა იდეის ან ზეშთაგონების დემონსტრაციად და გამართლებად. განმარტების გარეშე არ არსებობს ფილოსიფია, ე.ი. ფილოსოფიური ნაშრომებიც.

ორტეგა ი გასეტის რთული მსოფლმხედველობის რამდენიმე გვერდზე დაყვანის სირთულეს კიდევ ერთი პრობლემა უნდა მივუმატოთ: მისი ნაწარმოებების ხასიათი. ორტეგა ი გასეტი ნამდვილი ესეისტი იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ესეისტი, რომელიც კი ჩვენს ენაზე წერდა. იგი იყო ოსტატი ჟანრისა, რომელიც ვერ იტანს გამარტივებას - ასე რომაა დამახასიათებელი მიმოხილვებისთვის. ესეისტი მრავალფეროვანი უნდა იყოს, გამჭრიახი, ენამახვილი, საინტერესო და კიდევ, იგი უნდა ფლობდეს მრავალწერტილის დასმის ურთულეს ხელოვნებას. იგი არ ამოწურავს თემას, რომელზედაც წერს, არ ახდენს კომპილირებას, არც სისტემატიზებას... იგი იკვლევს. და თუკი იგი მაინც აჰყვება ცდუნებას და კატეგორიულობას გამოავლენს - რაც ორტეგა ი გასეტსაც დამართნია - მაინც იძულებული გახდება შემდეგ რამდენიმე წვეთი ეჭვიც გაურიოს, ყოველი შემთხვევისთვის. თხრობა ესეში სწორხაზოვნად არ მიჰქრის, არამედ თავისუფლად მიედინება, ორ უკიდერესობას შორის ლავირებს. ეს ორი უკიდურესობა, ორი გაქვავებული ფორმა, ტრაქტატი და აფორიზმია.

ესეისტი ორტეგა ი გასეტი ყოველი თავისი ექსპედიციიდან საოცარი ნადავლით ბრუნდებოდა, ოღონდ მას თან არ მოჰქონდა ხოლმე ახალი მიწების რუკები. იგი კოლონიზატორი არ იყო, არამედ - აღმომჩენი. ამიტომაც ჩემთვის გაუგებარია, რატომ წუხან, რომ მან თხზულებათა კრებული (ანუ სამეცნიერო ნაშრომები, სისტემა) არ დაგვიტოვა?! ნუთუ იგივე არ შეიძლება ითქვას მონტენზე, თომას ბრაუნზე, რენანზე, კარლეილზე? შოპენჰაუერის ესეისტიკაც არაფრით ჩამოუვარდება მის დიდ ფილოსოფიურ თხზულებებს. ჩვენს საუკუნეში იგივე შეიძლება ითქვას ბერტრან რასელის შესახებაც. ვიტგენშტაინმაც კი, ახალი დროის ყველაზე მოწესრიგებული, მკაცრი გეომეტრიული ფილოსოფიური ნაშრომის ავტორმა, მოგვიანებით იგრძნო მოთხოვნილება ესეს მაგვარი რაღაც დაეწერა, რომელიც აღსავსე იყო არასისტემატიზებული განსჯებით. დიდი წარმატებაა, რომ ორტეგა არ აჰყვა სისტემატიზებისა და სუმირების ცდუნებას. მისი ნიჭი არც განსაზღვრაზე იყო მიმართული და არც რაიმეს აგებაზე. იგი არ იყო თავისი ბუნებით არც გეომეტრი, არც არქიტექტორი. მის შემოქმედებას ვხედავ არა როგორც არქიტექტურულ ნაგებობას, არამედ როგორც გზებისა და მდინარეების ქსელს. მის ნაწარმოებებში უკეთესია ვიმოგზაუროთ, ვიდრე ვიცხოვროთ. იგი მოძრაობისკენ მოგვიწოდებს.



განსაცვიფრებელია თემათა მრავალფეროვნება. თანაც ხშირად, მართლაც რომ საოცარ მიგნებებთან გვაქვს საქმე. ბევრი მათგანი დღესაც განსჯის საგანია და დიდ ყურადღებას იმსახურებს. მე უკვე ვახსენე მისი აზრის არაჩვეულებრივი მოძრავი ბუნების შესახებ. ორტეგა ი გასეტის კითხვა იგივეა, რაც რთულ გზაზე, ბუნდოვანი მიზნისკენ სიარული; ზოგჯერ აღწევ დანიშნულების პუნქტამდე, ზოგჯერ კი მხოლოდ მიდამოებამდე მიდიხარ. მნიშვნელობა არა აქვს, მიაღწევ თუ არა მიზანს, მთავარია ახალი გზები აღმოაჩინო. მაგრამ ორტეგა ი გასეტის კითხვა ასევე ნიშნავს, შეჩერდე რომელიმე აზრზე, გადადო წიგნი და გაბედო დამოუკიდებლად იფიქრო. მისი პროზა ასოცირდება ზმნებთან - "ბიძგება", "შეგულიანება", "აღძვრა". მას ხშირად უხეშობასა და ქედმაღლობაში ადანაშაულებდნენ. მეც მწუხარებით აღვნიშნავდი მის ღვარძლს, გესლიანობას. მაგრამ იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მცონარა ქვეყნები აშკარად საჭიროებენ დეზებსა და ეკლით ჩხვლეტას. ბევრი საყვედურობდა ორტეგა ი გასეტს, რომ მას არ შეეძლო დაბალ ხმაზე ელაპარაკა. ესეც მართალია. მაგრამ საკუთარ თავს ვეკითხები: როგორ არ აღვიმაღლოთ ხმა, როცა გარშემო შეშლილები და ლეთარგიულ ძილში ჩაფლული ადამიანები ცხოვრობენ - ვილაცამ ხომ უნდა გაიგონოს ჩვენი? მისი საუკეთესო ტექსტები არა იმდენად აღვიძებენ, რამდენადაც ნათელს ჰფენენ. ესპანურ ენაზე ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება: ვარჯიში სიცხადისა და იმავდროულად სიზუსტის მისაღწევად. ორტეგა ი გასეტმა დიდი საჩუქარი უძღვნა ესპანურ სიტყვიერებას: მან ამ ენაზე დაამტკიცა, რომ წერდე გასაგებად, ნიშნავს იყო ინტელექტუალურად სუფთა.

მიჭირს სწორი სახელწოდება მოვუძებნო მის ესეებს: სოციალური ფსიქოლოგია თუ კოლექტიური არაცნობიერის, იდეის ან რწმენის ისტორია - რევოლუციური და ტრადიციული; განსჯები სიყვარულის, მოდის, სინაზისა და ვაჟკაცობის, სიბერისა და ახალგაზრდობის, ცხოვრებისა და ისტორიის რიტმების შესახებ - უფრო მონტენს გაგვახსენებენ, ვიდრე კანტს, უფრო სტენდალს, ვიდრე ფროიდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას ვგულისხმობ, რომ იგი იყო ფილოსოფოსი - დაჯილდოებული ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებში შეღწევის უნარით, მაგრამ არა ფსიქოლოგი-პროფესიონალის, არამედ რომანისტისა და ისტორიკოსისთვის დამახასიათებელი უნარით, რომელიც ადამიანს აფასებს არა როგორც განზოგადებულ არსებას, ან კერძო შემთხვევას, არამედ როგორც ნაწილს ამ სამყაროსას. რომანისტისთვისა და ისტორიკოსისთვის ყოველი ადამიანი უკვე ხალხია. ორტეგა ი გასეტმა შესანიშნავი ესეები დაგვიტოვა ისტორიულ თემებზე, მაგრამ სამწუხაროა, რომ მას არასდროს მოსვლია აზრად, იუმის მსგავსად, საკუთარი ქვეყნის ისტორია დაეწერა. წიგნი "ესპანეთი მალების გარეშე" შესანიშნავი დასაწყისი იქნებოდა. რატომ აღარ გააგრძელა? მამხილებლის ნიჭს, ფსიქოლოგიური თვალისახელის უნარს იგი არასდროს მიმართავდა საკუთარ თავზე. იგი არ იყო ინტრავერტული, ამიტომაც შეუძლებელი იყო მას დღიური ეწარმოებინა. რაღაც აკლია მის შემოქმედებას: ესაა აღსარება. არა პირდაპირი, არამედ ისეთი, როგორიც სტერნთანაა. შესაძლოა "ვითარებების" სიყვარულმა - ღერძმა, რომლის გარშემოც ბრუნავდა მისი აზრი - შეუშალა ორტეგას ხელი, საკუთარი თავი დაენახა.

საკუთარი თავი კი მას ისტორიულად ესმოდა არა როგორც ჭვრეტითი "მე", მოწყვეტილი გარესამყაროს, არამედ ადამიანი ურთიერთობისას, უფრო სწორად, ბრძოლისას - საგნებთან და სხვა ადამიანებთან. სამყარო და "მე" განუყოფელია, - აღნიშნავდა იგი. ადამიანური არსებობის საზრისი, მისი "მე", ესაა მჭიდრო კავშირი: დროსა და სივრცეს, ისტორიასა და ქმედებას შორის. არაა გასაკვირი, რომ მისი საუკეთესო ესეები ისტორიულ და პოლიტიკურ საკითხებს ეხება, როგორც, მაგალითად "მასების ამბოხი", "რევოლუციის დაისი" (ამ ესემ წინასწარ განჭვრიტა დღევანდელი მოვლენები, თუმცა ისტორიის ციკლური გაგებით გაბუნდოვანების გამო, მან ვერ მოახერხა დაენახა რევოლუციური მითის უნიკალურობა), "განსჯები ტექნიკის შესახებ" და სხვას. ორტეგა ი გასეტი, ისევე როგორც ტოკვილი, მომავლის ჭრეტის უნარით იყო დაჯილდოებული და ბევრი ჩვენი წინასწარმეტყველის სიბრმავესთან შედარებით, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუკი თანამედროვე ისტორიისა და პოლიტიკის პრობლემებზე დაწერილ მის ესეებს სარტრის ნაწარმოებებს შევადარებთ, მაშინვე შევამჩნევთ, რომ ორტეგა ი გასეტი გაცილებით ღრმაა, ვიდრე ფრანგი ფილოსოფოსი. იგი უფრო იშვიათად ცდება, უფრო საფუძვლიანია და დაზღვეულია ჩასწორებებისგან და დაზუსტებებისგან, რომლებიც სულაც არ უხდება სარტრს და რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მისი დაგვიანებული mea culpa-თი მთავრდება. ბერტრან რასელთან შედარებაც ორტეგა ი გასეტის სასარგებლოდ დასრულდება: მისი პოლიტიკური შეხედულებების ევოლუცია, შესაძლოა არც ისე თანამიმდევრულია, მაგრამ სამაგიეროდ, მას არაფერი სცხია რასელის პირუეტებისა, უკიდურესობიდან უკიდურესობაში რომ ვარდებოდა. შეგვიძლია გავამართლოთ ან არ გავამართლოთ ორტეგა ი გასეტის პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ძნელია, იგი შეუსაბამობასა და სიბრიყვეში დაადანაშაულო.

როცა ორტეგა ი 'გასეტის აზროვნებაზე ვსაუბრობთ, უკეთესია მრავლობით რიცხვს მივმართოთ: არა ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, არამედ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ. მრავლობითი რიცხვი იმით კი არაა გამართლებული, რომ ორტეგა ი გასეტის აზრებს წყობა და მთლიანობა აკლია, არამედ იმიტომ, რომ საუბარია გარკვეულ წესრიგზე, მაგრამ არა სისტემაზე; კავშირზე, რომელიც არ შეიძლება დაამყარო არგუმენტებისა და თეზისების დახმარებით. ორტეგა ი გასეტის მიერ დასმული თემის მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი ნაწერი არ ტოვებს ქაოსურის შთაბეჭდილებას. პირიქით. თუმცა მისთვის უცხოა როგორც წმინდა თეორეტიზება, ასევე ზედმეტი ილუსტრაციულობა.

ზოგჯერ ორტეგა ი გასეტი იყენებს სიტყვა "განსჯას". ესაა სწორი, მაგრამ ძალზე ზოგადი სახელწოდება იმისა, რითაც იგი იყო დაკავებული. არსებობს უფრო ზუსტი სიტყვაც: "ნარკვევი", უფრო სწორად, "ნარკვევები", რადგანაც ამ ჟანრს არ უყვარს მხოლობითი რიცხვი. თუმცა ორტეგა ი გასეტის ნარკვევები ᲐᲖᲠᲘᲗ არიან გაერთიანებული, ისინი მაინც რეალურ ცხოვრებაზე არიან დაფესვებულნი, მის, გავ-



ბედავ ვთქვა, ესთეტიკაზე. ესაა ფიქრის გარკვეული საშუალება, რომელიც, ალბათ მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ აზროვნების ამ რეჟიმში - რომელიც სიმკაცრესა და სიზუსტეს ესთეტიკური თვითგამოხატვის სურვილთან აერთიანებს - მდგომარეობს მისი საიდუმლო. იგი არამხოლოდ ფიქრობდა ამა თუ იმ საკითხზე: მას იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეს აზრები - მათ შორის მასწავლებელთაგან მემკვიდრეობით მიღებული და ტრადიციაში დამკვიდრებული - მისი პიროვნების ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი. ორტეგა ი გასეტისთვის "ფიქრი". ნიშნავდა "გამოხატვას". ამით განსხვავდებოდა იგი, მაგალითად, სპინოზასაგან, რომელსაც სურდა, რომ მისი გამონათქვამი განწმენდილიყო შეცდომებისაგან, "მე"-ს შემთხვევითობათაგან და რაღაც მათემატიკურად ზუსტ, სიტყვებად გადამდნარი უნივერსალური ხასიათის ფენომენად ქცეულიყო. ამ თვალსაზრისით, ორტეგა ი გასეტი ცოტა რამით თუ განსხვავდება ესეისტიკის ფუძემდებლისგან, მონტენისგან. მონტენის ბევრი იდეა ანტიკურობაში იღებს სათავეს, მაგრამ მისი უეჭველი ორიგინალობა იმაშია, რომ სწორედ მან, მონტენმა განიცადა და გაიაზრა ახლიდან სექსტუს ემპირიკოსის აზრები, გადაიაზრა ისინი, გაითავისა და შემდეგ ჩვენ გვაზიარა მათ.

იდეათა რიცხვი უსასრულო როდია. უკვე ათას ხუთასი წელია ფილოსოფია იგემოვნებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მოძრაობა და იგივეობა, სუბსტანცია და ცვალებადობა, ყოფიერება და არსი, ერთი და მრავალი, პირველმიზეზი და არარა. ბუნებრივია, ასეთ კომბინაციაში თავისი ლოგიკა და აუცილებლობა იყო. ორტეგა ი გასეტმა, თავისი ეპოქის ფილოსოფიური ტრადიციისა და შეხედულებების გადააზრებისას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საკითხზე: რას და ᲠᲝᲒᲝᲠ ემსახურება იდეები. მან ეს იდეები ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებაში შემოიყვანა და მათაც შეიცვალეს თავიანთი ბუნება. ისინი უკვე აღარ არიან ცის კაბადონზე მიმოფანტული მნათობები, არამედ ინსტრუმენტებად, ხელსაწყოებად, მენტალურ ობიექტებად გადაიქცნენ, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. კითხვებმა - "რისთვის" და "როგორ" იგი ასევე აიძულეს გამოეკვლია, თუ რა იმალება იდეებს მიღმა და რა წარმოადგენდა მის საფუძველს: რომ ეს გონება კი არა, გაურკვეველი, ბუნდოვანი რწმენაა, ის ელემენტარული ფსიქიკური სტრუქტურები, რომლებიც ენაშიც არსებობენ და ადამიანის წარმოდგენებშიც - საიქიოს თუ თავად ადამიანის ბუნების შესახებ. ორტეგა ი გასეტის ესპანურენოვანი ქვეყნების ინტელექტუალურ ცხოვრებაზე უზარმაზარი გავლენის მიზეზი იდეებისა და ცნებების სწორედ ამგვარ გაგებაშია: ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ და ᲠᲝᲒᲝᲠ. ისინი უკვე აღარ არიან რაღაც გარეგანი ფენომენები და არსებობის პარამეტრებად იქცნენ. მან გვაჩვენა, რას ემსახურებიან იდეები და როგორ შეგვიძლია ისინი გამოვიყენოთ არა იმისათვის, რომ თავი შევიმეცნოთ ან ჭეშმარიტებას ვეზიაროთ, არამედ იმისთვის, რათა გზას მივაგნოთ, დიალოგი გავმართოთ სამყაროსთან, წარსულთან, ადამიანებთან.

ორტეგა ი გასეტი მონოლოგისტია. ბევრი ამას ნაკლად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ. მაგრამ სწორედ ამ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოლოგმა გვასწავლა ფიქრი. მან გვასწავლა, რომ პეიზაჟი სულიერი მდგომარეობა არაა და თავად ჩვენც არ წარმოვადგენთ პეიზაჟის მხოლოდ დეტალებს. ადამიანისა და ლანდშაფტის ურთიერთობები უფრო რთულია, ვვიდრე უძველესი ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტს შორის. პეიზაჟი ესაა "ჩემი თვალით დანახული" "აქ" და ამ "ჩემი თვალით დანახულს" ყოველთის "აქედან" ვუყურებ. ორ პოლუსს შორის ურთიერთობა უფრო ურთიერთქმედებაა, ვიდრე დიალოგი. იდეები - ესაა მოქმედებები, რეაქციები, აქტები. ადამიანური არსებობის ასეთ საკამათო, გარკვეულწილად ეროტიულ ხედვას უკვე აღარსად მივყავართ. ქმედებაში რეალიზებული აზრი ამოწურავს თავს. და სრული გაქრობის თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის ახლიდან უნდა დავიწყოთ. ადამიანი არის არსება, რომელიც განუწყვეტლივ ახლიდან ქმნის და გარდაქმნის საკუთარ თავს. ადამიანის ყველაზე დიდი გამოგონება თავად ადამიანია.

ეს ძალზე ტრაგიკული წარმოდგენაა სამყაროს შესახებ: თუკი მუდამ აღვადგენთ და განვაახლებთ თავს, მაშინ მარადიული დასაწყისისთვის ვართ განწირულნი. მოსვენება არაა: დასაწყისი და დასასრული ერთი და იგივეა. არ არსებობს ე.წ. ადამიანური ბუნებაც: იგი მხოლოდ ქმნადობაში არსებობს, მისი მხოლოდ გამოგონება შეიძლება. საკუთარი თავიდან, ბუნებიდან და გარემოდან განდევნილი, ადამიანი "გამოკიდულია" და ყველაფერი, რასაც ისტორიასა და კულტურას ვუწოდებთ, მხოლოდ ხელს გვიწყობს იმაში, რათა გამოკიდულნი დავრჩეთ, არ დავეშვათ ცხოველურ ინერციამდე. მაგრამ ხომ არსებობს ისტორია - ჩვენი არსებობის წესი და თავისუფლება, სადაც ვმყოფობთ და რასაც ვქმნით. და ისტორია, საბოლოოდ, არ დაიყვანება ჰაერში გამოკიდებაზე, ფესვების, ბუნების გარეშე არსებობაზე. მე ყოველთვის მაკვირვებდა წარმოდგენა ადამიანზე, როგორც არსებაზე, რომელიც განუწყვეტლივ ებრძვის მსოფლიო მიზიდულობის კანონს. თანაც, უშედეგოდ, რადგანაც ამ კონცეფციის ფარგლებში, რეალობა ვერ შეიცვლის სახეს. ისტორია კი განუწყვეტელი ნგრევა, დაცემა და განადგურებაა. ვშიშობ, რომ ორტეგა ი გასეტის ფილოსოფიას მიზიდულობის ძალა აკლდა, სიკვდილისკენ მიზიდულობის ძალა. მის ნაშრომებში ორი გიგანტის კვალი არ ჩანს: ეპიქტეტესი და ნეტარი ავგუსტინესი.

მისი მოღვაწეობა სამ ნაწილად გაიყო: წიგნები, კათედრა და "რევისტა დე ოქსიდენტე" ("Revista de Occidente" - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც ორტეგა ი გასეტი 1923-1936 წლებში გამოსცემდა). მისი გავლენითაა აღბეჭდილი ესპანეთისა და ესპანურენოვანი ამერიკის მთელი კულტურული ცხოვრება. პირველად, ორსაუკუნოვანი დუმილის შემდეგ, ესპანურმა აზრმა ამერიკამდეც მიაღწია. არამხოლოდ ჩვენი ინფორმირებულობა და აზროვნების სტილი განახლდა - მთელ ჩვენს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მსოფლაღქმაში ორტეგა ი გასეტისა და მისი წრის ადამიანთა კვალი დარჩა. 1920 და 1935 წლებს შორის განათლებულ წრეებში, როგორც XIX საუკუნეში იტყოდნენ, "რევისტა დე ოქსიდენტეს" სტილი ბატონობდა.



მარტინ ჰაიდეგერთან ერთად

დარწმუნებული ვარ, რომ ოტეგა ი გასეტის აზრებს ძალიან მალე აღმოაჩენენ ესპანელთა ახალი თაობები. ვერ წარმომიდგენია ჯანმრთელი ესპანურენოვანი კულტურა მის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, ის ორტეგა ი გასეტი ვერ იქნება, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით და ვკითხულობდით: ყოველი თაობა ახლიდან გამოიგონებს ხოლმე მწერლებს. ტრადიცია, რომელსაც ორტეგა ი გასეტი მიეკუთვნებოდა, თანამედროვე ესპანეთთან უფრო ახლოა, რადგანაც ეს ტრადიცია ყოველთვის ევროპაზე იყო ორიენტირებული. მაგრამ ევროპულ კულტურას ძნელბედობის ჟამი უდგას და აღარ ძალუძს იყოს შთაგონების წყარო - როგორც საუკუნის დასაწყისში. გარდა ამისა, ესპანეთზე გავლენას ახდენს ლათინური ამერიკა და ეს იგრძნო ვალე-ინკლანმა, მაგრამ არა უნამუნომ, მაჩადომ ან თავად ორტეგა ი გასეტმა. და 1927 წლის პოეტების თაობამ, მიუხედავად იმისა, რომ ნერუდა აღმოაჩინეს, ვერ გაიგეს ესპანურენოვანი ამერიკა. ორტეგა ი გასეტის დაბრუნება ნიშნავს არა მის გამეორებას, არამედ მის გაგრძელებას.

იმ უზარმაზარ, მდიდარ და მრავალფეროვან მემკვიდრეობაში, რომელიც მან ჩვენ დაგვიტოვა, სამ ნაკლს ვხედავ. ორის შესახებ უკვე მოგახსენეთ. პირველი ის, რომ იგი ინტროსპექტული არაა, ამას კი ყოველთვის თვითირონიისკენ მივყავართ - იგი ვერ ხედავდა თავს და ამიტომ ვერც საკუთარ ანარეკლს ამჩნევდა სარკეში. მეორე, რაც გამოეპარა ორტეგა ი გასეტს, სიკვდილია, რღვევა, რომელიც ნებისმიერ შენებას თან სდევს. ორტეგა ი გასეტის ადამიანი უშიშარი არსებაა, მისი ზოდიაქოს ნიშანი მშვილდოსანია; მას შეუძლია მიაშტერდეს მზეს, მაგრამ სიკვდილს იგი ვერ ხედავს. მესამე ნაკლი - უვარსკვლავობაა. ორტეგა ი გასეტის ზეციდან მნათობები გაქრა, ცოცხალი და გონიერი მნათობები; თბილი და ნათელი სიმრავლე, ანთებული სულები, რომლებიც იპყრობდა და აღაფრთოვანებდა პლოტინესა და პორფირიუსს. ორტეგა ი გასეტის ფილოსოფია ესაა აზრის, როგორც ქმედების ფილოსოფია; აზროვნება ნიშნავს ქმნას, მოძრაობას, გზის გაკვალვას, სამყაროსთან თანაარსებობას და არა მის ჭვრეტას. მისი პროზა ვნებიანი ფიქრია ამ სამყაროს შესახებ. სხვა სამყაროები, როგორც სიკვდილი და არარა, სიცოცხლის შიდაპირი, შიდასამყარო - აკრძალული ზონა, რომელიც სტოიკოსებმა აღმოაჩინეს და ყველაზე ადრე ქრისტიანმა მისტიკოსებმა შეისწავლეს - მასთან არ გვხვდება.

ორტეგა ი გასეტი გვათავისუფლებს ვარსკვლავთა წინაშე მოწიწებისგან, ანუ მეტაფიზიკისგან; აზრები იმთავითვე არ მყოფობენ მენტალურ ზეცაში: ჩვენ მათ ჩვენივე აზროვნებით ვქმნით. ისინი კოსმიური ჰარმონიის ხატს არ წარმოადგენენ და არც მსოფლიო წესრიგის ნიშნები არიან, არამედ ცრუ სინათლე, რომელიც სიბნელეში მიგვიძღვება, სიგნალები, ერთმანეთს რომ ვაგონებთ, ხიდები - ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად. მაგრამ სწორედ ეს მეორე ნაპირი, სხვა მხარე აკლია ორტეგა ი გასეტის ნაწერებს. რაციონალური ვიტალიზმი სოლიფსიზმია, შესახვევი, რომელსაც ჩიხში მივყავართ.

არსებობს წერტილი, სადაც თავს იყრიან დასავლური და აღმოსავლური ტრადიციები, პლოტინე და ნაგარჯუნა, ჯუან-ძი და შოპენჰაუერი: უკანასკნელი მიზანი, უზენაესი სიკეთე - ჭვრეტაა. მაგრამ ორტეგა ი გასეტი ამტკიცებს, რომ ფიქრი ცხოვრებას ნიშნავს და ცხოვრებისგან მოწყვეტილი აზრი კი კერპად იქცევაო. იგი მართალია, მაგრამ ამ სიმართლით ორტეგა ცხოვრების ნახევარსაც გვართმევს და აზროვნებისასაც. ასევე ცხოვრებაა, როცა ნისლში არჩევ სხვა ნაპირს, როცა გგონია, რომ ყოველივე არსებული თანაბარზომიერი და თანაშეწონილია.

ორტეგა ი გასეტის განსჯები ისტორიის, პოლიტიკის, შემეცნების, იდეების, სიყვარულის შესახებ - ცოდნაა და არა სიბრძნე.

ეს სტატია, რომელიც ტექსტების დამოწმების გარეშეა დაწერილი, არაა ორტეგა ი გასეტის ფილოსოფიის ანალიზი, არამედ უფრო შთაბეჭდილებები. ისევე როგორც ჩემი ასაკის მრავალი ესპანურენოვანი ამერიკელი, სიყმაწვილისას მეც ვნებით ვკითხულობდი მის წიგნებს, სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ამით გავიზარდე. იგი წარმართავდა ჩემს გზას და პირველ ინტელექტუალურ სიხარულსაც მას უნდა ვუმადლოდე. მისი წიგნების კითხვა თითქმის ფიზიკური სიამოვნება იყო, როგორც ცურვა, ან ტყეში სეირნობა. შემდეგ დავშორდი მას, სხვა ქვეყნები, სხვა მატერიკები აღმოვაჩინე. როცა ომი დამთავრდა, პარიზში დავსახლდი. მაშინ ჟენევაში საერთაშორისო შეხვედრები იმართებოდა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. როგორც წესი, იგი ექვსი საჯარო ლექციისგან შედგებოდა, რომელსაც ექვსი ევროპელი მოაზროვნე კითხულობდა და ყოველი ლექციის შემდეგ განხილვები იმართებოდა ხოლმე. 1951 წელს ამ დისკუსიებში მონაწილეობის მიღება შემომთავაზეს. დავთანხმდი: ერთ-ერთი იმ ექვსთაგან, ორტეგა ი გასეტი იყო. მის ლექციას აღელვებული ვუსმენდი, მაგრამ აღშფოთებასაც ვერ ვმალავდი: ჩემს გვერდით ვიღაც პროვინციელი მასწავლებლები - ფრანგები თუ შვეიცარიელები - ორტეგა ი გასეტის ფრანგულ აქცენტს დასცინოდნენ. ყველანაირად ცდილობდნენ, დაემცირებინათ და აბუჩად აეგდოთ იგი. არ ვიცი, რა დაემართათ, რამ გადარიათ! განხილვა, რომელიც მეორე დღეს გაიმართა, იმავე მიზეზის გამო ჩიხში მოექცა, მაგრამ საბედნიეროდ, მერლო-პონტიმ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ეს კულუარული პერიპეტიები სულაც არ მაინტერესებდა, მინდოდა უბრალოდ, დავახლოვებოდი ორტეგა ი გასეტს, გამესაუბრა მასთან და მეორე დღეს უკვე ოტელ დუ რონში მივაკითხე. ბარში შემხვდა: ვრცელ ოთახში, მოკრძალებული ავეჯითა და უზარმაზარი ფანჯრით, რომელიც მდინარეზე გადიოდა. უცნაური გრძნობაა: ხედავ, როგორ ეცემა მაღალი შლუზიდან აქაფებული, "გაცოფებული" წყალი, მაგრამ წყლის ხმა საერთოდ არ ისმის სქელი მინის გამო...

მიუხედავად გერმანული სამყაროსკენ მიდრეკილებისა, მთელი თავისი ბუნდოვანებით - ორტეგა ი გასეტი, ფიზიკურად და სულიერად, ხმელთაშუაზღვისპირეთის ადამიანი იყო. არა მგელი და ნაძვი, არამედ ხარი და ზეთისხილი. სიმაღლით, ტანადობით, ჟესტებით, თმებისა და თვალების ფერით ორტეგა პიკასოს ჰგავდა...

მტაცებელი ფრინველის მზერა ჰქონდა - არ ვიცი, არწივის თუ ძერასი. მივხვდი, რომ ეს ადამიანი, როგორც მშრალი აბედი, ადვილად აენთებოდა, მაგრამ დიდი ხნით არა: ქოლერიკი და მელანქოლიკი - არისტოტელეს მიხედვით, ორი საპირისპირო ტემპერამენტია, ორი უკიდურესობა. ორტეგა ი გასეტმა ამაყი კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ოღონდ ამ სიამაყეს არ ახლდა ზიზღი; ჩემი აზრით, ეს სიამაყის საუკეთესო სახეობაა. იგი გულღია, მოყვასის ბედით დაინტერესებული ადამიანი იყო. მშვიდად, აუღელვებლად შემხვდა და ოფიციანტს ორი ვისკი მოატანინა. კითხვები დამისვა და მეც ვპასუხობდი, რომ პარიზში ვცხოვრობ და ლექსებს ვწერ. თავი საყვედურით გადააქნია, თითქოს ამბობდა: ამ ესპანოამერიკელებს არაფერი ეშველებათო. შემდეგ ლაპარაკი დაიწყო: მახვილგონივრულად, თავისუფლად, დახვეწილად (საინტერესოა, რატომ არასდროს არ გადადიოდა თავის წიგნებში სალაპარაკო ტონზე?), თავისი ასაკისა და გარეგნობის (ტორერო, რომელსაც დალალი მოაჭრეს), არგენტინელი ქალების (მათში უფრო მეტია იუნონასეული, ვიდრე ათენასი), შეერთებული შტატები (შესაძლოა იქ რაღაც ღვივდება, მაგრამ ეს საზოგადოება ძალზე "ჰორიზონტალურია"), ალფონსო რეიესისა და მისი აზიური თვალების (მან ცოტა რამ იცოდა მექსიკაზე და ეს ცოდნა მას საკმარისად მიაჩნდა), ევროპის დაისისა და მისი აღორძინების, ლიტერატურის კრახის შესახებ; შემდეგ ისევ ასაკს დაუბრუნდა (ისეთი რაღაც თქვა, რაც პლოტინეს შეაძრწუნებდა: "აზრი - ერექციაა, მე კი ჯერ კიდევ ვაზროვნებ") და კიდევ მრავალი რამ გაიხსენა. მაგრამ ყოველთვის იგი მასწავლებლად რჩებოდა: გამოთქვამდა აზრს და მყისვე მაგალითი მოჰყავდა! იდეებისადმი მისი სიყვარული მსმენელზეც ვრცელდებოდა. მის გვერდით ჩემი არსებობა იყო მხოლოდ ექო, მხოლოდ დასტური. მე მივხვდი, რომ ყველაფერი მის მიერ დაწერილი, მის მიერვე თქმულის გაგრძელება იყო. რა განასხვავებს პოეტს ფილოსოფოსისგან? მიუხედავად იმისა, რომ ლექსი შედგება ნიშნებისაგან (სიტყვებისაგან), ნიშნები



არგენტინაში მოგზაურობისას

ვერ განსაზღვრავს მის არსს - ისინი მხოლოდ სახეების შესაქმნელად გამოყენებული ფორმაა. ფილოსოფოსის ხელში კი ნიშნები და სახეები თანასწორუფლებიანია. ფილოსოფიური გამონათქვამები თვითრეალიზაციისკენ მოწოდებაა (ღირსებისკენ, სამართლიანობისკენ, წონასწორობისა და არ ვიცი, კიდევ რისკენ). როდესაც ორტეგა ი გასეტისგან გამოვედი, თავი სკასავით მიზუზუნებდა.

მას მეორე საღამოსაც შევხვდი. იქ იყო ნიჭიერი ახალგაზრდა რობერტო ვერნეგო, რომელიც ორტეგას გიდობას უწევდა შვეიცარიაში. რობერტო გერმანული და ფრანგული ფილოსოფიის შესანიშნავი მცოდნე იყო. ერთხანს სამნი ვსეირნობდით ქალაქის ქუჩებში, შემდეგ რობერტომ დაგვტოვა და მე და ორტეგა გავუყევით სასტუმროსკენ მიმავალ მდინარის სანაპიროს. მდინარის ხმაურს მოულოდნელად ამოვარდნილი ქარის ხმაც დაერთო. ორტეგა ი გასეტმა მითხრა, რომ თანამედროვე სამყაროში მოღვაწეობის ერთადერთი შესაძლებელი სახე ფიქრია ("ლიტერატურა მოკვდა, მიუხედავად იმისა, რომ პარიზში ეს ჯერ კიდევ ვერ გაიგეს"). იმისთვის კი, რომ იფიქრო, საჭიროა ბერძნულის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გერმანულის ცოდნა. იგი წამიერად შეჩერდა, შეწყვიტა თავისი მონოლოგი, ხელი ჩამავლო, თვალებში იმგვარად ჩამხედა, რომ ეს მზერა დღესაც მაკრთობს და მითხრა: - ისწავლეთ გერმანული და დაიწყეთ ფიქრი. სხვა ყველაფერი დაივიწყეთ.

აღვუთქვი, რომ მის რჩევას უსათუოდ გავითვალისწინებდი და მივაცილე კიდეც სასტუმროს კარებამდე. მეორე დღეს პარიზში დავბრუნდი. გერმანული ვერ ვისწავლე, ვერც "სხვა დანარჩენი" დავივიწყე, მაგრამ ერთ რამეში კი გავითვალისწინე მის მიერ თქმული, რომ: არ არსებობს "აზრი თავისთავად", რომ ნებისმიერი აზრი მიმართულია "სხვაზე", "დანარჩენზე". ეს სხვა, თუ დანარჩენი - როგორც არ უნდა უწოდო - არის ჩვენი არსებობის გამოხატულება. პირადად ჩემთვის იგი ისტორიაა. იმ რაღაცას, რაც ისტორიაზე "მეტია", პოეზია ეწოდება. ჩვენ უკანასკნელ ხანაში ვცხოვრობთ. საქმიანობის ღირსეულად დასრულება არანაკლებ საპატიოა, ვიდრე მისი კარგად დაწყება. თავი და ბოლო ერთმანეთს ემთხვევა: ამოსავალში პოეზია და ფილოსოფია ერთ მთელს შეადგენდნენ. შემდეგ მოხდა მათი გათიშვა. ახლა ისინი ხელისცეცებით ეძებენ ერთმანეთს, რომ კვლავ შეერთდნენ. რაც შეეხება მის მთავარ რჩევას: "დაიწყე ფიქრი", მისმა წიგნებმა სიყმაწვილეშივე მაიძულეს, მეფიქრა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვცდილობდი მისი პირველივე გაკვეთილებიდან შეთვისებული ჭეშმარიტების დაცვას. საეჭვოა, მე ისე ვფიქრობდე ახლა, როგორც იგი ფიქრობდა თავის დროზე, მაგრამ ერთი რამის თქმა კი დაბეჯითებით შემიძლია: მისი მაშინდელი აზრების გარეშე მე დღეს ვერ შევძლებდი ფიქრს.

მეხიკო,
13 ოქტომბერი,
1980 წ.

თარგმნა ია ბიბილაშვილმა

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კიკნაძე

# ეკლესიამ უნდა გაუადვილოს მოქცევის გზაზე მდგარ ადამიანებს არჩევანი



"საპატრიარქოს უწყებათა" 21-27 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული "პრესის მიმოხილვის" ერთი მონაკვეთი ეძღვნება იმ მოსაზრებათა კრიტიკულ განხილვას, რომლებიც გამოთქმული მაქვს "კავკასიონის", "ახალი ტალღისა" და "განახლებული ივერიის" ფურცლებზე. მე გულწრფელად მადლობელი ვარ ავტორისა, რომლის ვინაობა, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია (პუბლიკაციის ანონიმურობის გამო), რომ ჩემი ნაწერებისათვის ყურადღების მიქცევით საშუალებას მაძლევს უფრო ვრცლად და მკაფიოდ გადმოვცე ჩემი თვალსაზრისი. არ ვამახვილებ ყურადღებას ანონიმი ოპონენტის საყვედურზე ჩემი თითქოსდა "მენტორული ტონის" მიმართ. მთავარი ეს არ არის. უფრო მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელსაც ოპონენტის განცხადება შეეხება:

"პირველი, რაც პატივცემული პროფესორის ინტერვიუდან გამოსჭვივის, მისი მენტორული ტონია. მას ეკლესიის მისიად მიაჩნია მისი საზღვრების გაფართოება, რასაც იგი ვერ ახერხებს. რადგან თურმე ნუ იტყვით და "ჩვენს ეკლესიას სამისიონერო გამოცდილება არა აქვს".

რითი შეიძლება ვიმართლო თავი? ვაღიარო ფაქტის წინააღმდეგ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დიდი სამისიონერო გამოცდილება აქვს? ოპონენტს შეუძლია დამიპირისპიროს ის ხანა, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეგიდით ქრისტიანობა ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებში. მაგრამ მას შემდეგ დიდი ისტორიული ხარვეზია, შეიძლება ითქვას, მისიონერული ვაკუუმი. საქმის ვითარებას არ ცვლის ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების არსებობა რუსეთის მმართველობის პერიოდში - ეს იყო ნაწილი რუსეთის ეკლესიის სამისიონერო პოლიტიკისა, რომელსაც საკმაო გამოცდილება ჰქონდა, და არა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც იმ ხანად, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება, არ არსებობდა. ამასწინანდელ "რეტრო-პერსპექტივის" ტელეგადაცემაში (22.02.20) სწორედ ამ გამოცდილების არარსებობაზე ან სისუსტეზე იყო საუბარი. ეს ფაქტი არც გადაცემაში მონაწილე სასულიერო პირს უარუყვია. თუმცა ისიც ითქვა, რომ იდგმება ნაბიჯები სამისიონერო გზაზე.

მე ვწერდი, რომ ჩვენს თანამედროვეობაში არცთუ იშვიათია ინდივიდუალური მოქცევის ფაქტები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მთელ ხალხს, რომელიც შეიძლება ეკლესიის პოტენციური მრევლი იყოს, ამას ვერ მოსთხოვ. ეკლესია თავად უნდა შეეგებოს, მისკენ მომავალ, შესაძლოა, შუაგზაზე მყოფ, ადამიანებს. ხშირად გაისმის აღშფოთება მოძალებული სექტების მიმართ, რომ ისინი აგრესიულნი არიან, რომ ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი რელიგიის პროპაგანდას, მოსახლეობისათვის თავზე მოხვევას. ეკლესია აგრესიას აგრესიითვე ვერ უპასუხებს. მისი პრინციპები გამორიცხავენ იძულებას ადამიანის პიროვნებაზე, მის თავისუფალ ნებაზე, რწმენაზე. ეკლესია უნდა აივსოს (შეივსოს) იმ ადამიანებით, რომლებმაც ნებაყოფლობით, შინაგანი რწმენით გააკეთეს არჩევანი. ეს არის ქრისტეს ეკლესია ანუ რწმენით მოწოდებულ ადამიანთა კრებული. ეკლესიამ უნდა გაუადვილოს მოქცევის გზაზე მდგარ ადამიანებს არჩევანი. აჩვენოს თავისი უპირატესობა ყველა სხვა სახის კონფესიის მიმართ. დღეს ნამდვილად ეკლესიის ამოცანაა არა უშედეგო და მისთვისვე საზიანო ბრძოლა სექტების წინააღმდეგ, რაც უცილობლად მისთვის მიუღებელ აგრესიაში გადაიზრდება (მაგალითი: ე.წ. გლდანის ეკლესიის მრევლის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ჩატარებული დარბევები და აუტოდაფეები), არამედ სულიერი და ზნეობრივი პოტენციალის ამოქმედებით თავისი ფარგლების გაფართოება.

კიდევ ვწერდი იმ ენის თაობაზე, რომლითაც ეკლესია უნდა ელაპარაკებოდეს საზოგადოებას, რომელიც არ არის ერთგვაროვანი და სრულიად განსხვავებულია საზოგადოების მენტალიტეტისგან, ვისაც ესაუბრებოდნენ ეკლესიის ძველი მამები. აი, ეს არის და ეს, სადაც ანონიმი ავტორი მენტორულ ტონს ხედავს. თუ სურვილი იქნა, ასეთი ტონი აზრის ნებისმიერ გადმოცემაში შეიძლება დავინახოთ. თუმცა ეს არ არის მთავარი.

თუ არსებითად შევეხებით ენის პრობლემას, აღმოჩნდება, რომ ეს გამოხატვის პლანის პრობლემაა ფართო მნიშვნელობით. აქ არა მხოლოდ ვერბალურ ენას უნდა ვგულისხმობდეთ.

როცა მართლმადიდებლობას თანამედროვე ცხოვრებისგან ჩამორჩენას სწამებენ, გულისხმობენ არა მარადიულ ჭეშმარიტებებს, რომლებზეც დგას ქრისტეს ეკლესია, არამედ ამ ჭეშმარიტებათა გადმოცემას ძველი, უფრო სწორად, მოძველებული კატეგორიებით. ეკლესიაში არის ორი მხარე: ერთი უცვალებელი, ეს არის მისი დოგმატიკა, და მეორე - ცვლილებას დაქვემდებარებული მხარე, როგორიც არის გადმოცემა-გამოხატვის ფორმა. ძველი ფორმით გადმოცემული ჭეშმარიტება გაუგებარი რჩება საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, შეინიშნება ტენდენცია, რომ ყველფერი, რაც ემსახურება დოგმატურ მხარეს, მის რეალიზებას, როგორიც არის ღვთისმსახურების ვერბალური ენა, მისი წესი, კალენდარი, საეკლესიო შენობის სახე და სხვა, დოგმატურ ხარისხში იქნას აყვანილი. ეს ვრცელი საუბრის თემაა. აქ ვიტყვი მხოლოდ, რომ დოგმატური მხარისა და გამოხატვის პლანის იერარქიული გათანაბრების ტენდენციას სასიკეთო არაფერი მოაქვს, გარდა ორმხრივი გაუგებრობისა საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ეს კლავს თავისუფლების ყოველგვარ გამოვლინებას საეკლესიო ცხოვრების იმ სფეროში, რომელიც ექვემდებარება ადამიანურ შემოქმედებას.

გადმოცემა-გამოხატვის სფეროს საკრალიზებულად წარმოდგენამ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა რიგის ფაქტორებთან ერთად, უბიძგა ე.წ. მართლმადიდებელ მშობელთა საზოგადოებას, სასამართლოში ეჩივლა რელიგიის სახელმძღვანელოთა ("რელიგია და კულტურა", "რელიგიის ისტორია") ავტორებისათვის - რ.თვარაძისა და ნ.პაპუაშვილისათვის იმ მოტივით, რომ მათში დამახინჯებულად არის გადმოცემული მართლმადიდებლური მოძღვრება, რომ ისინი ერეტიკული წიგნებია და რყვნის ბავშვების ცნობიერებას. მომჩივანნი საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდან მოელოდნენ ანათემებს (წყევლა-კრულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას) განსხვავებული კონფესიების მიმართ. მათ ვერ იცნეს არატრადიციულად გადმოცემული ქრისტიანული ჭეშმარიტებანი. ეს სიბეცეა, ეს მათ შეზღუდულობასა და კულტურულად ჩამორჩენილობაზე მეტყველებს.

ჩემს ნაწერებში ოპონენტმა "უნიატური სულისკვეთება" დაინახა, თუმცა მე სწორედ უნიატობის საპირისპიროდ მიწერია: "მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სამართლიანი პრეტენზიები რომის ეკლესიისადმი. რომის ეკლესიას, თუ იგი საბოლოო შერიგების ნებას გამოიჩენს, დიდ სქიზმის შემდეგ მიღებული დოგმატების გადახედვა მოუწევს". ეს არის კათოლიციზმისადმი ობიექტური მართლმადიდებლური მიდგომა. იგი გამორიცხავს უნიატობას. შესაძლოა, ანონიმი ავტორი "უნიატურ სულისკვეთებად" იმას მითვლის, რომ მე რომის კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიად ვიხსენიებ და არა სექტად, როგორც ჩვენი "მართლმადიდებელი ჯვაროსნები" მიიჩნევენ, ან მითვლის იმას, რომ მოსურნე ვარ ეკლესიათა შორის დიალოგისა, ან იმას, რომ მე სქიზმას (განხეთქილებას) ეკლესიებს შორის მძიმე და ტრაგიკულ რეალობად ვთვლი და "ჯვაროსნებივით" ნეტარებას არ მგვრის იმის წარმოდგენა, რომ კაცობრიობის უმეტეს ნაწილს შეიძლება საუკუნო ჯოჯოხეთი ელოდეს? არსად არ დამიწერია და არც ვფიქრობ, რომ ეკლესიათა შერიგების პირობა პაპის პრიმატის აღიარება უნდა იყოს ("უნიატური სულისკვეთება" სწორედ ეს იქნებოდა). პირიქით, მე ვწერდი იმის თაობაზე, რომ რომის ეკლესიას მოუწევს შერიგების შემთხვევაში ახლადშემოღებული დოგმატების, მათ შორის, პაპის პრიმატისა და მის შეუმცდარობის, გადახედვა. უნიატობა არის არა შერიგება ეკლესიათა, არამედ გადასვლა ერთი ეკლესიიდან მეორეში, ისიც სანახევროდ. გადასვლა ვერ დააახლოებს ეკლესიებს. უნიატობა იზიარებს ყველა დოგმატს, რომელიც რომის ეკლესიაში დიდი სქიზმის შემდეგ იქნა მიღებული, მათ შორის პაპის შეუმცდარობისას, აღიარებს პაპის პრიმატს, იტოვებს რა მართლმადიდებლობიდან მხოლოდ ჩვეულებით მხარეს - რას სახელდობრ? იტოვებს უფლებას, ლათინური მესის ნაცვლად ასრულებდეს იოანე ოქროპირის ლიტურგიას და იმოსებოდეს, როგორც იმოსება მართლმადიდებელი სამღვდელოება. ანუ ეს ნიშნავს: დოგმატიკა, რაც არსებითად შეადგენს ეკლესიის საფუძველს, რომაულ-კათოლიკურია, რიტუალური მხარე კი, რაც ნაკლებად არსებითია და ყოველთვის ექვემდებარებოდა და ექვემდებარება ცვლილებას, ბიზანტიურ-მართლმადიდებლურია. ეს უნია "კოჭლი" და ცალმხრივია და სრულიადაც არ არის ეკლესიათა ესქატოლოგიური გაერთიანების საწინდარი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნიატები ცუდი ქრისტიანები არიან. პოლიტპატიმართა მონათხრობით ვიცი, რომ მათ შორის ბევრმა პატიმართა ბანაკებში აღმსარებლობა გამოიჩინა.

გავარჩიოთ ანონიმი ოპონენტის კიდევ ერთი საყვედური:

"ზოგიერთი სასულიერო პირის ობსკურანტული განცხადების საქართველოს ეკლესიის პოზიციად გასაღება... რბილად რომ ვთქვათ, არასწორია".

მე გაცილებით რბილად გამოვთქვი ჩემი დამოკიდებულება კონკრეტული სასულიერო პირის უარყოფითი თვალსაზრისის მიმართ თანამედროვე საერო ხელოვნებისა თუ, საზოგადოდ, კულტურის შესახებ.

მკაცრ უარყოფით თვალსაზრისს აქვს ალბათ რაღაც გამართლება, როგორც რეტროსპექტულად, ისე ქრისტიანული ესქატოლოგიის პერსპექტივაში. ღვთიურ ჭეშმარიტებათა მიმართ დაცემულ სამყაროში ყველაფერს მეტ-ნაკლებად ხრწნილების დაღი აძევს. ხელოვნება და, საზოგადოდ, კულტურა მოწოდებულია დაცემული წუთისოფლის ("რომელი ბოროტსა ზედა დგას") დაძლევისაკენ. თუ ამას ვერ ახერხებს, ეს მისი ნაკლია. მე ვწერდი, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას გარკვევით არ გამოუხატავს აზრი ქრისტიანობის დამოკიდებულებაზე კულტურის მიმართ თეოლოგუმენის სახით (რაკი ეს დოგმატური გადაწყვეტილების საგანი არ არის). მაგრამ ეს ცალკე თემაა.

ამჟამად აქ მთავარი და მნიშვნელოვანი სხვაა. სახელდობრ: როგორ უნდა განარჩიოს რიგითმა მორწმუნემ ეკლესიის პოზიცია "ობსკურანტის" პოზიციისგან? რიგითმა მორწმუნემ შეიძლება არ იცოდეს, როდის ლაპარაკობს სასულიერო პირი ეკლესიის სახელით და როდის გამოთქვამს თავის კერძო თვალსაზრისს. ყოველდღე ვისმენთ ქადაგებებს, მაგრამ შეიძლება არ ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ მოქადაგის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს. შეიძლება მოძღვარის პირით არ ღაღადებდეს ჭეშმარიტება. აი, რას წერს თავად სასულიერო პირი, ცნობილი განათლებული მოძღვარი:

"პირველ რიგში, მორჩილმა ადამიანმა უნდა აღიაროს თავისი უკიდურესი უმწეობა და უძლურება. მან უნდა უთხრას თავის თავს: "მე არარაობა ვარ. მე არ შემიძლია თავი გადავირჩინო". ადამიანი ღრმად უნდა დარწმუნდეს თავის უძლურებაში". დავიმახსოვროთ მოძღვრის ეს მოწოდება და განვაგრძოთ დამოწმება: "შემდეგ, ძმანო და დანო, ის მთლიანად უნდა მიენდოს თავისი მოძღვრის ნებას, როგორც ქვა მოქანდაკის ხელებს ან თითი - მექოთნეს (რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მოძღვრის სწავლება არ ეწინააღმდეგება სახარებისეულ მცნებებს, რომლებიც მარადიულნი არიან). სულიერ მოძღვართან მისულ მორჩილ ადამიანს უნდა ჰქონდეს მტკიცე გადაწყვეტილება, შეასრულოს ყველაფერი, რასაც მოძღვარი იტყვის" ("სულიერ მოძღვართან ურთიერთობის შესახებ", გაზ. "კანდელი", N5, 1997, გვ.3).

გავაანალიზოთ დამოწმებული მონაკვეთი, თუმცა აქ არაფერია გასაანალიზებელი, იმდენად აბსურდია იგი. და მაინც: როგორ უნდა გაარჩიოს "უკიდურესად უმწეო და უძლურმა არარაობამ", როგორადაც ყოფნას გვირჩევს მოძღვარი, რა არის ჭეშმარიტი და რა - არა მოძღვრის სწავლებაში? თუ ის მართლაც "არარაობაა", ცხადია, ვერ გაარჩევს. და იმ შემთხვევაში, თუ მოძღვრის სწავლება არ ეთანხმება სახარების მოძღვრებას, რა იხსნის მორჩილის სულს, რომელიც ვალდებულია უსიტყვოდ შეასრულოს მოძღვრის ნათქვამი? ხოლო თუ მორჩილს შესწევს უნარი, თავად გაარჩიოს ჭეშმარიტება მცდარობისაგან, რისთვის ესაჭიროება მას მოძღვარი? ან თუ ის "არარაობად" ირწმუნებს თავს, როგორღა შეიძლება შერჩეს "მტკიცე გადაწყვეტილების" გამოტანის ნება?

"შეასრულოს ყველაფერი, რასაც მოძღვარი ეტყვის"? შეასრულოს მტკიცე გარანტიის გარეშე, მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ მოძღვრის სწავლება არ ეწინააღმდეგება სახარებას? ხომ უშვებს ავტორი ალტერნატივას ("რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ...")?

აქ, ცხადია, მხედველობაში თანამედროვე რიგითი მოძღვარია, რომელსაც ნებისმიერ ეკლესიაში მოვძებნით და ვანდობთ ჩვენს სულს. მაგრამ, კვლავ ვკითხულობ, როგორ გაარკვიოს სარწმუნოებაში სუსტად გაცნობიერებულმა ადამიანმა, რომელი მოძღვარი ღაღადებს ეკლესიის აზრს? არათუ დღევანდელი რიგითი მოძღვარი, არამედ ეკლესიის მამებიც კი, რომლებმაც სიტყვიერი გამოხატულება მისცეს მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატიკას, ყოველთვის არ გამოხატავენ ეკლესიის მოძღვრებას. თითოეულ მათგანს აქვს კერძო შეხედულება, რომელთა დოგმატიზაცია ეკლესიას არ მოუხდენია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის კი ყოველი მათი გამონათქვამი დოგმატურ მნიშვნელობას იძენს, რაც არ არის მართებული. ვისაც ჰქონია შემთხვევა, ერთმანეთისთვის შეედარებინა ათანასე ალექსანდრიელისა და ბასილი დიდის "ფსალმუნთა განმარტებანი", დაინახავდა მათ შორის სხვაობას, წინააღმდეგობას თუ არა - შეუთავსებლობას. მართალია, ფართო მასშტაბით ისინი ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ ხშირად საპირისპირო განმარტებებს იძლევიან. უფრო მეტიც: წმ. გრიგოლ ნოსელი იზიარებდა ორიგენის შეხედულებას ყველა თავისუფალი ნების მყოფელ არსებათა (უკიდურესად დაცემულ ადამიანთა და ეშმაკთა) საბოლოო აღდგენას (ე.წ. აპოკატასტასის) პირველქმნილ სრულყოფილებაში, თუმცა ეს შეხედულება ეკლესიამ დაგმო. ასე რომ, არ არსებობს ეკლესიის მამათა აბსოლუტური თანხმობა (ე.წ. Consensus patrum) ყველა საკითხში და როგორ შეგვიძლია, დარწმუნებული ვიყოთ, რომ თანამედროვე მოძღვარი სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს?

ადამიანის არარაობის, სრული უმწეობის, უსიტყვო მორჩილების მოძღვრისეული "დოგმატი" არა თუ უბრალოდ ადამიანურ ღირსებას შეურაცხყოფს, არამედ სრულიად უგულებელყოფს ადამიანის პიროვნებას, როგორც ღვთის ხატს, ყველაზე ძვირფასს მათ შორის, რაც კი ღმერთს გაუჩენია. ეს ქრისტიანობაც აღარ არის. "მორჩილმა სულიერი მოძღვრის თითოეული სიტყვა უნდა გაითავისოს და როგორც რაიმე ძვირფასეულობა, ჩაილაგოს თავის გულში ძვირფასი საჩუქარივით", - გვასწავლის მოძღვარი. არავითარი დიალოგი, არც წმიდა წერილი. წმიდა წერილის სიტყვებს მოძღვრის სიტყვები ენაცვლება. მოძღვარი აფარებულია "მორჩილსა" და ღვთის სიტყვას შორის, თავად ღმერთს შორის. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი ძრწოდეს მხოლოდ ღვთის წინაშე, მისგან მოძღვარი თავის წინაშე ძრწოლას მოითხოვს. ამ დროს კი, თუ რიგითი მორწმუნე ადამიანი არარაობაა, არანაკლებ არარაობაა თვით მოძღვარიც ღვთის აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და აბსოლუტური სიწმიდის წინაშე. ასეთია, დამეთანხმება მოძღვარიც, წმიდა მამათა და [illegible]ერთა გამოცდილება. ისინი სულმუდამ, რა სულიერ სიმაღლისთვის არ უნდა მიეღწიათ, თავიანთ არასრულყოფილებაზე მოთქვამდნენ.

მომისმენია პატიოსანი მოძღვრისგან (არ დავასახელებ ვისგან, სად) ქადაგება ერთ-ერთ ლაზარეს შაბათს (საეკლესიო კალენდარში ამ დღეს იხსენიება "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", თუმცა ტექსტი არ არის ლიტურგიული დანიშნულების) იმის თაობაზე, რომ ქართველები არ მონაწილეობდნენ ბაბილონის გოდლის შენებაში და ამიტომაც გადაურჩნენ ენათა აღრევას. ამ მიზეზით არის თურმე ქართული ენა უფლის ენა. როგორ მოიქცეს ქადაგების მსმენელი, მორჩილი? უსიტყვოდ დაუჯეროს ამ "გამოცხადებას"? ბევრი უჯერებს და ამიტომაც არის მტკიცედ ფეხმოკიდებული ჩვენს საეკლესიო და საერო წრეებში წარმოდგენები ქართველობაზე, როგორც ღვთის რჩეულ ხალხზე, უკულმართად გაგებულ ღვთისმშობლის წილხვედრობაზე, მის "გაბრწყინებაზე" და ა.შ. ეს ყველაფერი "ქართული მესიანიზმის" ყალბი იდეების საზრდოა. ვერავინ აიწევს თითს, რომ შეეპასუხოს მოძღვარს, რადგან ეს ეკლესიაში ხდება: მოძღვარი ex cathedra ქადაგებს.

და ბოლოს, ვის თვალსაზრისს გამოხატავს "საპატრიარქოს უწყებათა" პუბლიკაცია? - ეკლესიისას? საპატრიარქოსას? თუ მხოლოდ ანონიმისას? ან რა მიზნით არის ის ანონიმური? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ანონიმურობა მხოლოდ პუბლიკაციის ავტორიტეტულობის გაძლიერებას ემსახურება. დღეს, ჩვენი საღვთისმეტყველო განათლების დონის პირობებში არავინ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. შემჩნეულია დოგმატური ცდომილებები გამოცემებში, რომელთა მესვეურნი სხვათა ნაწერებში ეძებენ გადახვევებს. აქვთ თუ არა მათ სათანადო მომზადება და ხელმწიფება იმისათვის, რომ საეკლესიო ცენზორის როლში მოევლინონ პრესას?

*(გაგრძელება იქნება)*



# "ცოცხალი ლიტურგიკული გარემო ერთადერთი საშუალებაა, რომ ძველი ენა შევინარჩუნოთ"

## ინტერვიუ პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელთან



**- მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების პროექტის მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ "სახელმწიფო ხელს უწყობს საქართველოს საპატრიარქოს, იზრუნოს ერის სულიერი და ზნეობრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის". რას ნიშნავს "უსაფრთხოება" და რა იგულისხმება ერში - ეკლესიური ერი, ყველა ქართველი თუ საქართველოს ყველა მოქალაქე - ვის უსაფრთხოებაზე იზრუნებს საპატრიარქო?**

- ცხადია, რომ სახელმწიფოში ვიღაცა უნდა ზრუნავდეს ერის სულიერ და ზნეობრივ უსაფრთხოებაზე, ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე. ცხადია, რომ სახელმწიფო ნდობას გამოუცხადებს ერისთვის ტრადიციულ იმ ზნეობრივ და სულიერ ინსტიტუტს, რომელიც გამოხატავს ერის უმრავლესობის აღმსარებლობას, სარწმუნოებას, ამ შემთხვევაში - მართლმადიდებელ ეკლესიას.

**- რამდენად არის მისაღებია, ვთქვათ, ათეისტისთვის ან სხვა სარწმუნოების მიმდევრისთვის, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ იზრუნოს მათი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების დაცვაზე, მით უმეტეს, რომ ეს ღირებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენგან?**

- ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ ზღუდავს სხვა აღმსარებლობათა კონსტიტუციურ უფლებებს. ზნეობრივი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობის ღვთის რჯულით აღზრას გულისხმობს, ღვთის რჯული კი, უპირველესად, ათ მცნებას ემყარება. 10 მცნება ერთია მაჰმადიანისათვისაც, იუდაისტისთვისაც, კათოლიკესთვის და პროტესტანტისთვისაც, იგი ყველასთვის კანონია. ქრისტიანული ზნეობა, თუ გავიხსენებთ მაცხოვრის მთაზე ქადაგებას, ემყარება 10 მცნების უფრო ღრმა გაგებას, მის სრულყოფას არა მხოლოდ კარეგნული ფორმით, არამედ შინაგანადაც. ეს არ შელახავს არც ერთი აღმსარებლობის სინდისს და უფლებებს. ამაში, მე მგონი, არ დევს ის აზრი, რომ ეკლესიამ ვინმეს თავზე მოახვიოს თავისი სიტყვა.

**- კონკრეტულად, რა იგულისხმება "სულიერი და ზნეობრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში"?**

- იგულისხმება, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება აქვს, საზოგადო მსახურება აღასრულოს საზოგადო ადგილებში - საჯარისო ნაწილებში, საავადმყოფოებში, მსჯავრდებულთა შორის... ამით არ ეკრძალება, ვთქვათ, მაჰმადიან პატიმარს ან ჯარისკაცს, მისი რელიგიის მსახური მოითხოვოს,

მაგრამ საზოგადო მსახურების უფლება სხვა აღმსარებლობებს არ ეძლევათ.

**- ე.ი. შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ეს მუხლი თავისუფალი ქადაგების და მსახურების უფლებას გულისხმობს?**

- რადგან იგულისხმება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, დაშვებულია ასეთი საზოგადოებრივი მსახურება. ეს არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას, მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა კი განაპირობებს, ალბათ, მოსახლეობაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას. მე ვერ ვხვდები, ვინ შეიძლება იყოს ამის წინააღმდეგი?

**- საწინააღმდეგო შეიძლება არავის ჰქონდეს, მაგრამ მე არ მესმის, რას ნიშნავს "უსაფრთხოება"?**

- "ზნეობრივი და სულიერი უსაფრთხოება" ჩემთვისაც გაუგებარი ტერმინია, მე ამ ტერმინს არ გამოვიყენებდი.

**- ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ეკლესიის მსახური გათანაბრებულია საჯარო პირთან. რა იგულისხმება ამაში?**

- ეს, ალბათ, კანონის შემდგენელს უნდა ვკითხოთ. მე ვერ ვხვდები, რა იგულისხმება, მართლა გაუგებარი რაღაცა წერია.

**- ორშაბათის პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ტოტალიტარული სექტები უნდა აიკრძალონ. რას ნიშნავს ტოტალიტარული სექტა, რომლებია ისინი?**

- ჯერ უნდა განისაზღვროს - რა იგულისხმება ტოტალიტარულ სექტაში?

შეიძლება ის ვიგულისხმოთ, რომ იგი ყველაფერს მოიცავს, ადამიანის მთელ დროს, მთელ მის არსებას, საქმიანობის ყველა სფეროს აკონტროლებს? ანუ ამ სექტას შეუძლია მისი წევრის დასჯა, მოკვლა? თუ მათ ყოვლისმომცველობაზე, ელიტარულობაზე აქვს პრეტენზია, ეს ამპარტავნებისგან მოდის და ასეთ სექტებში მართლა შეიძლება ხდებოდეს ადამიანის, მისი ღირსებების დათრგუნვა, მისი უფლებების შელახვა.

არის მეორე ვარიანტიც - შეიძლება რომ ტოტალიტარულში იგულისხმებოდეს ისეთი სექტები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული, ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში და ზეწოლა მოახდინონ სახელმწიფოზე. თუ ეს ასეა, მაშინ ძალიან საშიშია, რადგან ისინი შეურაცხყოფენ ყველა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას და ამზადებენ ნიადაგს ახალი ტოტალიტარული რეჟიმისათვის.

**- მაგრამ, თუ ისინი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას კონსტიტუციური გზით, ანუ მოსახლეობის მიმხრობითა და შემდეგ არჩევნებში გამარჯვებით ცდილობენ, გვაქვს უფლება, რომ მათ ეს ქადაგება კანონით ავუკრძალოთ?**

- მარტივად ამის თქმა ძნელია, კონკრეტულ ქმედებებში უნდა გამოვლინდეს, არსებობს თუ არა საშიშროება და არის თუ არა ეს ქმედებები ანტიკონსტიტუციური, რომ დასჯას ექვემდებარებოდეს.

**- თქვენ ახსენეთ ელიტარულობა... მე მეჩვენება, რომ ელიტარულობისკენ, განსაკუთრებულობისკენ მისწრაფების ნიშნები მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არის. ერთ-ერთ ასეთი ნიშნად მეჩვენება ლიტურგიკული ენისადმი დამოკიდებულება, ძველი ენის შენარჩუნება ღვთისმსახურებაში. კარგად მესმის, რომ მთელი ლიტურგიკული ტექსტების თარგმნა ძალიან ძნელი და შრომატევადი საქმეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მგონია ახალი ენის მიუღებლობა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს რუსეთში, სადაც თარგმნის პრობლემა ნაკლებად დგას. მიდგომა ასეთია, რომ ეს ტექსტები არ უნდა დავამდაბლოთ ახალი ენით, რომ ძველი ენა უფრო წმინდაა, უფრო საკრალურია... არადა, ქრისტე სწორედ მდაბიოთა ენაზე, ყველასთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა, სწორედ ის ენა განწმინდა, აამაღლა თავისი ქადაგებით და ამით საღვთო სიტყვა ყველასთვის მისაღები გახადა. როცა ეკლესია უარს ამბობს ახალ თარგმანზე, სწორედ ელიტარულობის, გამორჩეულობის შენარჩუნებას ხომ არ ცდილობს?**

- თქვენს კითხვას თქვენვე გაეცით პასუხი, როცა თქვით, რომ უფალმა განწმინდა ძველი ენა.

**- უფალმა კონკრეტული ენა ხომ არ განწმინდა, განწმინდა ენა, რომელზეც მდაბიო ხალხი ლაპარაკობდა და ამით მოგვცა მაგალითი, რომ ღვთის სიტყვა ყველასთვის გასაგებ ენაზე უნდა იქადაგოს.**

- ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი - სეპტუაგინტა - არ იყო კლასიკური ბერძნული, მაგრამ ამ თარგმანმა განწმინდა მდაბიოთა საყველპურო ენა. მაგრამ ერთია ის, რაც ღვთის მადლის მოქმედებით ხდება და მეორეა ის, რასაც ადამიანი აკეთებს. შუშანიკის წამებას თარგმნა არ უნდა, რადგან ის სწორედ ამ მარტივი ენით არის დაწერილი. ასეთივე ენითაა თარგმნილი სახარება ათონელების მიერ.

**- სახარება ენობრივად შედარებით ადვილად გასაგებია, მაგრამ, ვთქვათ, პავლეს ეპისტოლეები გაგება ძველქართულად ძალიან რთულია. თანაც, თუ ისტორიულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ენის ცვლილების კვალდაკვალ იცვლებოდა წმინდა წერილის თარგმანიც - ხანმეტს ჰაემეტი ცვლიდა, შემდეგ გიორგი ათონელის თარგმანი, ცალკეა ადიშური სახარება... ჩვენ, რატომღაც, არ ვითვალისწინებთ ამ გამოცდილებას... ახალი თარგმანები ღვთისმსახურების დროს არ გამოიყენება, არც ჩვენთან და არც რუსეთში.**

- ღვთისმსახურებაში არ გამოიყენება, მაგრამ ყველას შეუძლია წაიკითხოს.

**- კი მაგრამ, რატომ უნდა წავიკითხოთ ეკლესიაში გაუგებარ ენაზე, შემდეგ კი სახლში ვცადოთ ეკლესიაში მოსმენილის და ვერგაგებულის გაგება?**

- არც ისე გაუგებარია. გაუგებარი შეიძლება იყოს რამდენიმე სიტყვა და გრამატიკული კონსტრუქცია, მაგრამ ვინც სისტემატურად დადის ეკლესიაში და სისტემატურად კითხულობს ძველქართულად, იმისთვის ეს არ არის უცხო ენა. როცა ჩვენს შვილებს 2-3 ენას ვასწავლით, ეს დადებითად მიგვაჩნია და რატომაა ცუდი, რომ ეკლესიურმა ადამიანმა თანამედროვე ენაც იცოდეს და ძველიც?

ცოცხალი ლიტურგიკული გარემო ერთადერთი საშუალებაა, რომ ძველი ენა შევინარჩუნოთ. დღეს ხუცური და ასომთავრული დამწერლობა ეკლესიაშია ცოცხალია, ერში კი რამდენიმე მეცნიერმა თუ იცის. რატომ უნდა დავკარგოთ ეს სიმდიდრე?

თანაც, ეს ენა ეკლესიურ გარემოში ჩამოყალიბდა თავისი სტილითა და ლექსიკით. ახალ ენაში არ არის შესატყვისები, რომლებიც ღირსეულად შეცვლის ძველ შესატყვისებს. თუ ერი გახდება ეკლესიური, მაშინ, ღვთის მადლით, გამოჩნდება ადამიანი, ან, შეიძლება, მთელი სკოლა შეიქმნას, რომელიც თავს გაართმევს ამ დიდ საქმეს.

მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ძველი ენაა გაუგებარი, არამედ ის, რომ ადამიანია გაუცხოებული ღვთისმსახურებისაგან და თანამედროვე ენაზეც რომ იკითხებოდეს ის საკითხავები, მაინც ვერ გაიგებს. ლიტურგიკულ საკითხავებს აქვთ თავისი მისტიური მნიშვნელობა და ადამიანის შინაგანი მდგომარეობა განსაზღვრავს, ესმის მას ეს ენა თუ არ ესმის.

**- აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ცოცხალი დამოკიდებულება ძველ ქართულთან მხოლოდ ეკლესიაშია შემორჩენილი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ეკლესიის მისია მხოლოდ წარსულსა და აწმყოს შორის კულტუროგიური ხიდის გადება ხომ არ არის? ამ ენით ხომ ადამიანებს რაღაც დამატებით დაბრკოლებას ვუქმნით? შეიძლება გადალახვადია ეს დაბრკოლება, მაგრამ ის ხომ ნამდვილად არსებობს? პირადად ჩემთვის წლების განმავლობაში იდგა ეს პრობლემა. როცა მედავითნე გავხდი, მაშინღა მივხვდი, თუ რა სიმდიდრეს, რა ცოდნას ინახავს ლიტურგიკული ტექსტები და რამდენად ძვირფასი იყო ის სიბრძნე, რასაც მანამდე ან ვერ ვიგებდი, ან მხოლოდ ნაწილობრივ მესმოდა.**

**დარწმუნებული ვარ, რომ მე გამონაკლისს არ წარმოვადგენ, მით უმეტეს, რომ ყველა მედავითნე ვერ იქნება. რატომ არ უნდა გაიგოს მრევლმა ის, რაც ეკლესიაში იკითხება და რაც საუკუნეების განმავლობაში ეკლესიას შეუქმნია?**

- მაგალითად, ფსალმუნი ახალ ენაზეც რომ იკითხებოდეს, ლიტურგიკულ გარემოში მაინც ვერ გაიგებენ. იგი მშვიდად უნდა იქნას წაკითხული, რომ გაიგონ.

**- მაშინ, იქნებ, ფსალმუნების წილი უნდა შემცირდეს ღვთისმსახურებაში...**

- არა! ადამიანი თუ დაინტერესებულია, თუ მორწმუნეა, ის თავის შინაგან აღზრდაზე თვითონ იზრუნებს. თუ ფსალმუნი პირველ წაკითხვაზე ძნელი გასაგებია, ათჯერ გადაკითხვის შემდეგ უკვე სამი მეოთხედია გასაგები, მეთერთმეტეჯერ კი მშობლიური ხდება. ეს არის ბარიერი, რომელიც განასხვავებს იმ ადამიანს, რომელსაც უნდა ეკლესიურად იცხოვროს და ილვაწოს, იმ ადამიანისგან, რომელსაც უნდა თავის მოდელზე გადააწყოს და გადააკეთოს ეკლესია და მოახდინოს მისი სეკულარიზაცია, თავისი შინაგანის ინტერპოლაცია მოახდინოს ეკლესიაზე. ასეთი ეკლესია არავის სჭირდება.

**- მამა გიორგი, ზუსტად ის სიტყვა თქვით, რასაც ვეძებდი - ბარიერი. რა სა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჭიროა ხელოვნური ბარიერების აღმართვა, როცა ბარიერი ისედაც არსებობს ღმერთსა და ადამიანს შორის - მთელი წუთისოფელი, მიწიერი ცხოვრება დგას ბარიერად. რატომ უნდა აღვმართოთ ჩვენი მხრიდან ახალი ბარიერები? ძველი ქართული სინტაქსი ხომ სრულიად განსხვავებულია, გაუგებარია თანამედროვე ადამიანისთვის?**

- ამიტომაც ითარგმნება წმინდა წერილი.

**- ეს თარგმანი უნდა იკითხებოდეს ეკლესიაშიც - იქ, სადაც ადამიანი ისმენს.**

- თქვენ იცით, რომ ადრე წირვა-ლოცვა იყო მორწმუნეთა საკრალური შეკრება, სადაც მართალნი, ანუ ეკლესიის აქტიური წევრები იკრიბებოდნენ მხოლოდ. მათთვის გასაგები იყო ის, რასაც კითხულობდნენ. უცხო, არაეკლესიური ხალხი საერთოდ არ უნდა შემოსულიყო ტაძარში. ეს ახლა შეიძინა ეკლესიამ ტურისტული ობიექტის მნიშვნელობა.

**- მაგრამ ლიტურგიას საკრალურობას ენის არქაულობა არ ანიჭებს...**

- არქაულობა არ ანიჭებს, მაგრამ საკრალურობა გარკვეულ მომზადებას ითხოვს ადამიანისგან, ეს ადამიანები კი სრულიად მოუმზადებელნი შემოდიან. შემოვლენ, სანთელს დაანთებენ, გაიხედ-გამოიხედავენ, ვერაფერს გაიგებენ და გადიან.

**- თუ ლოცვა გასაგებ ენაზე იქნება, იქნებ, როცა გაიხედ-გამოიხედავენ, სწორედ მაშინ გაიგონ და დარჩნენ, რატომ ვქმნით ამ ხელოვნურ ბარიერებს?..**

- ეკლესია არ არის გათვლილი შემთხვევით გამვლელ-გამომვლელზე. ეკლესია არის ღვთის მოწოდებული ერი.

**- ჩვენ ხომ არ ვიცით, ვინ არის მოწოდებული, იქნებ სწორედ ის შემთხვევითი გამვლელია?**

- ის თუ მოწოდებულია, თვითონ გაიგონებს.

**- თუ ძველი ენის საკრალურობას ასე მნიშვნელოვანია, რაღა ძველქართულად ვკითხულობთ, პირდაპირ ძველბერძნულად წავიკითხოთ, რომელზეც სეპტუაგინტა ითარგმნა, რომელზეც მოციქულები წერდნენ, ის უფრო საკრალური არ იქნება?**

- ძველი ბერძნული უცხო ენაა, ძველი ქართული არაა უცხო ენა. უცხო ენებს სწავლობენ და ძველ ქართულში რომ 10-15 სიტყვა იყოს გაუგებარი, რატომ უნდა გავხადოთ ეს პრობლემად? ებრაელებმა სახელმწიფო ენად გამოაცხადეს ივრითი - ენა, რომელიც უმრავლესობას დავიწყებული აქვს. სწავლობენ ნელ-ნელა და ივრითზე ლაპარაკობს მთელი ერი. იმას არ ვამბობ, რომ ძველი ქართული სახელმწიფო ენად გამოვაცხადოთ, მაგრამ ეკლესიაში გაუმართლებელია ასეთი რეფორმა.

**- ჩვენ მაგალითისთვის ხშირად მოგვყავს გამონაკლისები, მაშინ, როცა ძირითადი სურათი სულ სხვაა ხოლმე. მაგალითად, ჩვენი ეკლესიის მიერ ძალიან პოპულარულია სომხეთის მაგალითის დამოწმება, რომ იქ აიკრძალა ან შეიზღუდა იეღოვას მოწმეებისა თუ ზოგიერთი სხვა სექტის საქმიანობა. მე არა მგონია, რომ სომხეთი მისაბაძი მაგალითი იყოს, ჯერ ერთი, დემოკრატიულობის და, მეორეც, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით: თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ეკლესიის მიზანი ადამიანის ცხონებაა, ხოლო ცხონება მხოლოდ მართლმადიდებლობაშია შესაძლებელი და არა მონოფიზიტობაში ან იეღოვას მოწმეებთან, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი მონოფიზიტად წარწყმდება თუ იეღოველად? თუკი სომხური ეკლესია სარწმუნოებრივად მიუღებელია, მათი გამოცდილება რატომაა მისაღები?**

- სომხეთის გამოცდილებაში მთავარია მოტივაცია, თუ რატომ აკრძალეს. იქ იეღოველობა როგორც ანტიეროვნული მოძრაობა, ისე აიკრძალა.

**- ანტიეროვნულში ჯარში სამსახურზე უარის თქმა იგულისხმება?**

- არა მხოლოდ: როდესაც შენი ერის ისტორიას ამახინჯებენ, შეურაცხყოფას აყენებენ, აბუჩად იგდებენ შენი წმინდანების სახელს, ისტორიულ პიროვნებებს, ეს არის ანტიეროვნული პოლიტიკა და უნდა აიკრძალოს, როგორც სიყალბე, სიცრუე, შეურაცხყოფა, როგორც ანტიკულტურული მოვლენა. დავით აღმაშენებელზე და თამარ მეფეზე რომ იტყვიან - გაუნათლებლები იყვნენ, სახარება არ იცოდნენო, როცა შეურაცხყოფენ ისეთ ავტორიტეტებს, რომელთა თაოსნობითაც შენარჩუნებულია ერის თვითმყოფადობა, ეს ანტიეროვნული პოზიციაა, არ შეიძლება ამის გაზიარება. როცა იეღოველი შემოდის და ქართული ლიტერატურის სწავლების დროს აგიოგრაფიას ამახინჯებს და ამის მაგივრად იეღოველთა მოძღვრებას ასწავლის, ეს დასაშვებად მიგაჩნია? ეს უნდა აიღკვეთოს.

**- ასეთი კონკრეტული შემთხვევები, როცა სასკოლო პროგრამა მახინჯდება, უნდა აიკრძალოს, მაგრამ კონკრეტული შემთხვევების გამო იმის თქმა, ავკრძალოთ, თავად მიმდინარეობა ავკრძალოთ, არასწორი მგონია.**

- საფრანგეთში ასეთი ქმედებებისთვის 2000-ზე მეტი იეღოველი იყო დაპატიმრებული. ზოგიერთი მათგანი ციხეში ჩასვეს, ზოგი - დააჯარიმეს.

**- შეთანხმების პროექტში წერია, რომ საღვთო სჯულის შემოღებას აფინანსებს სახელმწიფო, ეკლესია კი საგნის სწავლების ნებართვას იძლევა. რამდენად მომგებიანი იქნება თვითონ ეკლესიისთვის ამ საგნის შემოღება? ჯერ ერთი, საგნის მცოდნე ძალიან ცოტაა. მეორეც, მარტო ცოდნა საკმარისი არ არის, საჭიროა გარკვეული გამოცდილებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ამ საგნის სწავლებას ეკლესიისთვის უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. თანაც, რამდენად მისაღები იქნება საღვთო რჯულის სწავლება იმ ბავშვებისთვის, რომელთაც სხვა აღმსარებლობის ან ათეისტი მშობლები ჰყავთ, ხომ არ დაირღვევა ნებაყოფლობის პრინციპი?**

- როგორც ჩანს, სახელწოდება "საღვთო სჯული" ბევრს აშინებს, რადგან არ იციან, რა იგულისხმება საღვთო სჯულში. საღვთო სჯულში ასწავლიან ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორიას, ეკლესიის ისტორიას, ქრისტიანული დღესასწაულების შინაარსს, ტაძრის აღწერილობას, ცნობებს საეკლესიო მსახურების შესახებ, წმინდანთა ცხოვრებებს და ქრისტიანულ ზნეობას. იქ არ არის არაფერი ისეთი, რაც შეურაცხყოფას აყენებს რომელიმე რელიგიის წარმომადგენელს ან ათეისტს, კონფესიური შინაარსითაც სრულიად ნეიტრალურია, გარდა ერთისა: იქ არის განმარტებული მართლმადიდებლური სარწმუნოება, სხვამხრივ ვერავინ იტყვის, რომ რამეს ძალით ვასწავლით. იქნებ ბავშვს არ აინტერესებს ჩინეთის ან აცტეკების ისტორია, მაგრამ ეს შედის პროგრამაში და უნდა ისწავლოს. ჩინეთის ისტორიის სწავლა არც რელიგიის შეცვლას გულისხმობს და არც ეროვნების გამოცვლას, ისევე, როგორც საღვთო რჯულის სწავლა.

საქართველოში მცხოვრებმა არაქართველმა რომ აუცილებლად უნდა ისწავლოს ქართული, ამით შეურაცხყოფას ხომ არ ვაყენებთ მის ენას? ასევე, მან რომ იცოდეს ამ ერის, მისი ეკლესიის ისტორია, განა რამე დანაშაულია? მას არავინ სთხოვს, რომ უნდა თუ არა, მართლმადიდებელი გახდეს. სხვა საკითხია, თუ ვინმე იტყვის, რომ მას არ უნდა ამ ცოდნის შეძენა. მაშინ სხვა იტყვის, რომ არ უნდა ინგლისურის ან რუსულის სწავლა. არის სკოლაში ასეთი ნებაყოფლობითი არჩევანი, რა ისწავლოს და რა არა? არსებობს სახელმწიფო სტანდარტი და სახელმწიფო წყვეტს, რა იყოს სტანდარტში.

**- ლაპარაკი იმაზეა, უნდა იყოს თუ არა სტანდარტში ამ საგნის სწავლება. მაგალითად, ჩვენ თუ ვისურვებდით, რომ, ვთქვათ, მაჰმდიანურ ქვეყანაში ჩვენს შვილებს აუცილებლად ასწავლიდნენ შარიათის საფუძვლებს ან რაიმე ამდაგვარ რელიგიურ საგანს?**

- მე ასე გეტყვი: ჭეშმარიტება ასწავლო ადამიანს, ეს არ არის ძალადობა, ეს არის მისი სულისათვის ზრუნვა.

**- თუ არ უნდა ადამიანს ეს ჭეშმარიტება?**

- ჭეშმარიტება არ უნდა იმას, ვინც არ იცის, რა არის ჭეშმარიტება, ან უკვე ცოდვისათვის არის მომზადებული, რადგან ეს ჭეშმარიტება მისი სიცრუის მამხილებელია. ჭეშმარიტების ძიება ადამიანის ონტოლოგიური თვისებაა, რადგან ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი და ის უფალს ეძებს. თუ ვინმე სიყალბიდან სიმართლისკენ გამომყავს, ამით შეურაცხყოფას ვაყენებ ამ ადამიანს? თუ მას არ უნდა, ეს მისი ნებაა, მაგრამ ჩვენი მისიაა, რომ ჭეშმარიტების შეცნობაში ხელი შევუწყოთ...

ესაუბრა **სოფარ სუბარი**

## არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი

ია ანთაძე

ამ წერილში დასმული შეკითხვები და აქვე მოცემული შესაძლო პასუხები ეფუძნება ერთ საკვანძო პოსტულატს: საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთმანეთს ეჯახება ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინტერესები.

ამის დადასტურება ყოველი ჩვენგანის თვალწინ გამუდმებით ხდება. მაგალითისთვის გავიხსენოთ ორი ფაქტი: ერთი მხრივ, აშშ ხელისუფლების ბოლოდროინდელი ღია ძალისხმევა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გასატანად; მეორე მხრივ - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის განცხადება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, რომ რუსეთი კავკასიაზე თავის გავლენას არ დათმობს.

ჩვენში თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც საჯაროდ დაიწყებს მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში სტრატეგიული ინტერესები არ გააჩნია. სამაგიეროდ, ბევრი მოიძებნება იმის მთქმელი, რომ რუსეთი მეტისმეტად დაძაბუნდა, თავისი თავი გასჭირვებია და საქართველოსთვის კიდევ დიდხანს ვერ მოიცლის.

თუმცა, ფაქტები სხვაზე მეტყველებს. რამდენიმე თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთის ავიაცია ქართულ სოფლებს დაბომბავდა, რუსეთი სავიზო რეჟიმით დაემუქრებოდა საქართველოს და პუტინი შევარდნაძეს 1994 წელს დადებული მძიმე ხელშეკრულების რატიფიკაციას მოსთხოვდა.

ბოლოხანს, საკუთარი პრობლემების მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არა მხოლოდ გააქტიურდა, არამედ - საგრძნობლად გააგრესიულდა.

ამ პირობებში, მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნებოდა, არ გვეძებნა ამ ორი ქვეყნის ინტერესების გატარების შესაძლო გზები და, შესაბამისად, არ გვეფიქრა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოსალოდნელ მოვლენებზე.

* * *

უეჭველია, საპრეზიდენტო არჩევნები დამატებით სტიმულს მისცემს როგორც დასავლეთს, ასევე რუსეთს, რომ არჩევნების შედეგებში მათთვის სასარგებლო სამომავლო გარანტიები ჩაიდოს. იმ კურსის მიხედვით, რასაც ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, ერთი შეხედვით, პრეზიდენტის პოსტზე შევარდნაძე მისაღებია მხოლოდ დასავლეთისთვის, რუსეთისთვის კი უპირობოდ სასურველია სხვა - ნაკლებად პრობლემური ფიგურა.

* * *

ედუარდ შევარდნაძის და მის მიერ ოფიციალურად აღიარებული კურსის შეცვლა, წესით, პოლიტიკურმა ოპოზიციამ უნდა იტვირთოს. მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების მთავარი ოპოზიციური ბანაკის - ბლოკ "საქართველოს აღორძინების" - საარჩევნო სტრატეგია იმ სახით, რა სახითაც იგი ჯერჯერობით ხორციელდება, გამარჯვების რეალურ პერსპექტივას არ მოიცავს.

ბათუმის პოლიტიკური ორბიტიდან ორი შესაძლო ტაქტიკური ვარიანტი მომდინარეობს - არჩევნებში კანდიდატის წამოყენება ან არჩევნების ბოიკოტი. ოპოზიციის მოთხოვნები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მიზნად ისახავდა ორივე ვარიანტისთვის ნიადაგის მომზადებას: საარჩევნო კომისიების ახლებური დაკომპლექტება და მუშაობის ახალი რეჟიმი ოპოზიციას არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში გამოადგებოდა, ხოლო აღრიცხვიანობის მოწესრიგება, მარკირება და ამ მიმართულების სხვა ღონისძიებები - არჩევნების ბოიკოტირებას შეუწყობდა ხელს.

აშკარაა, რომ ზურაბ ჟვანიამ ოპოზიციას დაუთმო მხოლოდ ის პუნქტები, რომლებიც მათ არჩევნებში მონაწილეობისკენ უბიძგებს, მაგრამ არ დაუთმო არაფერი, რაც სტიმულს მისცემდა ბოიკოტს. ესე იგი, ხელისუფლებისთვის ბოიკოტი უფრო საშიშია, ვიდრე ღია საარჩევნო ბრძოლა. ბოიკოტისკენ მიმავალი გზა კი, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დამატებით ჩაიხერგა.

მთლიანობაში, შევარდნაძის კურსს ბათუმის ორბიტიდან საფრთხე არ ემუქრება, რადგან არც არჩევნების მოგების რეალურ შანსს და არც ბოიკოტის განხორციელების ბერკეტებს ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, არ ფლობს.

ეს ძალიან საშიშია შევარდნაძისთვის, რადგან რუსეთის ინტერესების გამტარებელი ძალა სხვაგან არის მოსაძებნი.

**თუ არეულობა დაიწყო, არასაპარლამენტო პარტიების ალიანსი, სხვა შიდა ძალებთან ერთად, ქვეყნის გარეთ არსებული ძალების ხელშეწყობით, მიაღწევს არჩევნების შემოდგომისთვის გადატანას და მანამდე საკუთარი კანდიდატის საპრეზიდენტო რეიტინგის მოგროვებას შეეცდება. თუ როგორ შეიძლება ამის გაკეთება, მაგალითს თავად რუსეთი იძლევა.**

* * *

სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად რუსეთის ტექნოლოგია შეიძლება იყოს ორგვარი: პირობითად თუ ვიტყვით - ომის ან მშვიდობის.

დავიწყოთ "ომის" (დესტაბილიზაციის, ტერაქტის) ტექნოლოგიით.

ასეთ ტექნოლოგიას საწყის ეტაპზევე პოლიტიკური უზრუნველყოფა, ანუ ხელისუფლების ღია ოპონენტის არსებობა სჭირდება. ბათუმის ორბიტის გარდა, შევარდნაძეს ასეთი ღია ოპონენტი ბოლოხანს არასაპარლამენტო პარტიების გაერთიანების სახით გამოუჩნდა ("საქართველოს თავისუფლების და დემოკრატიის ეროვნული ცენტრი"). მართალია, ამ პოლიტიკურ გაერთიანებას ბევრი სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს და სამართლიანადაც, მაგრამ შეიძლება, პროცესები ისე განვითარდეს, რომ ამ ბანაკმა დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინოს.

ამისთვის კი აუცილებელია ექსტრემალური ვითარება. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, დღეს უკვე არსებულ გაერთიანებას სხვა, უფრო პრესტიჟული არასაპარლამენტო პარტიებიც შეუერთდნენ და მათი პრინციპული პოზიცია - რომ საჭიროა არჩევნების შემოდგომამდე გადატანა - გაჟღერდეს, როგორც მთელი საზოგადოების მოთხოვნა. თუ არჩევნების გადატანა ზოგიერთი ძალის ინტერესთა თანხვედრის გამო მართლაც მოხერხდა, ამ გაერთიანების საპრეზიდენტო კანდიდატი საგანგებო წონას შეიძენს.

ნიშანდობლივია ბესო ჯუღელის განცხადება, რომ მათ კანდიდატი ჰყავთ არა ალიანსის შიგნით, არამედ - მის გარეთ. ეს განცხადება საშუალებას იძლევა, ეროვნული ცენტრის ფარულ ლიდერად მოვიაზროთ ნებისმიერი პრორუსული ორიენტაციის ან რუსული ინტერესების მიმართ არაგულგრილი პოლიტიკური ფიგურა საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთ.

* * *

ნატო ონიანმა 13 თებერვალს სატელევიზიო გადაცემაში "ტაიმ აუტი" ამ კონტექსტში ლამის პირდაპირ დაადო ხელი აკაკი ასათიანს და მიანიშნა, რომ სწორედ მას უკავშირდება არასაპარლამენტო პარტიების ალიანსი და რუსული ინტერესების შესაძლო გატარება ახლო მომავალში.

აკაკი ასათიანი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მის სახელს ბოლო წლის განმავლობაში ოპოზიცია აფხაზეთის პრობლების მოგვარებას უკავშირებს - თითქოს, ასათიანი ნაყოფიერ მოლაპარაკებებს აწარმოებს ინკოგნიტო აფხაზებთან, რომლებიც არძინბას ნდობით სარგებლობენ. იმ პოლიტიკურ ფიგურას, რომლის რეიტინგის "გაბერვასაც" რუსეთი გადაწყვეტს, ძალიან დასჭირდება აფხაზებთან კარგი კონტაქტი და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ილუზია. აკაკი ასათიანი იქნება თუ ვინმე სხვა - თუკი რუსეთი რეალურად შეეცდება, შემოდგომამდე საპრეზიდენტო რეიტინგი შეუქმნას რომელიმე პოლიტიკურ ფიგურას - ამისთვის ყველაზე რეალური და მოკლე გზა აფხაზეთის (თუნდაც, ნაწილის) რაღაც ფორმით საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებაა (თუნდაც, ილუზორული). სწორედ ამის შიშით და დღევანდელი სტატუს კვოს შენარჩუნების იმედით, არძინბა იძულებული გახდა, შევარდნაძის მიმართ საჯარო მხარდაჭერა გამოეხატა.

მეორე საკითხია, რამდენად რეალურია ამ კონტექსტში აკაკი ასათიანის პოლიტიკური ფიგურის განხილვა. ნატო ონიანის თვალსაზრისით, აკაკი ასათიანი კარგი კანდიდატურაა, რადგან მას საზოგადოებას მიაწოდებენ, როგორც გამსახურდიასდროინდელი ხელისუფლების ლეგიტიმურ მემკვიდრეს.

ამ შემთხვევაში კონკრეტულ კანდიდატებზე საუბარი არ ღირს, რადგან საქართველოში რუსული ინტერესების გამტარებელი უფრო რესპექტაბელური ფიგურებიც მოიძებნებიან.

უფრო მნიშვნელოვანია სქემა - თუ არეულობა დაიწყო, არასაპარლამენტო პარტიების ალიანსი, სხვა შიდა ძალებთან ერთად, ქვეყნის გარეთ არსებული ძალების ხელშეწყობით, მიაღწევს არჩევნების შემოდგომისთვის გადატანას და მანამდე საკუთარი კანდიდატის საპრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდენტო რეიტინგის მოგროვებას შეეცდება. თუ როგორ შეიძლება ამის გაკეთება, მაგალითს თავად რუსეთი იძლევა.

ამ ვერსიის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს კულუარული ინფორმაცია, რომელსაც არაერთი წყარო ადასტურებს: ალიანსმა მძაფრი ფორმებით აღკვეთა ლეიბორისტული პარტიის ენერგიული მცდელობა, რომ მას 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილის კანდიდატურა წამოეყენებინა. ცხადია, ალიანსს საპრეზიდენტო კანდიდატი თავის გარეთ ეგულება და ჯერ მისი გამოჩენის დრო არ დამდგარა. ამ კვარცხლბეკს ალიანსის განდობილი წევრები შემთხვევით ფიგურას ვერ დაუთმობენ.

ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ალიანსი მეტისმეტად ხელოვნურ ვითარებაში შეკოწიწდა - არჩევნების შემდეგ. თუკი ამის საფუძველი იყო არა ძლიერი პოლიტიკური ფიგურის ლობირება, არამედ - სუსტი პარტიების თვითდამკვიდრების მცდელობა, გაცილებით ლოგიკური იქნებოდა, ალიანსს თავისი საპრეზიდენტო კანდიდატი დაესახელებინა და არჩევნების გადატანის სადღეისოდ აბსურდულ ვარიანტზე არ "ჩაციკლულიყო".

მაგრამ არჩევნების გადატანის მოთხოვნა მნიშვნელობას შეიძენს მაშინვე, თუკი საქართველოში რაიმე სახის სერიოზული არეულობა დაიწყება. დღევანდელ რეალობაში ამისთვის ორი გზა არსებობს: უკვე არაერთგზის აპრობირებული ტერაქტის გზა, ან იმ საფრთხის ხორცშესხმა, რაც საქართველო-რუსეთის ჩეჩნური მონაკვეთიდან გვემუქრება. ეს საფრთხე რომ რეალურია, ამაზე მეტყველებს, თუნდაც, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალური განცხადება, რომ ნატო არ დაუშვებს რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის გავრცელებას საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ეს კიდევ ერთი გამოძახილია ამერიკასა და რუსეთს შორის კავკასიური ინტერესების კონფლიქტისა და პირდაპირ მიანიშნებს რუსეთიდან მომდინარე საფრთხის კონკრეტულ შინაარსზე.

ასე რომ, "ომის ტექნოლოგიის" გამორიცხვა საარჩევნო პროცესში რეალობის ვერშეფასების ტოლფასია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტერაქტი და არეულობა გარდუვალია. ეს ასე არ არის, რადგან არსებობს საქართველოში პოლიტიკური კურსის შეცვლის მშვიდობიანი ტექნოლოგიაც.

* * *

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქართულ სახელისუფლო სივრცეში დასავლური ინტერესების დაცვის გარანტი პარლამენტია, რომელიც მის მიერ მიღებული კანონმდებლობით დასავლური კურსის სრულ დეკლარირებას ახდენს.

მაგრამ ხელისუფების ის შტო, რომელსაც ამ დეკლარირებული და კანონმდებლობაში ასახული კურსის განხორციელება ევალება - ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება - თავისი საქმიანობის სულისკვეთებით პირდაპირ ეწინააღმდეგება დასავლური სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთის ინტერესების დამცავ ციტადელად გვევლინება.

პრეზიდენტი, ერთი მხრივ, პარლამენტის საქმიანობაში არ ერევა და ამით მას საშუალებას აძლევს, თავისი ბუნებრივი - პროდასავლური - მიმართულებით განვითარდეს და გაძლიერდეს; მეორე მხრივ, პრეზიდენტი პარლამენტის აგრესიისგან იცავს და იფარავს მთავრობას, რითიც მასაც თავისი ბუნებრივი - ანტიდასავლური -მიმართულებით აძლიერებს.

მაგრამ ახლო მომავალი ამ ბალანსის დარღვევის დიდ პოტენციას შეიცავს. კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობას, ხოლო პარლამეტი 118 ხმით, ფარული კენჭისყრით, სათითაოდ ამტკიცებს მინისტრებს.

1995 წელს მსგავს პროცედურას ფორმალური ხასიათი ჰქონდა - პარლამენტმა უპრობლემოდ დაამტკიცა მთავრობის მთელი შემადგენლობა. მაშინ პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის ინსტიტუტები უმწიფარი იყო. მაგრამ დღეს პროცესები გამოკვეთილი დრამატურგიით ვითარდება - პარლამენტს

**"პრეზიდენტის მხარდაჭერა" საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ტრადიციულად, სხვადასხვაგვარად ესმით. ზოგისთვის ეს ნიშნავს შევარდნაძის კურსის მხარდაჭერას, ზოგისთვის კი - კორუფციის და განუკითხაობის მხარდაჭერას.**

პირველად ეძლევა შანსი, რომ თავისი დეკლარირებული კურსის განსახორციელებლად რეალური ბერკეტი აამოქმედოს: არ დაამტკიცოს ის მინისტრები, რომლებიც ოფიციალური სახელმწიფო კურსის საწინააღმდეგო მიმართულებით საქმიანობენ.

სწორედ აქ ჩაირთვება რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დამცველი მანქანა: დიდი ძალისხმევა ჩაიდება იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თვისებრივად არ შეიცვალოს. რაკი სახელმწიფოს დეკლარირებული კურსი და რეალობა არა მხოლოდ უპირისპირდება, არამედ - სულ უფრო სწრაფად შორდება ერთმანეთს, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაჯანჯლებული საბიუჯეტო კრიზისი დაემსგავსება ოზონის შავ ხვრელს, რომელიც მთლიანად შეიწოვს საქართველოს დამოუკიდებლობას. თუ ასე გაგრძელდა, ამჟამინდელი პარლამენტის საქმიანობის ვადა, ალბათ, საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ საქართველოს დასავლური კურსიდან აღარაფერი შემოგვრჩეს და ფაქტობრივად გადავიქცეთ რუსეთის გავლენის სივრცედ.

ასეთი "ხავერდოვანი რევოლუციის" განხორციელების იარაღი მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტი შეიძლება იყოს, რადგან გაზაფხულზე ახალ მთავრობას სწორედ პარლამენტი დაამტკიცებს და სამომავლოდაც რუსეთის ინტერესებთან დაპირისპირება მის ამოცანად რჩება.

არ არის გამორიცხული, რომ ამ რეალობამ დიდი ძვრები გამოიწვიოს საპარლამენტო უმრავლესობის წიაღში. ფარული კენჭისყრისას 118 ხმის მისაღებად, შეიძლება, დღეს სრულიად დაპირისპირებული ძალები გაერთიანდნენ და, პირიქით, დღეს ერთმანეთის გვერდით მდგომი ადამიანები სულ სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ. მით უმეტეს, დღევანდელი მძიმე ვითარების ერთი მთავარი წინაპირობა ისიცაა, რომ "პრეზიდენტის მხარდაჭერა" საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ტრადიციულად, სხვადასხვაგვარად ესმით. ზოგისთვის ეს ნიშნავს შევარდნაძის კურსის მხარდაჭერას, ზოგისთვის კი - კორუფციის და განუკითხაობის მხარდაჭერას.

ერთი რამ ცხადია: დასავლური და რუსული ინტერესები ოდესმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახება ერთმანეთს სწორედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაპირისპირების ფორმით. ან საპარლამენტო ხელისუფლება დაეუფლება აღმასრულებელ სივრცეს, ან აღმასრულებელი ხელისუფლება "მოათვინიერებს" პარლამენტს. საფიქრებელია, რომ მთავარი ომი მათ შორის წელს გაზაფხულზევე დაიწყება. მაგრამ გამორიცხული არც ის არის, რომ ბრძოლა ორიოდე წლით გადაიდოს. თუმცა, მიმდინარე საპარლამენტო ვადის განმავლობაში, პარლამენტი სწორედ ახლა ფლობს დამოუკიდებელ ბერკეტს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ბრძოლის მოსაგებად. რადგან თუ მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა კიდევ ერთხელ დამტკიცდა, მთელ დარჩენილ პერიოდში ამჟამინდელ პარლამენტს გაუჭირდება საკუთარი კურსის გატარება - მინისტრის გადაყენებას იმპიჩმენტის რთული პროცედურა დასჭირდება. ეს ვითარება პარლამენტის დღევანდელ შემადგენლობას, ალბათ, აქტიური ქმედებისაკენ უბიძგებს.

ჯერჯერობით, უცნობია, კონკრეტულად რა ფორმით მოხდება ეს, მაგრამ საფიქრებელია, რომ მოვლენების პასიურ მეთვალყურედ არც დასავლეთი დარჩება და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გენერალურ ბრძოლაში საპარლამენტო უმრავლესობას დახმარების გარეშე არ დატოვებს.

მოსალოდნელია, რომ საგანგებო (ღია თუ ფარული) წნეხის ქვეშ მოექცევიან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ლიდერები. წნეხი იმის მიმართ იქნება განსაკუთრებით ძლიერი, ვის ავტორიტეტსა და საბრძოლო თვისებებსაც მოწინააღმდეგე მხარე მეტად აღიარებს და უფრო სერიოზულ წინაღობად მოიაზრებს.

* * *

სამომავლო პროცესებში კვლავ გადამწყვეტი იქნება პრეზიდენტის როლი. ამიტომ, რუსეთის ინტერესები ან შევარდნაძის შეცვლას მოითხოვს, ან შევარდნაძის დახმარებით დასავლური ორიენტაციის ძალების დაჩოქებას. იმის მიუხედავად, რომ ედუარდ შევარდნაძე სხვებზე უფრო შორსმჭვრეტელია და საბოლოო მიზნისკენ მიხვეულ-მოხვეული გზებით მიდის - ადრე თუ გვიან, რუსეთი ამ ალტერნატივას ვერ ასცდება: იზრუნოს შევარდნაძის შეცვლაზე, ან გვერდით დაიყენოს იგი. მომავალი თვალნათლივ დაგვანახებს, თუ რომელ გზას აირჩევს რუსეთი.

* * *

სამომავლო პროგნოზებს თუ შევაჯამებთ, მოვლენების განვითარებას ორი მიმართულებით უნდა ველოდოთ: საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოსალოდნელია ვითარების ზოგადი დესტაბილიზაციის და არჩევნების გადატანის მცდელობა; მაგრამ თუ რუსეთმა ეს ნაბიჯი არ გადადგა, მაშინ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო ხელისუფლების დაჩაგვრის მცდელობა და მათ შორის დიდი ომი.

ცხადია, ამ ომისთვის სტიმულის მიმცემი იქნება კონკრეტული ადამიანების კონკრეტული ინტერესები - ზოგ შემთხვევაში, სახელისუფლო ამბიცია, ზოგ შემთხვევაში კი - ფინანსური მიზიდულობები. მაგრამ ამ ლოკალური ინტერესების მიღმა არ უნდა გამოგვრჩეს უფრო მთავარი - დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესები და, ამ ძნელ ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფგანგ შუსელი

# ღირებულებები და ვალდებულებები

ავსტრიაში ახალი სამთავრობო კოალიციის შექმნას საერთაშორისო საზოგადოებრიობა კრიტიკის ტალღით გამოეხმაურა. მე, როგორც ავსტრიის ფედერალური კანცლერი, სერიოზულად ვარ შეშფოთებული არსებული სიტუაციით. მით უმეტეს, საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ავსტრიის თემაზე მოწოდებული ინფორმაციების გაცნობა და ანალიზი ცხადყოფს, რომ არარეალური სურათი იქმნება ჩვენი ქვეყნის შესახებ.

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ავსტრია ევროპისა და მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის საიმედო და პასუხისმგებლობის მქონე, ულალატო პარტნიორი იყო. იგი კვლავაც გააგრძელებს იმ ტრადიციული ღირებულებებითა და ვალდებულებებით ცხოვრებას, რომელთაც საფუძვლად უდევთ დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ღიაობა, ტოლერანტობა, სოლიდარობა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

ამ პრინციპებზეა აგებული ახალი მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამის პრეამბულაც. პროგრამას 2000 წლის 3 თებერვალს მოეწერა ხელი ფედერალური პრეზიდენტის თომას კლესტილის, ავსტრიის თავისუფლების პარტიის თავმჯდომარის იორგე ჰაიდერის (რომელიც კარინთიის გუბერნატორად დარჩა და არ შევიდა ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში) და ჩემი მონაწილეობით. ეს დოკუმენტი ორთავე ხელმომწერ მხარეს - ჩვენ-ჩვენი პოლიტიკური პარტიებითა და დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლებით - აკისრებს პასუხისმგებლობას. მან უნდა წარმართოს კოალიციური მთავრობის მომავალი საქმიანობაც.

ავსტრია ზედმიწევნით ერთგულია იმ პრინციპებისა, რაც საერთოა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისთვის - თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1994 წელს ავსტრიელ ამომრჩეველთა ორმა მესამედმა ევროკავშირთან შეერთებას დაუჭირა მხარი. ასეთი ერთსულოვნება არ გამოხატულა ევროკავშირის წევრ არც ერთ სხვა (14) ქვეყანაში მათი ევროკავშირთან შეერთების დროს. ავსტრიას მიაჩნია, რომ ტრანსატლანტიკური პარტნიორობა, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა ურთიერთ პატივისცემითა და ნდობით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მშვიდობისა და სტაბილურობის შემდგომი უზრუნველყოფის საქმეში.

ავსტრიას ეამაყება გადასახლებულ პირთა, პოლიტიკური რეპრესიებისა და ომის მსხვერპლთა მიმართ ქვეყნის მიერ გამოვლენილი საერთაშორისო სოლიდარობა.

ჩვენ ფართოდ გავაღეთ კარი 1956 და 1968 წლებში უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კრიზისების დროს, იგივე გავიმეორეთ 1990-იან წლებშიც, როცა 100 000-ზე მეტი ბალკანელი ლტოლვილი შეიფარა და დააბინავა ჩვენმა ქვეყანამ. 8 მილიონიანი ავსტრიისთვის ბალკანელ ლტოლვილთა ეს რაოდენობა პროპორციულად ისეთივეა, რაც გერმანიისთვის იქნებოდა ერთი მილიონი, ხოლო აშშ-სთვის სამ მილიონზე მეტი ლტოლვილის მიღება. ამგვარად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ავსტრიამ სხვა მრავალ ქვეყანაზე უფრო მკაფიოდ გამოხატა თავისი სოციალური და ჰუმანიტარული პასუხისმგებლობა.

ნაცისტური რეჟიმის მიერ ჩადენილი უსამართლობების, მკვლელობებისა და ტერორის გამო ავსტრიის წარსული კრიტიკულ, მაგრამ ამავე დროს, განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. ჩვენ საგანგებო ზომები მივიღეთ, რათა სწორად გავრკვეულიყავით ამ წარსულში, ახალი ფედერალური ხელისუფლებაც არჩეული მიმართულებით აგრძელებს სვლას. ავსტრიელი ისტორიკოსებისგან შემდგარი კომისიის მონაცემებსა და დასკვნებზე დაყრდნობით, იმ პირებს, რომლებიც უწინ იძულებით სამუშაოზე იყვნენ მიმაგრებული, მიეცემათ კომპენსაცია. ქვეყანა ყველა საშუალებას გამოძებნის ამ საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტისთვის, იმედი გვაქვს, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა კომპანია გააცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას. საქმის დასაჩქარებლად სპეციალური წარმომადგენელი დავნიშნე ნაცისტური რეჟიმის დროს მონური და იძულებითი შრომის საკითხებში გასარკვევად. ავსტრიის ცენტრალური ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი, ქალბატონი მარია შაუმაიერი უხელმძღვანელებს ახალ უწყებას, რომელიც ნაციზმის მსხვერპლთათვის კომპენსაციების გაცემის საქმეს მოემსახურება.

სხვა მოვალეობებთან ერთად, უახლოეს თვეებში, ჩემი მთავრობისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხი იქნება ხოლოკოსტის აწ უკვე ხანდაზმულ და მატერიალურად შეჭირვებულ მსხვერპლთათვის კომპენსაციების გაცემა. ავსტრიის მთავრობა მომხრეა, რომ ხელმისაწვდომი იყოს ფედერალური სააგენტოების ყველა არქივი, ასეთივე პოლიტიკას გაატარებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართაც. ჩვენ ხელს შევუწყობთ ავსტრიის სადაზღვევო კომპანიებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხოლოკოსტის პერიოდის სადაზღვევო პრეტენზიებზე მომუშავე საერთაშორისო კომისიის მუშაობაში. ჩვენ შევეცდებით სრულვყოთ და პრაქტიკულად შესრულებადი გავხადოთ 1998 წელს მიღებული კანონი ხელოვნების ნიმუშთა რესტიტუციის შესახებ, მივესალმებით ადგილობრივი და რეგიონული სახელისუფლო ორგანოების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯებსაც.

ჩემი მთავრობა თავდადებულად იბრძოლებს ადამიანის უფლებათა დასაცავად და ასევე შეურიგებელი იქნება რასიზმისა და დისკრიმინაციის მიმართ. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ძალიან მაღალი დონის კანონმდებლობა გვაქვს მასთან სრულ შესაბამისობაში მყოფი საპროცესო ნორმებითა და მძლავრი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ავსტრია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეა, ტრადიციულად იგი ყოველთვის აქტიურ როლს ასრულებდა ამ პროექტების დამუშავებაში. ჩვენთან არა მხოლოდ რატიფიცირება მოხდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა, არამედ იგი საკუთარი კონსტიტუციის ნაწილადაც კი ვაქციეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ავსტრიაში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია, საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება კანონია ჩვენი ხელისუფლებისთვის. კონსტიტუციის თანახმად, ავსტრია ვალდებულია, განუხრელად დაიცვას რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ არსებული საერთაშორისო კონვენცია.

ვიმყოფები რა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე, ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ მთავრობის პროგრამისა და პრეამბულის ზედმიწევნითი განხორციელების უზრუნველსაყოფად (პროგრამის გაცნობა შეიძლება ინტერნეტში შემდეგი მისამართით: http://www.austria.gv.at.). მე და ავსტრიის მთავრობის დანარჩენ წევრებს გვჯერა, რომ ჩვენს შესახებ იმსჯელებენ არა წინასწარაკვიატებული შეხედულებებით, არამედ ჩვენი მოღვაწეობის შედეგების მიხედვით.



ვოლფგანგ შუსელი - ავსტრიის ფედერალური კანცლერი.

Project Syndicate, 2000წ. თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ასოციაცია "არილი" წარმოადგენს არაკომერციულ, არასახელმწიფო, არაპოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო ნორმებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ასოციაციას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

ასოციაცია "არილი" დაფუძნდა 1994 წელს, ხოლო რეგისტრაციაში გატარდა მთაწმინდის სასამართლოს მიერ 1999 წლის 11 ოქტომბერს.

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოსა და სხვა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ეწევა ლიტერატურულ, ან მასთან დაკავშირებულ მოღვაწეობას და მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის მუშაობაში. ასოციაციის წევრად მიღებისა და წევრობიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს ორგანიზაციის გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ, აპრილის თვეში. 2000 წელს ასოციაციის კრება დაგეგმილია მარტის ბოლოსთვის.

ასოციაციის შემოსავლის წყაროებია საქართველოს და საზღვარგარეთის იურიდიული და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შემოწირულობები და ჟურნალ "არილის" გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

გაერთიანება "არილი" არ არის ერთი, კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული აზრის ირგვლივ თავმოყრილი ჯგუფი. აქ არიან სხვადასხვა გემოვნებისა და მსოფლმხედველობის მქონე ლიტერატორები - პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, დრამატურგები, მთარგმნელები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები.

"არილის" მიზანია არა ტრადიციების სფეროში ბრუნვა, არამედ მისი გაგრძელება. ჩვენთვის მიუღებელია ტენდენცია, რომელიც შემოქმედს იდეოლოგის ან პროპაგანდისტის როლს აკისრებს. დღეს მწერალს შეუძლია იყოს თავისუფალი, რაც უფრო მძიმე ამოცანას უსახავს მას პროფესიული თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, პრაქტიკულ მიზნებთან ერთად, ასოციაცია "არილი" მაღალმხატვრულობისთვის ზრუნვის გზაზე, თანამედროვე და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილების ყველაზე უფრო სერიოზული (როგორც ეთიკური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით) მიღწევების ათვისებას გულისხმობს. ოღონდ ეს ათვისება უნდა იყოს შემოქმედებითი, თავისუფალი და ქართული სულისკვეთებით ნიშანდებული.

ასოციაციას აქვს საკუთარი პერიოდული გამოცემა "არილი", რომელიც 1993 წლიდან 1999 წლის ბოლომდე გაზეთის სახით გამოდიოდა და წელს ჟურნალად გარდაიქმნა.

ბევრ, დღეს უკვე აღიარებულ ახალგაზრდა შემოქმედს, სწორედ "არილმა" გაუხსნა გზა მკითხველისკენ. ქართული სიტყვის აღიარებული ოსტატების პუბლიკაციებთან ერთად, ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ამჟამადაც რჩება ახალგაზრდა ავტორთა წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

გარდა ამისა, "არილი" შემოგთავაზებთ პუბლიცისტურ წერილებს საზოგადოებრივ და რელიგიურ პრობლემებზე, პოლიტიკურ ანალიზს და ჟურნალისტურ გამოძიებებს...

ია ანთაძე, მიხეილ ანთაძე, ლევან აბაშიძე, თამარ აბრამიშვილი, ირმა არჩუაშვილი, შალვა ბაკურაძე, ანდრო ბარნაველი, თეონა ბექიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ანდრო ბუაჩიძე, ნინო დარბაისელი, მამუკა დოლიძე, თამაზ ექვთიმიშვილი, თამაზ ვასაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი, დათო ზურაბიშვილი, ნინო ზურიაშვილი, ზაზა თვარაძე, ეთერ თვარაძე, მაია თოდუა, ომარ თურმანაული, შოთა იათაშვილი, დარეჯან კაპანაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ კომახიძე, გიორგი ლობჟანიძე, მაია მირიანაშვილი, მაკა მიქელაძე, ლილი მჭედლიშვილი, ზვიად რატიანი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, მაია სარიშვილი, მადი სერებრიაკოვა, ბესო სოლომანაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, სოზარ სუბელიანი, ნინო ფირცხალავა, ალექსანდრე ქოქრაშვილი, შადიმან შამანაძე, დათო შიომღვდლიშვილი, მიხეილ ჩიტაძე, დათო ჩიხლაძე, თემურ ჩხეტიანი, კობა ცხაკაია, ალეკო ცქიტიშვილი, ზაზა ჭილაძე, მალხაზ ხარბედია, ბესო ხვედელიძე, ბასა ჯანიკაშვილი, გია ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი



წკაპ HERE

